წელიწადი მეექვსე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კალოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № [illegible], მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ. —40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80.

კვირა, 4 აპრილი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 75 (1530)

დღიური

- ფრანგებმა განაახლეს შეტევა დრუზების წინააღმდეგ.
- კუნძულ კუბას რკინისგზელები საერთო გაფიცვისათვის ემზადებიან.
- დე-ჟუვენელმა სადულს აუკრძალა სირიაში ჩასვლა.
- გერმანიის მთავრობა აპირებს რეიხსტაგის დათხოვნას ივნისში.
- რკინისგზელთა საერთაშორისო კავშირის სესია შესდგება აპრილის დამლევს.

„კომუნისტი"
გრძელდება ხელისმოწერა
აპრილისათვის
მთავარი კანტორა რუსთაველის პროს. № 84.

ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი გამოდის 4 გვ. შემდეგი ნომერი გამოვა 6 გვერდი.

მნიშვნელოვანი ყრილობა

ჩვენში ყრილობებისა და კონფერენციების სიმცირეზე საყვედური არ ითქმება. ზოგჯერ ბოროტად ვიყენებთ საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართე უფლებებს და ისეთ თათბირებსა და ყრილობებს ვიწვევთ რესპუბლიკის მასშტაბით, რომელნიც ზედმეტ ტვირთად აწვება სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სალაროებს და რომელთა მოუწვევლობაც საქმეს დიდათ არაფრათ დააშავებდა.

სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკთა ყრილობა კი, რომელიც 5 აპრილს გაიხსნება თბილისში, განსაკუთრებით განირჩევა ჩვენ საერთო ყრილობებისაგან. მისი მოწვევა ნაგვიანევათაც შეიძლება ჩაითვალოს. საქართველოში, როგორც სოფლის მეურნეობის ქვეყანაში, სამიწათმოქმედო ორგანოების შეთანხმებულ და გეგმაშეწონილ მუშაობას უაღრესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და ამ ორგანოთა 1-ლ ყრილობას უთუოდ მრავალ საჭირ-ბოროტო საკითხების გაშუქება მოუხდება. ეს კითხვები კარგა ხანია მწვავეთ იდგენ ადგილობრივათ და მათი სათანადოთ დამუშავებადალაგების საჭიროებას იგი დიდ ხანია დაჟინებით მოითხოვს ჩვენი სოფლის მეურნეობის მდგომარეობა.

საქართველოს მთელ საბჭოთა კავშირში მიწის სიმცირით და სიმწირითაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხი და სოფლის ეკონომიურათ [illegible] კავშირებული გლეხის მეურნეობის ინტენსიფიკაციასთან და, მაშასადამე, ჩვენი სამიწათმოქმედო ორგანოების წარმატებით მუშაობასთან.

ჩვენი ქვეყანა მრავალფეროვან ტეხნიკურ კულტურის განვითარებისათვის ფართე გასაქანს იძლევა და, ცხადია, სოფლის მეურნეობას ჩვენში ამ მხრივ უთუოდ დიდი მომავალი აქვს.

მიუხედავათ ამისა, ჩვენ კიდევ არ შეგვიძლია დავიკვეხოთ, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში დღეს-დღეობით დიდი მიღწევები გვაქვს. ამის მთავარი მიზეზია ჩვენი საერთო სიღარიბე და ნივთიერ შესაძლებლობათა სიმცირე. მაგრამ აქ აღსანიშნავია სხვა გარემოებაც. ესაა იმ თანხის არა თავის პირდაპირ დანიშნულებისათვის გამოყენება, რომელიც ნავარაუდევია ბიუჯეტისაგან, სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის.

საზოგადო მოვლენათ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობისათვის გადადებული თანხა სანახევროდაც არ ხმარდება ამ დარგის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. აქ იშვიათ გამონაკლისს შეადგენს მხოლოდ თითო-ოროლა მაზრა.

ამიტომ სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა შორის ერთხელ კიდევ უნდა დაისვას ჩვენს წინაშე საბიუჯეტო დისციპლინის განმტკიცების საკითხი, რომელიც ულმობელათ და სისწორით უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში ცენტრალურ და ძირითად ორგანოების მიერ.

სოფლის მეურნეობის ახალ საფუძველზე წარმატებით წინსვლელობისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს მიწათმოწყობის დროულათ ჩატარებას. მიწის გაფანტულობა მრავალნაკვეთიანობა, საძოვრების მოუწყობლობა, საახალშენო საქმის მოუგვარებლობა და გლეხის მეურნეობის სხვა ამგვარი საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტა უმთავრესად დამოკიდებულია მიწათმოწყობის საბოლოოთ და უმტკივნეულოდ შესრულებაზე. აქ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ამხანათ მთელ საქართველოში მიწათმოწყობის დარგში შესრულებულია მთელი სამუშაოს მხოლოდ 5½ პროცენტი.

ჩვენი საცდელი მინდვრები, სახალხო მამულები და კოლექტიური მეურნეობანი, ნივთიერ ხელმოკლეობის და სათანადო ცოდნით აღჭურვილ მუშაკთა სიმცირის გამო, ბევრგან უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან. ისინი მოკლებულნი არიან საშუალებას წინ გაუძღვენ სოფელს და მისაბაძ მაგალითად გახდენ გლეხის მეურნეობისათვის.

არც მესაქონლეობის დარგშია რიგზე ყველაფერი. საბეითლო პერსონალის სიმცირე იმდენათ თვალსაჩინოა რომ ერთხელ გაჩენილი ეპიზოოტია, თავისუფლად ვრცელდება მაზრებიდან მაზრაში და მუსრს ავლებს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ბურჯს, მსხვილსა და წვრილ რქოსან საქონელს. საქართველოში თითო ვეტერინალურ ექიმზე საშუალოთ მოდის ორმოცდა ათი ათასი სული საქონელი, ხოლო ტერიტორიის სივრცე, რომელიც წილათ ხვდება თვითეულ ასეთ ექიმს, უდრის ათასზე მეტ კვადრატიულ ვერსს. ცხადია, ასეთ პირობებში ნორმალურ საბეითლო მკურნალობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება და უმთავრესად ამას უნდა მიეწეროს, რომ უკანასკნელად გავრცელებულ ჭირმა არა ერთი ასეული საქონელი გამოაცალა ხელიდან სოფელს.

დიდი ამოცანებია ჩვენს წინაშე ტყის მეურნეობის დარგშიაც. ტყე საქართველოში სახალხო მეურნეობის უაღრესად მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ეს უდიდესი სიმდიდრე დღემდე ბევრათ კიდევ მოკ[illegible] მზრუნველობას. ამხანად საქართველოს მთელ ტყეებიდან მხოლოდ ერთი მესამედიც არაა გამოკვლეული და შესწავლილი. ამრიგად უდიდესი სახალხო განძი ჯერ კიდევ უქმად დევს და მას ქვეყნის ეკონომიურად დაწინაურებაში თავის შესაძლებლობის უმნიშვნელო წვლილი შეაქვს.

ამავე დროს ცუდ მდგომარეობაშია ტყეების დაცვის საქმეც. ცეცხლისა და თვითნებურ გაჩეხვისაგან ყოველწლიურად ჩვენ ტყეებს ასეულ ათასი მანეთის ზარალი ადგებათ. აშკარაა, რომ ტყის შესწავლა და დაცვა-პატრონობის საქმესაც აფერხებს სათანადოთ მომზადებულ მუშაკთა ნაკლებობა და ამ მუშაკთა ხელფასის სიმცირე.

ჩვენში ჯერ კიდევ არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება შინა-მრეწველობის განვითარების საქმეს. შინამრეწველთა ნედლეული მასალით უზრუნველყოფა, მათი ნაწარმოების თვისების გაუმჯობესება, ამ ნაწარმოებისათვის კოოპერატიულ აპარატის საშუალებით ბაზრის მოპოვება, წვრილ მწარმოებელთათვის სესხის საკითხის მოგვარება,—აი ის მთავარი ღონისძიებანი, რომელნიც უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში შინამრეწველობის აღორძინება - გაფართოებისათვის.

სოფლის მეურნეობის ყველა ამ საჭირ-ბოროტო საკითხების მოსაგვარებლათ გარდა ზემოღხსენებულ ზომებისა, ჩვენ ვერ დავივიწყებთ სამიწათმოქმედო ორგანოთა ახალი ტიპის მუშაკთა მომზადების საჭიროებასაც. აგრონომი, ბეითალი და ტყის გამგე არიან სოფლად არა მარტო განსაზღვრულ ტეხნიკურ ცოდნათა გამა ვრცელებელი ძალები, არამედ ამასთან ერთად ახალი ტიპის საზოგადოებრივი მუშაკები, რომელთაც ნათლად უნდა ჰქონდათ წარმოდგენილი ჩვენი საერთო მისწრაფების შინაარსი და ამოცანები. მხოლოდ ასეთ აგრონომს, მხოლოდ ასეთ ბეითალს, ტყის გამგეს და მიწის მზომელს შეუძლია იყვეს საბჭოთა სოფლის ღირსეული კულტურული მუშაკი და გლეხის მეურნეობის შესაფერისი წინამძღოლი.

სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკთა პირველი ყრილობა უთუოდ შეჩერდება ყველა ამ საკითხებზე. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ამ ყრილობის მუშაობა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება წინ ჩვენი სოფლის მეურნეობის დაწინაურების საქმეში.

ჩვენი მთავარი ამოცანები

ამხ. კუიბიშევის მოხსენება ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმზე

მოსკოვი, 3 აპრილი. 2 აპრილს გაიხსნა საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მეორე პლენუმი.

ამხ. კუიბიშევმა გააკეთა მოხსენება ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შესახებ მეთოთხმეტე პარტ ყრილობის დადგენილებების შემდეგ.

„პარტიის მეთოთხმეტე ყრილობამ —დაიწყო კუიბიშევმა—აღნიშნა ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის სამი ხაზი: **პირველი**—მუშაობა სახელმწიფო აპარატის, მმართველობის და მეურნეობის რაციონალიზაციის სფეროში; **მეორე**—დახმარების გაწევა პარტიისა და სახელმწიფოსათვის სახელმწიფო მეურნეობის და მართვა-გამგეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა დამუშავების საქმეში; **მესამე**—შესრულების კონტროლი. სრულიად უდავოა, რომ სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესება, როგორც ეს წარმოდგენილი ჰქონდა ლენინს, შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აპარატს მოვაწყობთ შრომის მეცნიერულ ორგანიზაციის პრინციპების მიხედვით. ამიტომ მუშაობა ამ მიმართულებით არის ძირითადი მუშაობა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო აპარატის მუშაობის კონტროლი მეორე რიგში უნდა იქნეს დაყენებული.

ეხლა პარტია მთელს სახელმწიფოს და უპირველეს ყოვლისა თავის წევრებს მოუწოდებს ეკონომიის, მომჭირნეობის და რესურსების დაგროვების რეჟიმისაკენ. კაპიტალისტურ ქვეყნებში საწარმოო ძალთა განვითარება ხდება სხვა ქვეყნების ბურჟუაზიის დახმარების ხარჯზე სესხის სახით, მოსახლეობის ძარცვის და ზედმეტი მოგების ხარჯზე, რომელსაც ბურჟუაზია იღებს მუშებისა და გლეხებისაგან. ჩვენ ამ გზით ვერ განვავითარებთ ჩვენს მეურნეობას. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენ არა გვაქვს დაგროვების წყაროები?

ჩვენ დავაგროვებთ დიდ დოვლათს, თუ დავიცავთ ეკონომიის ხასტიკ რეჟიმს ყოველგვარ ხარჯების დროს.

ვლადიმერ ილიჩმა სთქვა: „ჩვენს მეურნეობაში უდიდესი ეკონომიის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია. მივაღწიოთ იმას, რომ მომჭირნეობის ყოველი ნაყოფი მოხმარდება ჩვენი მსხვილი ინდუსტრიის განვითარებას".

როგორც სხვა შემთხვევებშიაც ვლადიმერ ილიჩმა სწორეთ და რამოდენიმე წლის წინათ მიგვითითა იმ პოლიტიკაზე, რომელიც ჩვენ ცოტა დაგვიანებით მივიღეთ.

მომჭირნეობის და დაზოგვის ლოზუნგი არის ერთად-ერთი გზა, რომლითაც ჩვენ უზრუნველვყოფთ გლეხობის ნდობას საბჭოთა წყობილებისადმი.

სახელმწიფო აპარატის და მრეწველობის პროდუქციის გაიაფება, ყველაფერი ეს არის ეკონომიისა და დაზოგვისათვის ბრძოლის საშუალება.

ეკონომიის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს სწორი და სისტემატიური მუშაობა მთელი მეურნეობის სისტემატიზაციისთვის, როგორც წარმოების, ისე მართვა-გამგეობის სფეროში. ყურადღება უნდა მივაქციოთ ყოველგვარ წვრილმანებს, უნდა აღვზარდოთ ჩვენი სახელმწიფო აპარატის მუშაკებში გრძნობა, რომ მცირედი დაგროვებაც კი მომრავლებული სახელმწიფოს სიდიდეზე, დაბოლოს იძლევა უდიდეს ეკონომიას.

მაგალითად, ისეთ საქმეში, როგორიც არის სარეკლამო საქმე, ჩვენ ზედ მეტად ვხარჯავთ ათეულ მილიონ მანეთს.

საჭიროა მეტად ფრთხილი პოლიტიკა, რათა სახელი არ გაუტეხოთ თვით რაციონალიზაციის იდეას. რაციონალიზაციის გატარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა არის სათანადო გამოცდილება, ცოდნა და ამა თუ იმ რაციონალიზატორული სისტემის მეურნეობაში და მართვა-გამგეობაში გამოყენების შესაძლებლობა.

კონტროლი და შემოწმება უნდა შეიქნეს მუშათა და გლეხთა ორგანოების და საკონტროლო კომისიების ადგილობრივ ორგანოების ძირითად ფუნქციებათ. ამხანაგების განსაზღვრული ჯგუფი ჩაბმულ უნდა იქნეს სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაციის საქმეში. მეორეს მხრივ ამხანაგების განსაზღვრულმა ჯგუფმა უნ და ზედმიწევნით შეისწავლოს კონტროლის და შემოწმების საკითხები. მუშაობის მესამე ხაზი— დახმარების გაწევა პარტიისათვის სახელმწიფოს და მეურნეობის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლის და გამოკვლევის გზით. აქ საჭიროა სპეციალურად შერჩეული ხალხი. საკავშირო კომპარტიის ცკას პოლიტბიუროს მუშაობის გეგმაში აღნიშნულია 40 თემა, რომელიც უნდა განიხილოს ცკამ და პლენუმმა ახალი ყრილობის მოწვევამდე.

ცენტრალურ საკონტროლო კომისიისათვის და მუშათა და გლეხთა ინსპექციისათვის აქ მუშაობის დიდი ასპარეზია, რომელიც ზედმიწევნით შესწავლილ უნდა იქნეს და რომელსაც ცენტრალურ საკონტროლო კომისიის წევრები უდიდესი ყურადღებით უნდა მოეპყრან. კონტროლისა და შემოწმების განსაკუთრებულ სექტორად გამოყოფით ჩვენ შევძლებთ ამ მუშაობის გაცხოველებას და გაფართოებას. რაციონალიზაციის სექტორი მუშაობს წარმოების, ტეხნიკის და ანგარიშწარმოების რაციონალიზაციის სფეროში.

პარტყრილობამ მიგვითითა, რომ სარაციონალიზაციო მუშაობა წარმატებით შეიძლება ჩატარებულ იქნეს მხოლოდ იმ პირობებით, თუ მას აწარმოებს თვით ადმინისტრატორი, ან ამა თუ იმ დაწესებულების სათავეში მდგომი პირი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახელმწიფო მომწესრიგებელი როლი გაძლიერებულ უნდა იქნეს უმთავრესად იდეური ხელმძღვანელობის გზით, ავტორიტეტის მოპოვების და რაციონალიზაციის ორგანოების მიერ ჩვენი გამოცდილების, ჩვენი ცოდნის და მეთოდოლოგიის უპირატესობის აღიარების გზით.

პარტყრილობის გამოცდილებიდან ჩვენთვის აშკარა გახდა, რომ ცხოვრების საკითხებს პარტიამ, ცენტრალურ საკონტროლო კომისიამ და ხაკონტრ. კომისიებმა ადგილებზედ უნდა მიაქციონ გაცილებით მეტი ყურადღება, ვინემ ეს აქამდის იყო. ჩვენ გაფაციცებით თვალყური უნდა ვადევნოთ იმას, თუ რა ხდება პარტიაში, რათა შემდეგ გვქნეს შესაძლებლობა შევიტანოთ პარტიის ორგანიზაციაში ესა თუ ის შესწორებები, როგორც აუცილებელი ზომა პარტიის მთლიანობის დარღვევის თავიდან ასაცილებლად.

საკონტროლო კომისიების არსებობის დასაწყისშივე წამოიჭრა მეტად ძნელი საკითხი — დაუპირდაპირებენ თუ არა ისინი თავის თავს პარტიულ კომიტეტებს. ეს საშიშროება ეხლა აღარ არსებობს. ჩვენ ავტორიტეტი უნდა უზრუნველვყოთ არა საორგანიზაციო ფორმების გამოგონებით, არამედ ჩვენი მუშაობის შინაარსის გაღრმავებით. ადგილებზე მთელი ყურადღება მიპყრობილ უნდა იქნეს მუშაობაზე კონტროლის და შემოწმების დარგში ერთის მხრივ და პარტიის პრობლემათა შესწავლაზე მეორეს მხრივ".

დასასრულ კუიბიშევი ამბობს:

„თეზისების შესახებ ჩვენ პირდაპირ უნდა ვსთქვათ, რომ თუ პარტიამ ამ ჟამად თავის ძირითად ლოზუნგათ გამოაცხადა—ეკონომიის და დაზოგვის ლოზუნგი, ეს ლოზუნგი უპირველეს ყოვლისა შეთვისებულ უნდა იქნეს ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ. ეს ლოზუნგი იქნება ჩვენი დროშა მომავალ მუშაობაში".

საბჭოთა კავშირის ბიუჯეტი

ამხ. კუიბიშევის და ბრიუხანოვის სიტყვები საბიუჯეტო კომისიის პლენუმზე

ამხ. კუიბიშევის სიტყვა

მოსკოვი, 3 აპრილი. საბჭოთა კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმის 31 მარტის საღამოს სხდომაზე **ბრიუხანოვის და ვაინშტეინის** მოხსენების გამო გამართულ კამათის დროს სიტყვა წარმოსთქვა საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **კუიბიშევმა,** რომელმაც სთქვა, რომ ნორმალურ საბიუჯეტო მუშაობის განგრძობა ისეთ პირობებში, რომელშიაც ჩვენ ვმუშაობდით, როდესაც ბიუჯეტი მტკიცდებოდა საოპერაციო-სამეურნეო წლის დაწყებიდან 6 თვის შემდეგ,—შეუძლებელია.

საჭიროა დამუშავებული იქნას ღონისძიებანი, რომელიც ქვეყანას საშუალებას მისცემს იცხოვროს არა წინასწარ ნავარაუდევი ბიუჯეტით, რომელიც ყოველთვის მერყევია და სიმტკიცეს მოკლებული, არამედ დამტკიცებულ ბიუჯეტის გეგმით, რომლის ჩარჩოებში შეიძლებოდა გეგმების განხორციელება სახალხო მეურნეობის, კულტურის, მართვა-გამგეობის და სხვ. დარგებში. სახ. კომისართა საბჭო ამჟამად იხილავს ამ საკითხს.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ არა მარტო ბიუჯეტი, არამედ ყველა სამეურნეო გეგმები სამეურნეო წლის დასაწყისისათვის იქნას დამტკიცებული სახ. კომისართა საბჭოს მერ. პირველი ჩვენი ამოცანაა, რომელიც განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, არის **ბიუჯეტის რეალური და საშემოსავლო ნაწილის უზრუნველყოფა.**

ყველა აღიარებს თუ არა, რომ 4 მილიარდიანი ბიუჯეტი გადაჭარბებულია? ჩემის აზრით, 4 მილიარდიანი ბიუჯეტი ჩვენთვის შესაძლებელი და დასაშვებია, მაგრამ იგი უაღრესად დაჭიმულია დღევანდელ მომენტისათვის.

საბიუჯეტო კომისიამ უნდა განიხილოს საკითხი სარეზერვო თანხის შესახებ და იგი რეალური უნდა გახდოს. სარეზერვო თანხის საჭიროება გამოწვეულია შემდეგი მოსაზრებებით: იგი წარმოადგენს დაზღვევას ყოველგვარ მარცხისაგან ჩვენს მეურ[illegible] დურებათაგან და სხვა. მაგრამ ეს ცოტაა. მისი მნიშვნელობა დიდია პოლიტიკურ თვალსაზრისითაც.

როდესაც ჩვენ წელს ვამტკიცებთ ბიუჯეტს რეზერვითურთ, ჩვენ ამის შესახებ ფართოთ უნდა ვაცნობოთ მოსახლეობას და **ყველა სამეურნეო ორგანოებს უნდა განუმარტოთ რეზერვის პოლიტიკის შინაარსი და მნიშვნელობა.** ჩვენ უნდა შევასწავლოთ ყველა სამეურნეო ორგანოებს ისე წაიყვანონ მუშაობა და ისე შეადგინონ გეგმები, რომ რჩებოდეს ერთგვარი რეზერვი იმ შემთხვევისათვის, თუ ვინიცობაა გეგმა ჩაიშალა სტიქიურ უბედურებათა და სხვა სამეურნეო მარცხის გამო.

როდესაც ჩვენ შევიმუშავებთ დირექტივებს 1927-28 ბიუჯეტის შესადგენათ, ჩვენ უნდა განვავითაროთ ეს აზრი აზრი რეზერვების შესახებ.

ამხ. ბრიუხანოვის სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში ბრიუხანოვმა სთქვა:

„საერთო საკითხი, . რომელიც აქ წამოიჭრა, არის საკითხი იმის შესახებ,—არის ეს ბიუჯეტი გეგმიანი, სახელმწიფოებრივი და ფინანსიური სამეურნეო, თუ იგი არის სხვადასხვა ნაწილაკებისაგან შეკოწიწებული ბიუჯეტი.

ეს ბიუჯეტი უეჭველად არის გეგმიანი და სახელმწიფოებრივი-სამეურნეო; სწორედ ამიტომ გადაეცა ასე გვიან საბიუჯეტო კომისიას განსახილველად.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი სამეურნეო განვითარების მთავარი ხაზის შეფასება მოცემული იყო დეკემბერში, ხოლო კონკრეტიული სამეურნეო გეგმების გადასინჯვა დასრულდა მხოლოდ თებერვალში. თავის-თავად ცხადია, რომ სანამ ეს გეგმები საბოლოოდ არ იქნება დამტკიცებული, არ შეიძლება შედგენილი და დასამტკიცებლად წარდგენილი იქნეს საფინანსო მეურნეობის და მთელი ჩვენი მეურნეობის საერთო გეგმა.

ჩვენს მრეწველობა-მეურნეობაში მაქსიმალური გეგმიანობის მისაღწე[illegible] ადგილობრივ [illegible] ერთად განხილვა. მხოლოდ მარტოოდენ სახელმწიფოებრივი ბიუჯეტის შეფასება არ კმარა, რომ გავითვალისწინოთ ჩვენი სახელმწიფო მეურნეობის სწორი სურათი. აქ არ შეიძლება ადგილობრივი მეურნეობის, ან ადგილობრივი ბიუჯეტის დაპირისპირება სახელმწიფოებრივ ბიუჯეტთან; აგრეთვე არ შეიძლება ადგილობრივ ბიუჯეტი გამოყოფილი იქნას საერთო სახელმწიფოებრივ ბიუჯეტისაგან, ვინაიდან გაერთიანებულ სახელმწიფოებრივ მეურნეობის გარეშე ჩვენ არ შეგვიძლია სწორედ შევაფასოთ ადგილობრივი მეურნეობა".

საშემოსავლო ნაწილის განხილვა

მოსკოვი, 3 აპრილი. 1 აპრილის დილის სხდომაზე **საბიუჯეტო კომისიის პლენუმი შეუდგა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მუხლობრივ განხილვას.**

სახ. კომისართა საბჭოს მომხსენებელმა **ბრიუხანოვმა** აღნიშნა პირდაპირი გადასახადების მნიშვნელობა და ხვედრითი წონა კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში.

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, პირდაპირ გადასახადების საერთო ჯამი უდრის 583.889.500 მანეთს. თუ ამ ციფრს წარსული წლის ბიუჯეტს შევადარებთ, დავინახავთ, რომ პირდაპირი გადასახადების ჯამი შემცირებულია 160 მილიონ მანეთით. ეს შემცირება, უპირველეს ყოვლისა, მოხდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ხარჯზე. აღნიშნული გადასახადი შემცირდა 100 მილიონი მანეთით. ეხლანდელ ბიუჯეტში არ არის შეტანილი ერთდროული გადასახადი, რომელიც შემოღებული იყო შარშან წინ, როგორც სპეციალური გადასახადი დამშეულ რაიონების სასარგებლოთ.

საბიუჯეტო კომისიის თანამომხსენებელი **კოტლიაკოვი** ფიქრობს, რომ ბიუჯეტის შედგენის დროს სრულიად არ არის საჭირო გათვალისწინებული იქნას შემოსავლის მაქსიმუმი, ვინაიდან ასეთ მდგომარეობის დროს შესა[illegible] იძლება გადაჭარბებულათ ვიანგარიშოთ შემოსავლის საერთო ჯამი და რეალობა დაუკარგოთ იმ რეზერვს რომელიც საჭიროა ჰქონდეს სახელმწიფოს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს **პოლიუდოვმა, ზანგვილმა, პოსტნიკოვმა და კატელმა.**

შემდეგ საბიუჯეტო კომისიის პლენუმმა დამტკიცა პირდაპირი გადასახადების ციფრები. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი—235.097.500 მანეთი, სარეწავო გადასახადი—210 მილ. მან. საშემოსავლო გადასახადი—180 მილ. მან., სარენტო გადასახადი 3.202.000 მან. მემკვიდრეობის და სხვა პირდაპირი გადასახადები—500.000 მანეთი. სულ პირდაპირი გადასახადები შეადგენს— 583.889.500 მანეთს.

სახ. კომისართა საბჭოს მომხსენებელი **ბრიუხანოვი** აღნიშნავს, რომ არაპირდაპირი გადასახადების მხრივ ჩვენ გვაქვს სახელმწიფოებრივი შემოსავლის გადიდების მაქსიმალური პროცენტი.

მაშინ, როცა შარშანდელი წლის ანგარიშში 562.500.000 მანეთს უდრიდა, წელს არაპირდაპირი გადასახადები გამოანგარიშებულია 999 მილ. მანეთად, კარელის რესპუბლიკასთან ერთად კი—1 მილიარდ მანეთად.

ჩვენ გვაქვს, მაშასადამე, გადიდება 100 პროცენტით.

საბიუჯეტო კომისიის თანამომხსენებელი **ვეტოშკინი** იცნობებს პლენუმს სპეციალურ ქვეკომისიაში გამოთქმულ მოსაზრებას. ეს კომისია არ დაეთანხმა სააქციზო გადასახადის ჯამს, რომელიც სახ. კომისართა საბჭომ მოიწონა.

ქვეკომისია მივიდა იმ დასკვნამდი, რომ არაპირდაპირი გადასახადების სახით შეიძლება მიღებულ იქნეს სულ 950 მილიონი მანეთი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: **სამურსკიმ, რიაზანოვმა, კორნევმა, ფედოტოვმა, მალიუტამ და პოლიუდოვმა. ამის შემდეგ დილის სხდომა დახურული იქნა.**

კონფლიქტი აუცილებელია

ჩვენ ვლაპარაკობთ იმ კონფლიქტზე, რომელიც მოსალოდნელია ინგლისის ქვა-ნახშირის მრეწველობაში. დღეს კვლავ მწვავედ დგას ის საკითხი, რომელმაც შარშან ივლისში კინაღამ საყოველთაო გაფიცვები გამოიწვია. 1925 წლის ივლისში დამთავრდა მემაღაროეთა და მაღაროების პატრონთა შორის დადებულ ხელშეკრულებათა ვადა. მწარმოებლებმა განაცხადეს, რომ შემდეგისათვის ისინი ამცირებენ ხელფასს, აღიდებენ სამუშაო დღეს, უარს აცხადებენ საერთო ინგლისის მასშტაბით ხელშეკრულებების დადებაზე და მოითხოვენ მათ შეკვრას ცალკე ოლქების მიხედვით. უნდა დაითხოვონ 100.000-მდე მუშა და სხ. მემაღაროეებმა ამაზე გაფიცვის მუქარით უპასუხეს, ხოლო სხვა დარგების (ტრანსპორტი, სამანქანო და ელექტრონის მრეწველობა) მუშები მზად იყვენ მათთვის მხარი დაეჭირათ.

პროლეტარიატის ერთიანმა ფრონტმა და რევოლიუციონურმა ნებისყოფამ გასჭრა. ინგლისის კაპიტალისტებმა და მათმა მთავრობამ დაიფრთხეს. მთავრობამ მაღაროების მეპატრონეებს მისცა სუბსიდია „ზარალის დასფარავად, მხოლოდ უნდა დარჩენილიყო შრომის წინანდელი პირობები. კატასტროფა ამგვარად აცილებულ იქნა ხაზინის ხარჯზე, მაგრამ მხოლოდ დროებით. სუბსიდია უნდა გაგრძელდეს მომავალ მაისამდე. შემდეგ კი ისევ იქმნება წინანდელი მდგომარეობა.

მთავრობა ფიქრობდა, რომ მაისამდე რაიმე შეთანხმებას მიაღწევდა მუშებსა და მწარმოებლებს შორის, და ამ მიზნით დაარსა „კომისია მდგომარეობის გამოსარკვევად ნახშირის მრეწველობაში". კომისიაში მაღაროების პატრონებმა შეურიგებლობა გამოიჩინეს. პირიქით, მათ უფრო გააფართოვეს თავისი მოთხოვნები.

კომისია, რომელმაც როგორც იყო შვიდი თვის შემდეგ დაამთავრა მუშაობა, არსებითად დადგა მწარმოებელთა თვალსაზრისზე. მისმა მოხსენებამ ოდნავათაც ვერ დააკმაყოფილა მუშები. კომისიამ შეუძლებლად სცნო მაღაროების ნაციონალიზაცია, რომელსაც რამოდენიმეთ მაინც შეეძლო კრიზისის შენელება ნახშირის მრეწველობაში. კაპიტალისტებისათვის ნაციონალიზაცია, რა თქმა უნდა, მიუღებელია, თუნდაც მრეწველობის პატრონი კაპიტალისტური სახელმწიფო იყოს. ეს კერძო საკუთრების პრინციპის შელახვა იქნებოდა. კომისია ვერც ნახშირის მრეწველ. დღევანდელი ორგანიზაციის და ტეხნიკის ძირეულად გაუმჯობესების მომხრედ გამოვიდა. ცნობილია, რომ ეს დარგი ინგლისში დაბალ ტეხნიკურ დონეზე სდგას, ბევრგან ნახშირის ამოღება პრიმიტიულად ხდება, აგრეთვე ბრძოლა სწარმოებს მაღაროების პატრონთა ცალკე ჯგუფებს შორის. საჭიროა თანამედროვე ტეხნიკის შემოტანა და მრეწველობის კონცენტრაცია, რომ მისი ნაყოფიერება გაიზარდოს, მისი პროდუქტი გაიაფდეს და მან კონკურენცია გაუწიოს მსოფლიო ბაზარზე სხვა ქვეყნების ნაწარმოებს. მაგრამ აქაც თავს იჩენს ინგლისის ცნობილი კონსერვატიზმი, ამასთან მრეწველთა ჯგუფების ინტერესთა წინააღმდეგობა.

კომისია გამოსავალს ხედავს მხოლოდ... ხელფასის დაკლებაში 10 პროცენტით, მის დაყვანაში 1921 წლის დონემდე, როცა მემაღაროებმა წააგეს ბრძოლა მწარმოებლებთან. მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ ეს ღონისძიება წააწყდება შეურყეველ წინააღმდეგობას არა მარტო მემაღაროეთა, არამედ მთელი ინგლისის პროლეტარიატის მხრით. სამთა-მადნო მუშების ბელადმა კუკმა კაპიტალისტების მოთხოვნებს უწოდა „ომის აშკარა გამოცხადება". დღეს მემაღაროეთა ერთ-ერთი სხვა ლიდერი აცხადებს, რომ „თუ მაღაროების პატრონები თავიანთ წინადადებაზე ხელს არ აიღებენ, მაისში ჩვენ გავხდებით მოწმენი უდიდესი სამრეწველო კატასტროფისა, რომელიც როდისმე მომხდარა ინგლისში"-ო. და ეს ლიტონი სიტყვები არ არის. ამას უეჭველად საქმე მოჰყვება. ინგლისის მუშათა კლასი სერიოზულად ემზადება გადამჭრელი ბრძოლისათვის შეტევაზე გადმოსულ გათავხედებულ მწარმოებლებთან. ისინი არაფერს არ დასთმობენ მოპოვებულ უფლებებიდან.

მეორე მხრივ ინგლისის ბურჟუაზიას და მთავრობას არ სძინავთ. იქმნება ფაშისტური ორგანიზაციები, შტრეიკბრეხერთა რაზმები. აძლიერებენ რეპრესიებს რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ, ცდილობენ მუშათა ერთიანი ფრონტის გარღვევას მისი მემარჯვენე წრეების მიმხრობით და სხვა.

მაგრამ მაინც საეჭვოა, რომ ბურჟუაზიამ გაბედოს მუშების გამოწვევა აშკარა ბრძოლაში. ალბად დღესაც გამოძებნიან ისეთსავე „გამოსავალს", რომელსაც მიმართეს შარშან, ე. ი. ნახშირის მწარმოებელთ გაუგრძელებენ სუბსიდიას. თუმცა ხსენებულმა კომისიამ ის დასკვნა გამოიყვანა, რომ არ შეიძლება სუბსიდიის შემდეგშიაც გაცემა და თითქო მთავრობამ „მთლიანად მიიღო მისი მოხსენება", მაგრამ ბალდუინი აცხადებს, რომ „მთავრობა დასვამს საკითხს სანახშირო მრეწველობისათვის დახმარების დროებით გაგრძელების შესახებ". მეორდება შარშანდელი ისტორია. ნახშირის მრეწველობამ უნდა განაგრძოს არსებობა სახელმწიფოს ხარჯზე, ფართო მოსახლეობის გადასახადების ხარჯზე, რომელი გადასახადების სიმძიმე ლოდათ აწევს მას.

მაგრამ როდემდის? ინგლისის ეკონომიკის სიძლიერის უმთავრეს დარგის — ნახშირის მრეწველობის კრიზისი—გვიჩვენებს ამ ქვეყნის მთელი მეურნეობის დაქვეითებას. ნახშირის ამოღება ინგლისში მცირდება, მისი ექსპორტიც კლებულობს, როგორც ამ დარგის ტეხნიკური ჩამორჩენილობის, ისე იმის გამო, რომ ნახშირის მრეწველობა გაძლიერდა სხვა სახელმწიფოებში. ამ ობიექტიურად მძიმე მდგომარეობას ინგლისელი მწარმოებლები ხელოვნურად უფრო აზვიადებენ, რომ სუბსიდია გამოგლიჯონ სახელმწიფოს და მუშების გადაჭარბებული ექსპლოატაცია გაამართლონ. მაგრამ სახელმწიფოს საშუალებები ყოველთვის არ ეყოფა მრეწველობის შესანახად, მუშები ხომ არაფერს დასთმობენ, და კონფლიქტი, თუ იგი მაისში აცილებულ იქნა, მაინც აუცილებელია.

ვ. ქ—ძე.

მუშათა ბრძოლა

ერთი დღის გაფიცვა

პარიჟი, 2 აპრილი. პარიზის რაიონის მელითონეების ერთი დღის გაფიცვაში, რომელიც მოხდა 1 აპრილს, მონაწილეობა მიიღო 100.000 მუშამ.

ნიუპორის, ბუარინის, ბლერიოს საავიაციო ქარხნებში, საერთაშორისო საზოგადოების ვაგონების სააღმშენებლო ქარხნებში, სიტროენისა და რენიას საავტომობილო ფაბრიკებში გაფიცული იყვენ ყველა მუშები, თითოს გამოკლებით.

ბურჟუაზიული პრესა აღიარებს, რომ პარიზის ჩრდილოეთ-ნაწილში გაფიცული იყო 80,000 მუშა, ხოლო დასავლეთის ნაწილში—30.000.

გაფიცულთა მიტინგებზე მონაწილეობას იღებდა 20.000 კაცი. მიტინგები იწყობოდა და თავდებოდა „ინტერნაციონალის" სიმღერით.

გაფიცულებმა აირჩიეს დელეგაცია 8 კომუნისტი მუშის შემადგენლობით. დელეგაციას დაევალა წარუდგინოს მწარმოებლებს მოთხოვნილება ხელფასის გადიდების შესახებ.

მაღაროს მუშებს შორის

ლონდონი, 2 აპრილი. მაღაროს მეპატრონეთა და მაღაროს მუშების წარმომადგენელთა კონფერენციაზე 2 აპრილს, მაღაროს მეპატრონეთა კავშირის თავმჯდომარემ **ვილიამსმა** მაღაროს მუშებს წარუდგინა წინადადება, რომელსაც მაღაროს მეპატრონეები საჭიროთ სთვლიან კრიზისის თავიდან ასაცილებლად, ნახშირის მრეწველობაში. ნაგულისხმევია სამუშაო დღის გადიდება, ხელფასის დაკლება, ნახშირის სხვადასხვა რაიონებში მინიმალური განაკვეთის დაწესება თვითეული რაიონის ფინანსიური მდგომარეობის მიხედვით, შრომის ნაყოფიერების გადიდება; აგრეთვე მაღაროს მუშები არ უნდა ღებულობდენ მონაწილეობას დამატებით პროდუქტებისაგან მიღებულ მოგებაში.

ეს წინადადება 9 აპრილს გადაეცემა განსახილველად სამთომადნო მუშათა კავშირის სადელეგატო კონფერენციას.

მაღაროების მეპატრონეთა წინადადების გამო, მაღაროს მუშების წარმომადგენლები უკვე ლაპარაკობენ ნახშირის მრეწველობის აუცილებელ კრიზისზე.

სამხრეთ-უელსის მაღაროს მუშათა პროფკავშირის აღმასკომის ერთ-ერთმა წევრმა განაცხადა:

„თუ მაღაროს მეპატრონეებმა მოითხოვეს ამ წინადადებათა შესრულება, მაისში ჩვენ გავხდებით მოწმენი უდიდესი სამრეწველო კატასტროფისა, რომლის მსგავსი ინგლისში ჯერ არ ყოფილა".

იენის კონფერენციის 10 წლის თავი

მოსკოვი, 3 აპრილი. გერმანიის რევოლიუციონური ახალგაზრდობის იენის კონფერენციის 10 წლის თავის გამო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მშრომელი ახალგაზრდობის მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას, **ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომმა გერმანიის ახალგაზრდობის კომკავშირს გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა,** რომელშიაც ნათქვამია, რომ იენის კონფერენციის მონაწილე და ხელმძღვანელი კარლ ლიბკნეხტი იყო არა მარტო გერმანიის ოპოზიციონური და რევოლიუციონური ახალგაზრდობის, არამედ მთელი ქვეყნის მშრომელი ახალგაზრდობის ნამდვილი მებრძოლი ორგანიზაციის შესაქმნელად. გერმანიის პროლეტარულმა ახალგაზრდობამ მიზნად დაისახა ავანგარდი ყოფილიყო იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მან ბრწყინვალეთ შეასრულა ეს ამოცანა.

საყოველთაო გაფიცვის მოლოდინში

ვაშინგტონი, 2 აპრილი. კუბას რკინის-გზელთა კავშირში ემზადება რკინის-გზელთა საყოველთაო გაფიცვისათვის კუნძულ კუბაზე.

გაფიცვა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მსხვილმა სარკინისგზო კამპანიამ გადასწყვიტა დაარსოს საკუთარი კავშირები არსებულ პროფესიონალურ ორგანიზაციების ნაცვლად.

იმის გამო, რომ კუნძულ კუბას რკინის გზები ეკუთვნის ამერიკელ კაპიტალისტებს, კუბას რკინის-გზელთა კავშირმა მიმართა ამერიკის ფედერაციის თავმჯდომარეს გრინს მოთხოვნით იშუამდგომლოს ამერიკის მთავრობის წინაშე გაფიცვის თავიდან ასაცილებლად.

რუმინეთის მთავრობა

ვენა, 2 აპრილი. რუმინეთის ახალი მთავრობის თავმჯდომარემ ავერესკუმ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც მთავრობა დაპირებას იძლევა, რომ აგრარული რეფორმა გადასინჯული იქნება და **მთავრობა შეეცდება დაახლოვებას ყველა იმ სახელმწიფოებთან, რომლებთანაც რუმინეთს დღემდე არავითარი დიპლომატიური დამოკიდებულება არ ჰქონია.**

პარლამენტის არჩევნები 25 მაისისათვის დაინიშნა.

რადიჩის გადადგომის შემდეგ

ვენა, 2 აპრილი. სამხრეთ-სლავიაში კვლავ გრძელდება მთავრობის კრიზისი.

ბელგრადიდან მიღებული ცნობით, სამხრეთ-სლავიის პრემიერი პაშიჩი ცდილობს შეადგინოს მთავრობის ახალი კოალიცია, რომელშიაც რადიჩის პარტიის მაგიერ სურს შეიყვანოს კოროშეცის კლერიკალური პარტია (პარტია ემყარება სლოვენიის გლეხობის უმრავლესობას, ინტელიგენციას და ბურჟუაზიას და მოითხოვს სლოვენიის ავტონომიას). ამ გეგმის განხორციელება ძალიან საეჭვოა, რადგან თვით რადიკალურ პარტიაში თავი იჩინა პაშიჩის საწინააღმდეგო მიმართულებამ, რომელიც პაშიჩის გადადგომას მოითხოვს. პაშიჩის მემკვიდრეთ რადიკალური პარტიის თავმჯდომარე ივანოვიჩს ასახელებენ.

რეიხსტაგის დათხოვნის წინ

ბერლინი, 2 აპრილი. საპარლამენტო წრეების ცნობით, გერმანიის მთავრობას განზრახული აქვს ივნისში დაითხოვოს რეიხსტაგი საზაფხულო არდადეგების გამო სექტემბრის დამლევამდე.

იმ გზით მთავრობას იმედი აქვს, რომ გადადებული იქნება შემოდგომამდე მეფის საგვარეულოს ქონების კონფისკაციის საკითხის განხილვა.

ამის გამო პლებისციტის ჩამტარებელი ცენტრალური კომიტეტი (რომლის შემადგენლობაში შედიან კომუნისტები, სოციალ-დემოკრატები და მთელი რიგი წვრილ-ბურჟუაზიული პაციფისტური ორგანიზაციები) აწარმოებს გაძლიერებულ აგიტაციას, რათა ნება არ მისცეს მთავრობას გადასდოს საყოველთაო კენჭის ყრა.

ბრძოლა პეკინისათვის

პეკინი, 4 აპრილი. სახალხო არმიისა და მის მოწინააღმდეგეთა შორის ტიან-ძინში წარმოებულ სამშვიდობო მოლაპარაკება **უშედეგოთ დამთავრდა,** რადგან სახალხო არმიის მოწინააღმდეგენი დიდი სახელმწიფოების წაქეზებით მოითხოვენ სახალხო არმიის კაპიტულიაციას. **ამასთან ერთად, როგორც სჩანს, უ-პეი-ფუსა და ჩჟან-ძო-ლინს შორის წარმოებული მოლაპარაკებაც ჩიხში მოექცა.**

ჩინეთის პრესის ცნობით, შესაძლებელია ახალი კომბინაცია, რომელიც შეიტანს ცვლილებას შეიარაღებულ ძალთა ეხლანდელ მდგომარეობაში. მოსალოდნელია კონფერენცია უ-პეი-ფუს, სახალხო არმიის წარმომადგენელთა და შან-სის პროვინციის სამხედრო გუბერნატორის თანდასწრებით.

იუწყებიან, რომ **უ-პეი-ფუ წინადადებას აძლევს სახალხო არმიის სარდლობას არ დასთმონ პეკინი მოლაპარაკების დამთავრებამდე. ამ გარემოებას ხსნიან იმით, რომ ჩჟან-ძო-ლინმა, ლი-ჩინ-ლინმა და ჩჟან-ძუ-ჩანმა გვერდი აუხვიეს უ-პეი-ფუს სამხედრო ნადავლის გაყოფის დროს.**

ამავე დროს იუწყებიან, რომ ჩჟან-ძო-ლინსა და ლი-ჩინ-ლინს შორის არ იქნება მიღწეული შეთანხმება ჩჟილის პროვინციაში სამხედრო გუბერნატორის თანამდებობის დაკავების შესახებ.

მოსალოდნელია კონფლიქტი მათ შორის, რადგან ორივეს სურს დაიკავოს ეს თანამდებობა.

„განიარაღების" კონფერენცია

პარიჟი, 3 აპრილი. თემთა პალატაში **პონსონბის** შეკითხვაზე განიარაღების კონფერენციის შესახებ, **ჩემბერლენმა** განაცხადა, რომ ინგლისი იწონებს კონფერენციის მოწვევის ჰუმანიურობას და ეკონომიურობას, მაგრამ აუცილებლად სთვლის, რათა ყველა ერები მზად იყვენ ასეთივე მაგალითის მოსაცემად. **ჩემბერლენმა** მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირი არ დაესწრება კონფერენციას. ლორდ სესილი ჟენევაში გაემგზავრება დავალებით მოითხოვოს საბოლოო გეგმის შემუშავება.

აღმოსავლეთის ცხოვრება

სირიაში სადულის გამგზავრების შესახებ

პარიჟი, 2 აპრილი. „ჰიუმანიტე"-ს ცნობით, სადულს უარი უთხრეს პასპორტის მიღებაზე სირიაში გასამგზავრებლად. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში სადულს განუცხადეს, რომ საფრანგეთის უმაღლესი კომისარი სირიაში **დე-ჟუვენელი** კატეგორიულად წინააღმდეგია სირიაში სადულის ჩასვლის, ვინაიდან „სადულის დასწრება პროცესის მნიშვნელობას გააზვიადებს, რაც ყოვლად დაუშვებელია". სადულს განზრახული ჰქონდა სირიაში გამგზავრება 3 რედაქტორის და 3 გამოჩენილ სირიელის დასაცავად სამხედრო სასამართლოში (აღნიშნულ პირებს ბრალათ ედებათ აჯანყების მოწყობა).

„ტაიმსის" კორესპონდენტის გადასახლება

სტამბოლი, 2 აპრილი. ოსმალეთის მთავრობამ განკარგულება მოახდინა გადასახლებული იქნას სტამბოლიდან გაზეთ „ტაიმსის" კორესპონდენტი ოსმალეთის შესახებ ყალბი ცნობების გავრცელებისათვის.

უკანასკნელი ცნობები

პერეს ფინანსიური პროექტი სენატში

პარიზი, 3 აპრილი. დღეს დილით, სენატში დაიწყო პაულ პერეს ფინანსიური პროექტის განხილვა.

შეთანხმება არ არის მიღწეული

პარიზი, 3 აპრილი. ლონდონიდან მიღებულ ცნობის მიხედვით, ნახშირის მაღაროების მეპატრონეთა და მაღაროს მუშებს შორის არ არის მიღწეული შეთანხმება შრომის ხელფასის საკითხზე.

ახალი თათბირი

პარიზი, 3 აპრილი. გუშინ შესდგა ახალი თათბირი მაროკოს შესახებ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ბრიანმა, პენლევემ, პემენმა და სტემ.

შეტევა დაიწყო

ბერლინი, 3 აპრილი. პარიზიდან მიღებული ოფიციალური ცნობების მიხედვით, საფრანგეთის ჯარები მაროკოში გადავიდნენ შეტევაზე.

გერმანია ფრთხილად არის

ბერლინი, 3 აპრილი. ბერლინის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ გერმანიის მთავრობა არ დანიშნავს დელეგატებს განიარაღების კონფერენციაზე, ხანამ კონფერენციის მუშაობის დეტალები არ გამოირკვევა.

ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენცია

ბერლინი, 3 აპრილი. გერმანიამ მიიღო მიპატიჟება ბალტიის სახელმწიფოთა კონფერენციაზე, რომელიც შესდგება პარიზში 14 მაისს.

გომინდანის მემარჯვენე ფრთის კონფერენცია

პეკინი, 2 აპრილი. გასული წლის ნოემბრის ბოლო რიცხვებში, რამოდენიმე პირმა, რომელთაც საპასუხისმგებლო თანამდებობა ეჭირათ გომინდანის პარტიაში, მოიწვიეს პეკინში ყრილობა. ამ ყრილობამ თავისთავი „გომინდანის“ აღმასკომის მეოთხე პლენუმათ გამოაცხადა და წამოაყენა ლოზუნგი კომუნიზმის და კანტონის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. იანვრის შუა რიცხვებში გომინდანის პარტიის ყრილობამ გარიცხა ეს პირები პარტიიდან.

ეხლა მემარჯვენეებმა მოიწვიეს ახალი კონფერენცია, რომელმაც დაადგინა აწარმოოს ბრძოლა კომუნიზმთან.

ახალი პოლიტიკური პარტია

ტოკიო, 2 აპრილი. ვიკონტ გოტომ განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს ახალი პოლიტიკური პარტიის დაარსება.

ამ განცხადებამ პოლიტიკური სენსაცია გამოიწვია.

იმპერიალისტების პოლიტიკა ჩინეთში

პეკინი, 2 აპრილი. ინგლისური გაზეთი „პეკინ ენდ ტიან-ძინ ტაიმსი“ უკანასკნელ დღეების განმავლობაში ათავსებს წერილებს, რომლებიც ამტკიცებენ დეპეშათა სააგენტო „აზიატიკ“-ის მიერ გადმოცემულ ცნობების სისწორეს, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკის შესახებ ჩინეთში. (აღნიშნული სააგენტო 31 მარტს იუწყებოდა, რომ იაპონია და ინგლისი ხელს უწყობენ ჩან-ძო-ლინს პეკინის დაპყრობაში. ამავე დროს ინგლისი მოითხოვს, რომ ჩან-ძო-ლინმა პეკინის დაკავების შემდეგ შესწყვიტოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და პირდება მას სამაგიეროთ დიდი სესხის მიცემას შეღავათიან პირობებში).

მექსიკის შრომის კონფედერაციის ყრილობა

მექსიკო. 2 აპრილი, იუწყებიან, რომ მექსიკის შრომის კონფედერაციის მეშვიდე ყრილობა ბიუროკრატიულ ატმოსფერაში ჩატარდა, ყრილობაზე ქებათა-ქებას ასხამდენ კაიესის მთავრობას და „მექსიკის გომპერს“-ს ლუი გორონესს.

ყრილობა გახსნა ფედერაციის თავმჯდომარის ამხანაგმა რიკარდო ტრევინომ, რომელმაც აღნიშნა, რომ ქვეყნის წარმოება-მრეწველობა გაკოტრების წინაშე სდგას. მან მოუწოდა მექსიკის მშრომელ მასებს, რათა მათ გადაარჩინონ მრეწველობა დაღუპვისაგან, პრეზიდენტმა კაიესმა მიმართა ყრილობას სიტყვით და მოუწოდა მას გაიმსჭვალოს ეროვნული გრძნობით.

ხოუტონი ბრუნდება ლონდონში

ბერლინი, 3 აპრილი. ამერიკის ელჩი ხოუტონი დაბრუნდა ლონდონში. ოფიციალურ წრეებში ფიქრობენ, რომ ხოუტონის დაბრუნება ამერიკის თვალსაზრისის გამარჯვებას ნიშნავს განიარაღების საკითხში, რასაც ამტკიცებს ლორდ სესილის პროგრამაც განიარაღების შესახებ, რომელიც ამჟამათ გამოქვეყნებული არის.

კვაჭი კვაჭანტირაძის გასტროლები

ვასილ დუმბაძე ამერიკაში

ვაშინგტონი, 1 აპრილი. მას შემდეგ, რაც ევროპაში ვერაფერს გახდა, ვასილ დუმბაძე ჩავიდა ამერიკაში— „საქართველოს ეროვნული მთავრობის“ მანდატით. მან რამდენჯერმე მოისურვა, რომ მიღებულ ყოფილიყო საგარეო საქმეთა სამინისტროში, **მაგრამ ყოველთვის უარი მიიღო.** ჯერ კიდევ შარშან, მან თხოვნით მიმართა სტატ-სეკრეტარს **იუზს**, რომ ის მიეღოთ, როგორც „დაჩაგრული ხალხის“ წარმომადგენელი, მაგრამ **უარი უთხრეს.**

ამჟამად ჟორდანიას „მთავრობის“ ახალი მანდატით ვასილ დუმბაძე ვიღაც **ჯონ სტიუარტის** თანხლებით ხელახლა ჩამოვიდა ამერიკაში და სცადა საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოცხადება. სტიუარტმა ის გააცნო სენატის საგარეო საქმეთა კომისიის ერთ-ერთ წევრს, რომელმაც დახმარება აღუთქვა „საქართველოს ეროვნული რესპუბლიკის“ ცნობის საკითხში. სტიუარტი ითვლება ინგლისის საპროპაგანდო ორგანიზაციის მფარველობის ქვეშ მყოფ საზოგადოების „სელგრევის“ თავმჯდომარეთ.

ამავე დროს ამერიკის ეკონომიურ სფეროებში **დუმბაძეს შანტაჟისტათ სთვლიან.**

სხვადასხვა

— **ხანძარი ლივორნის ნავთსადგურში.** ამ დღეებში ლივორნის ნავთსადგურში გაჩნდა ხანძარი. ნავიდან გადაგდებულ ანთებული ასანთისაგან ცეცხლი გაუჩნდა ნავთით დატვირთულ გემს.

ხანძარმა პანიკა გამოიწვია ნავთსადგურში და ქალაქში. ზარალი ჯერ არ არის გამორკვეული. ძალიან დაზარალდენ ახლოს მდგომი გემები.

— **ძვირფასი ისტორიული საგნების აღმოჩენა.** ვილნოში ოსტრობრამის ქუჩის გა[illegible]რიული საგნები, რომელიც მე-12-ე საუკუნეს ეკუთვნის.

აღმოჩენილ საგნებს შორის არის: გვირგვინი, 6 ფუთი ოქროს ფული, წიგნები და „ლიტოვსკაია რუს“-ის რუსულ ენაზე დაწერილი დოკუმენტები.

— **გააუქმეს.** როგორც წინანდელ ცნობაში იტყობინებოდენ, ჩეხო-სლოვაკიის მთავრობამ 25 მარტის განკარგულებით აკრძალა პოლონეთიდან ჩეხო-სლოვაკიაში ღორების, მსხვილფეხა საქონლის და ნახშირის შემოზიდვა.

პოლონეთის პრესის ცნობით, ჩეხო-სლოვაკიის მთავრობამ განკარგულება გასცა, რომლითაც ნებადართულია პოლონეთიდან [illegible]

პოლონეთის გაზეთების ცნობით, ახლო მომავალში ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა სავსებით გააუქმებს თავის წინანდელ განკარგულებას პოლონეთიდან ცოცხალი პირუტყვის შემოზიდვის აკრძალვის შესახებ.

რა ხდება უცხოეთში

იტალია და სამხრეთ-სლავია

სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრის ნინჩიჩის გამგზავრებამ იტალიაში დიდი მღელვარება გამოიწვია სამხრეთ-სლავიის საზოგადოებრივ წრეებში.

ოპოზიცია აცხადებს, რომ ნინჩიჩმა რაღაც საიდუმლო ხელშეკრულება დასდო იტალიასთან, რასაც მალავს ქვეყნისაგან.

რაზე ამყარებს ოპოზიცია თავის ეჭვებს?

„ტაიმსში“ დაიბეჭდა ცნობა, რომ ნინჩიჩმა რომში ყოფნის დროს ხელშეკრულება დასდვა, რომლის ძალით სამხრეთ-სლავია ვალდებულია ააშენოს ნავთსადგურები ადრიატიკის ზღვაზე და ისარგებლოს საქონლის გამოსატანად და შემოსატანად ფიუმეს ნავთსადგურით. სამაგიეროთ იტალია პირდება სამხრეთ-სლავიას, რომ მხარს დაუჭერს უკანასკნელის პრეტენზიებს სალონიკზე.

თუმცა მთავრობამ უარყო ეს ცნობა, მაგრამ ოპოზიციური პრესა არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს, რადგან მთავრობა არაფერს ამბობს თუ რაზე ჰქონდათ საუბარი მუსოლინისა და ნინჩიჩს.

თავის ეჭვების დამამტკიცებელ საბუთს ოპოზიცია პოულობს იტალიის დეპეშათა სააგენტოს ცნობაში, რომ ახლო ხანში გაყვანილი იქნება ახალი რკინისგზა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს იტალიის ვაჭრობის გაფართოებას ბალკანეთის ქვეყნებთან. გარდა ამისა, ზაგრებში (სამხრეთ-სლავია) განზრახულია იტალია-ამერიკის საზოგადოების დაარსება ბელგრადსა და სპლიტს შორის წესიერი სარკინისგზო მიმოსვლის მოსაწყობათ.

ეს ცნობა არ ყოფილა უარყოფილი სამხრეთ-სლავიის მთავრობის მიერ.

ყველაფერი ეს საბუთს აძლევს ოპოზიციას განაცხადოს, რომ ნინჩიჩმა იტალიის გულის მოსაგებათ უარი სთქვა დამოუკიდებელ პოლიტიკაზე, ადრიატიკის ზღვაზე შესწყვიტა ნავთსადგურების აშენება და ხელს აღარ უწყობს საზღვაო ვაჭრობას.

გაზეთი „ხორვატ“ სწერს, რომ ნინჩიჩის პოლიტიკას შედეგათ მოჰყვება იტალიის პროტექტორატი არა მარტო სამხრეთ-სლავიაზე, არამედ მთელ ბალკანეთზე.

ნინჩიჩის საგარეო პოლიტიკამ განსაკუთრებით დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სლოვენთა და ხორვატთა ბურჟუაზიაში, რომელიც ფიქრობს, რომ ნინჩიჩის პოლიტიკის მიზანია სერბიის კაპიტალის გაძლიერება.

ბელგიელი სოციალისტები და „ფაშისტური საფრთხე“

მუშათა მასების ზეგავლენით ბელგიელი „სოციალისტები“ იძულებული გახდენ „მხარი დაეჭირათ“ ანტიფაშისტური კამპანიისათვის, რომელსაც კომპარტია აწარმოებს.

ამ მიზნით მათ გადასწყვიტეს ანტიფაშისტური დემონსტრაციის მოწვევა. დემონსტრაცია აკრძალეს. მაშინ „სოციალისტებმა“ მოიწვიეს მიტინგი, რომელზედაც სიტყვით გამოვიდა დე-ბრუკერი (ვანდერველდეს მარჯვენა ხელი). დე-ბრუკერმა დაიწყო იქიდან, რომ ბელგიაში ფაშისტები საშიში არ არიან, რადგან მათ არ ემხრობა არმია. „და თუ ოფიცრობის ნაწილი, ხალხის ნება-სურვილის წინააღმდეგ, მაინც დაუჭერს მხარს ფაშისტებს, სოციალისტები მათ ამის ნებას მისცემენ“.

შემდეგ დე-ბრუკერმა განაცხადა: „თუ მაინც მოინდომებენ მუშებისათვის ხიშტის ჩაცემას, ჩვენ ვეტყვით ჯარისკაცებს: „არა კაც ჰკლა““.

როგორც გაზეთები იუწყებიან, დე-ბრუკერმა აუდიტორიის განწყობილებიდან დაასკვნა, რომ ასეთი ცრუ-პაციფიზმით ვერვის მოატყუებდა და იძულებული შეიქნა განეცხადებია:

„მუშებმა უდნა მიიღონ ზომები თავდაცვისათვის, რადგან ფაშისტები შეტევაზე გადმოდიან“.

დე-ბრუკერის ამ სიტყვის გამო კომუნისტური გაზეთი „დრაპო რუჟ“ სწერს: „ეს არის ჩვეულებრივი სიტყვა ადამიანის, რომელიც ერთს ლაპარაკობს და მეორეს აკეთებს“.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

უმუშევრობა ავსტრიაში

უმუშევრობა მეტად მწვავე საკითხია თანამედროვე ავსტრიისათვის. ავსტრიამ ომის შემდეგ დაჰკარგა ყველა ბაზრები, წარმოება ყოველდღიურად მცირდება. ამის შედეგია უმუშევრობის შეუწყვეტელი ზრდა.

წარსული წლის ოქტომბერში, როცა ავსტრიის პარლამენტში ირჩეოდა ბიუჯეტის საკითხი, უმუშევართა რიცხვი განსაზღვრული იქნა 130.000 კაცით და ამასთან შეფარდებით 1925-26 წლისათვის უმუშევართა დასახმარებლად გადადებული იქნა 32.000 მანეთი. მაგრამ, უკვე იანვრის დამლევს ოფიციალური სტატისტიკური ცნობებით, უმუშევართა რიცხვი ავსტრიაში უდრიდა 223.000, თებერვლის მეორე ნახევარში (ე. ი. 15 დღის განმავლობაში) ეს ციფრი 250.000-დი გაიზარდა.

მხოლოდ ვენაში უმუშევართა რიცხვი 15 თებერვლისათვის 90.000-ს უდრიდა, ვენის მიდამოებში კი—14.900.

მაგრამ ოფიციალური სტატისტიკური ცნობები როდი იძლევიან უმუშევრობის ნათელ სურათს ავსტრიაში.

უმუშევართა ზემოთ-მოყვანილ რიცხვში არ შედიან ის უმუშევრები, რომლებმაც დაჰკარგეს დახმარების მიღების უფლება (ავსტრიაში უმუშევრებს დახმარება ეძლევათ მხოლოდ განსაზღვრული დროის განმავლობაში). გარდა ამისა, უმუშევართა რიცხვში არ შედიან უმუშევართა მთელი ჯგუფები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო არ არიან აღრიცხული შრომის ბირჟაზე.

დახმარების რაოდენობის მხრივ უმუშევრები რამდენიმე კატეგორიად არიან დაყოფილი. დახმარების რაოდენობა შეადგენს უკანასკნელი შრომის ხელფასის 30-35%-ს.

მუშათა მოძრაობის ზრდა იაპონიაში

იაპონიაში მუშათა მოძრაობის ზრდის შესახებ ნათელ წარმოდგენას იძლევა ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოქვეყნებული ცნობები გაფიცვების რაოდენობის შესახებ დაწყებული 1897 წლიდან.

1897 წლიდან 1906 წლამდი იაპონიაში ადგილი ჰქონდა 174 გაფიცვას, ე. ი. საშუალოთ 17 გაფიცვას წელიწადში, გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი არ აღემატებოდა (წელიწადში) 2.948. 1907-1913 წ. ადგილი ჰქონდა 209 გაფიცვას, ე. ი. საშუალოდ 30 გაფიცვას წელიწადში. გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი 3857-დი გაიზარდა.

1914 წლიდან, როგორც გაფიცვათა, ისე გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი სწრაფად იზრდება. 5 წლის პერიოდში (1913-1918წ.) გაფიცვების რიცხვმა მიაღწია 1037-დი, რაც წელიწადში 207 შეადგენს. გაფიცვების მონაწილეთა რიცხვი 29.387-დი გაიზარდა.

გაფიცვების ტალღა ძლიერი იყო 1919 წ. შემდეგ წლებში გაფიცვების რიცხვი დროგამოშვებით იზრდება და კლებულობს, რაც ნათლად სჩანს ქვემოთმოყვანილ ციფრებიდან.

წლები	გაფიცვების რაოდენობა	მონაწილეთა რიცხვი
1919	497	63.000
1920	282	36.000
1921	246	58.000
1922	250	41.000
1923	270	36.000
1924	333	54.000
1925 (ნოემბრამდი)	276	33.000

იაპონიის პროლეტარიატი სუსტად არის შეკავშირებული პროფკავშირებში მხოლოდ 24.000 კაცია გაერთიანებული, რაც მთელი მუშათა მასის 3,5%-ს შეადგენს.

ფრანგ ჟურნალისტების მოთხოვნილებანი

[illegible] მა კავშირმა წამოაყენა მთელი რიგი მოთხოვნილებები. ჟურნალისტები მოითხოვენ კოლექტიურ ხელშეკრულებათა შემოღებას, მინიმუმის დაწესებას, ავადმყოფობის დროს ხელფასის შენახვას, დათხოვნის შესახებ ერ[illegible] რი ჯილდოს მიცემას ამ შემთხვევაში, კონფლიქტების გარჩევას მედიატორული წესით და ხელფასის გადიდებას სიძვირის ზრდასთან შეფარდებით.

პარტიული ცხოვრება

კიდევ უჯრედების ღია კრებებზე

დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ უჯრედის ღია კრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს უპარტიო მუშებსა და გლეხებში მუშაობისათვის; და კრებები საუკეთესო საშუალებაა უპარტიო აქტივის წამოსაყენებლად. ფაბრიკა-ქარხნებში და სოფლებში აქტიური მუშები და გლეხები პირდაპირ თავის მოვალეობად თვლიან დაესწრონ უჯრედების კრებებს და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამა თუ იმ საკითხის გადაჭრაში. ზოგიერთ სოფლის უჯრედებს აღრიცხვაზეც კი ჰყავს აყვანილი უპარტიო აქტივი და მათ პარტიულებთან ერთად იწვევენ სხდომებზე. ერთი სიტყვით ყველას შეგნებული აქვს, რომ უჯრედების ღია კრებები საუკეთესო საშუალებაა უპარტიო მუშებსა და გლეხებში მუშაობის საწარმოებლად და მათზე თავისი გავლენის განმტკიცებისათვის.

თუ კარგად დავაყენებთ უჯრედების ღია კრებების საქმეს უეჭველია, რომ იმ მიზანს, რასაც ჩვენ ამით ვისახავთ, მივაღწევთ.

ერთი რამ უნდა აღინიშნოს. ზოგიერთი უჯრედები საყვედურს აცხადებენ, რომ უპარტიოები არ ესწრებიან კრებებსო, ეს აიხსნება მითი, რომ სათანადოთ ვერ ვაწყობთ კრებებს, ვერ ვიმუშავებთ ღია კრებების დღის წესრიგს.

ღია კრებებზე უმთავრესად ადგილობრივი საჭირბოროტო საკითხი უნდა გაირჩეს; ქარხნის ან ფაბრიკის უჯრედის ღია კრებაზე დღის წესრიგში უნდა დაისვას ფაბრიკის ან ქარხნის მდგომარეობა, შრომის ნაყოფიერება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხები და სხ. სოფლის უჯრედზე კი გლეხისთვის საინტერესო საკითხები.

ეს საკითხები ჩვენს მუშებსა და გლეხებს აინტერესებთ, და ამიტომ ისინი ყოველთვის სიამოვნებით დაესწრებიან ასეთ კრებებს. ზოგიერთები წინააღმდეგი არიან, რომ ღია კრებებზე საერთაშორისო მდგომარეობაზე გაკეთდეს მოხსენება. ამას იმით ასაბუთებენ, რომ მუშ. და გლეხებს არ აინტერესებთ რა კეთდება სხვაგან, ისინი თავის ახლოს მდებარე საქმით უფრო დაინტერესებული არიან და მათზე უნდა ესაუბროო. ეს მართალი არ არის ჩვენს მუშ. და გლეხებს უსათუოდ აინტერესებთ ჩვენი რესპუბლიკების გარეშე და შინაური მდგომარეობა, მაგრამ საჭიროა ამ საკითხზე მოხსენებები მომზადებული იყვეს და მოხსენება 3—4 საათი არ გაგრძელდეს. აი ამას უნდა მიაქციონ ყურადღება უჯრედებმა, როდესაც უჯრედის ღია კრებაზე მოხსენებას ნიშნავენ საერთაშორისო საკითხებზე. გარდა ამისა დღის წესრიგში ბევრი საკითხ. არ უნდა დაისვას, თორემ ეს ღალავს სხდომის მონაწილეთ. ხშირა ხდება, რომ უჯრედის ღია კრების შემდეგ იმართება დახურული კრება. თავმჯდომარე აცხადებს: ვთხოვთ უპარტიოებს დასცალონ დარბაზი, დარჩებიან მხოლოდ პარტიულები. ეს ძლიერ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს უპარტიოებზე და ყოველგვარ ხალისს უკარგავს შემდეგში ღია კრებებზე დასწრებისას. თუ ხდება ღია კრება ყოვლად დაუშვებელია იქვე მეორე დახურული კრების გამართვა.

გარდა ამისა ადგილი აქვს შემთხვევას, როდესაც უპარტიოები მონაწილეობენ პრეზიდიუმის არჩევაში. არც ეს არის დასაშვები.

ერთი სიტყვით საჭიროა, ღია კრებებს სწორად ვუხელმძღვანელოთ, სწორად დავაყენოთ მათი მუშაობა და შედეგებსაც კარგს მივიღებთ.

ი.

ლენინის რაიკომის პლენუმი

ლენინის რაიკომის გაფართოებულ პლენუმზე უჯრედების ბიუროებთან, პარტორგანიზატორებთან და კომკავშირთა უჯრედების მდივნებთან ერთად, მოსმენილ იქნა ამხ. კომახიძის საანგარიშო მოხსენება რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების მუშაობის შესახებ ა. წ. 1 ნოემბრიდან 1 მარტამდე.

თავის საანგარიშო მოხსენებაში ლენრაიკომის საორგანიზაციო განყოფილების მუშაობის შესახებ ამხ. კომახიძე შეეხო ორგთათბირს რომელიც მოწყობილ იქნა საანგარიშო წლის დასაწყისში. ამ ხნის განმავლობაში ორგთათბირს ჰქონდა 7 სხდომა. მოსმენილ იქნა 2 უჯრედის მდივნების და კომკავშირის საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოხსენებები. დამუშავებულია დებულებები ყველა საუჯრედო კომისიებისათვის და პარტორგანიზატორებისათვის. სულ გამოკვლეულ იქნა 12 ტიპიური უჯრედი. მოსმენილ იქნა 8 უჯრედის მდივნების მოხსენებები და რაიკომის ინსტრუქტორების თანამოხსენებები. უჯრედების სხდომებს რაიკომის ინსტრუქტორები დაესწრენ ორჯერ. ამ ხნის განმავლობაში მოწყობილ იქნა 6 ახალი უჯრედი. გაფართოვებულია პარტორგანიზატორების ქსელი. 27 უჯრედში გატარებულია საუჯრედო აქტივის დატვირთვის აღრიცხვა.

უჯრედთა ბიუროების კონფერენცია მოწვეულ იქნა სამჯერ, უჯრედთა მდივნების თათბირი ადგილკომების ფრაქციებთან ერთად ერთჯერ, თითოჯერ მოწვეულ იქნა ყველა საუჯრედო კომისიები, ოროლჯერ—პარტორგანიზატორები. პლენუმის 5 სხდომიდან—3 ჩატარდა რაიონის მთელი აქტივის მონაწილეობით.

რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებასთან მუშაობს მიმღები კომისია, რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა 3 თვის წინად.

მიმღები კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენება მოსმენილ იქნა საორგანიზაციო თათბირზე და ამ მოხსენებით გამოირკვა საქმის სუსტი ორგანიზაცია და მუშებისადმი არა სწორი მიდგომა უკანასკნელთათვის დიდი მოთხოვნილების წაყენებით.

საანგარიშო პერიოდის დასაწყისში ჩვენ ორგანიზაციაში გვყავდა 2.279 კაცი; აქედან წევრი—1.504 (66,0 პროც.) და კანდიდატი 775 კაცი (34,4 პროც.). ამ ჟამად ჩვენ გვყავს—2.517 კომუნისტი—აქედან 1.752 წევრი (69,6 პროც.) და 765 კანდიდატი (30,4 პროც.).

ორგანიზაციაში ითვლება 1986 მუშა (78,9 პროც.), გლეხი—127 (5,0 პროც.), მოსამსახურე—374 (14,9 პროც.) და [illegible]ნები 30 (1,2 პროც.).

რაიონში კომკავშირელთა შორის პარტიის წევრთა [illegible] ბულია კურსი პარტიის წევრთა რაოდენობის გასადიდებლად კომკავშირის ორგანიზაციაში. თბილისის კომიტეტის დირექტივების თანახმად ყველა უჯრედებში გაუქმებულია ახალგაზრდობის შორის მომუშავე კომისიები და მათ ადგილას კომკავშირელთა უჯრედებზე მიმაგრებული არიან კომუჯრედების წარმომადგენლები.

1 ოქტომბრისათვის საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმული იყო უპარტიოთა 9 პროცენტი, ამ ჟამად უპარტიოთა საერთო რიცხვიდან ე. ი. 12.001 კაციდან ჩაბმულია 1.523 კაცი, რაც შეადგენს 12,7 პროცენტს. ჩვენი უჯრედების ღია კრებებზე უპარტიოთა დასწრების პროცენტის სისუსტე აიხსნება იმით, რომ ჩვენ ხშირად გვიხდება უჯრედთა დახურული კრებების მოწყობა პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლის გამო. პარტიის გავლენა რაიონში აღწევს 25 პროცენტს.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს მთელ რიგ ამხანაგებმა, რომელთაც აღნიშნეს მიმღები კომისიის მუშაობის სისუსტე, ახალგაზრდობის მუშაობის სუსტი ხელმძღვანელობა, აქტივის, განსაკუთრებით კი უჯრედთა მდივნების ზედმეტი დატვირთვა და სხვ.. უჯრედებში არ არის საკმაოდ გამოყენებული მთელი საუჯრედო აქტივი, წითელ არმიასთან არსებობს მხოლოდ ფორმალური კავშირი.

პლენუმმა მოიწონა რა რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების მუშაობა განყოფილების მიერ აღებული საორგანიზაციო ხაზი სწორედ აღიარა. ამასთანავე ერთად პლენუმმა გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები, მომავალი მუშაობისათვის.

მ. პოპოვი.

ცეკას სტამბის კომუჯრედის კრება

26 მარტს, შესდგა ცეკას სტამბის უჯრედის დახურული კრება. დღის წესრიგში იდგა ქარხკომის ინფორმაციული მოხსენება განვლილი მუშაობის შესახებ და სხ. მომხსენებელმა ქარხკომის მუშაობის შესახებ პირველად აღნიშნა, რომ სტამბა ახალი დაარსებულია და ქარხკომის მუშაობა თან და თან დგება კალაპოტში, შემდეგ ის შეეხო თუ რა გაკეთდა ამა თუ იმ დარგში. საერთოდ გამოირკვა, რომ ადგილკომს სუსტად უმუშავნია კულტურულ-განმანათლებელ დარგში, არ არის მოწყობილი ბიბლიოთეკა სათანადო ლიტერატურით, არ არის მიღებული ზომები მუშა-მოსამსახურეების საკლუბო მუშაობაში ჩასაბმელად. არ არსებობს სხვა და სხვა წრეები.

უჯრედმა პრაქტიკული წინადადება შეიმუშავა ადგილკომის მომავალი მუშაობისთვის სახელმძღვანელოდ. შემდეგ უჯრედმა აირჩია დამატებითი წევრები ბიუროში და აგიტკომისიაში. განხილულ იქნა აგრეთვე ერთი ამხანაგის განცხადება პარტიაში მიღების შესახებ.

აქაური.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

წარმომადგენლობა რკ. გზელთა საერთაშორისო კავშირში

მოსკოვი, 3 აპრილი. გზათა სახ. კომისარიატმა რკინისგზელთა საერთაშორისო კავშირის თავმჯდომარისაგან მიიღო წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ **კავშირის შემოდგომის პლენარულ სხდომაზე დასმულ იქნება საკითხი საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის შესვლის შესახებ რკ. გზელთა კავშირის პრეზიდიუმში.**

ამჟამად პრეზიდიუმი შესდგება 4 წარმომადგენლისაგან (საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, იტალია). თხოვნა საბჭოთა კავშირის მიღების შესახებ პრეზიდიუმში გზათა სახ. კომისარიატმა შეიტანა ამ ცოტა ხნის წინად და ასაბუთებდა იმით, რომ **საბჭოთა კავშირი რკინის გზის ქსელის სიგრძის მხრივ სდგას პირველ რიგში იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც შედიან კავშირში.**

სახელმწიფო საგეგმო კომისიის 5 წლის თავი

მოსკოვი, 3 აპრილი. 1 აპრილს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხუთი წლის თავის გამო შესდგა კომისიის თანამშრომლების საერთო კრება, რომელზედაც კრჟიჟანოვსკიმ აღნიშნა გეგმიანი მუშაობის ძირითადი მიზნები.

..სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, განაცხადა კრჟიჟანოვსკიმ, გაიარა რამდენიმე ეტაპი, თვითეულს მათგანს ახასიათებს რაიმე მიღწევა. პირველ ეტაპში, ინტერვენციის პერიოდში, საჭირო იყო უდიდესი სიმტკიცე. შემდეგ ეკონომიური ნგრევის დაძლევის პერიოდში საჭირო იყო შეუდრეკელი ენერგიული მუშაობა. ეხლა, როცა ჩვენ შევდივართ სოციალიზმის აღმშენებლობის ხანაში, ჩვენთვის სიმტკიცის და გაბედულობის გარდა, საჭიროა კოლექტიური მუშაობის უნარის გამოჩენა. გეგმიანი მუშაობის შემწეობით ჩვენ თანდათან ვაწესრიგებთ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებას.

რკ. გზ. საერთაშორისო კავშირის სესიის გადადება

მოსკოვი, 3 აპრილი. რკ. გზ. საერთაშორისო კავშირმა აცნობა გზათა სახ. კომისარიატს, რომ კავშირის სესია გადაიდო ერთი კვირით და გაიმართება სევილიაში (ესპანეთი) 1926 წლის 29 აპრილს.

საკავშირო ცაკის სესია

მოსკოვი, 3 აპრილი. გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობები იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის ცაკის სესია გაიხსნება 16 აპრილს, არ შეესაბამება სინამდვილეს. **სესია გაიხსნება მოსკოვში 10 აპრილს.**

მუშათა კოოპერაციის წარმომადგენელთა საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 3 აპრილი. 2 აპრილს გაიხსნა მუშათა კოოპერაციის წარმომადგენელთა საკავშირო თათბირი. თათბირს დაესწრო 170 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 70—სათათბირო ხმით.

მისასალმებელ სიტყვაში ცენტროკავშირის სახელით ხინჩუკმა განაცხადა, რომ კოოპერაციაში დარაზმულ მუშების რაოდენობა 1 წლის განმავლობაში გაიზარდა 600.000-მდე. დუქნების რაოდენობა 7.000-დან 12.000-მდე გაიზარდა. ბრუნვა კი—650 მილიონიდან 1.000.200.000 მანეთამდე.

ცენტროკავშირის ცენტრალურ მუშათა სექციის სახელით საანგარიშო მოხსენება გააკეთა ამხ. სახაროვმა. სარევიზიო კომისიის სახელით ილაპარაკა კნოპინსკიმ.

პურის კოოპერაცია

მოსკოვი, 3 აპრილი. სასოფლო-სამეურნეო კავშირმა შუამდგომლობა აღძრა ვაჭრობის სახ. კომისარიატის წინაშე გამოყოფილ იქნეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემიდან პურის სპეციალური კოოპერაცია. ეს საკითხი გაირჩა ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიის უკანასკნელ სხდომაზე და დამტკიცდა. პურის კოოპერაციის სათავეში იქნება „ხლებოცენტრი“.

პროფესორი კაპიცი

ლენინგრადი, 3 აპრილი. **ინგლისიდან დაბრუნდა გამოჩენილი რუსი მეცნიერი პროფესორი კაპიცკი, რომელიც ხუთი წელიწადი მუშაობდა კემბრიჯის უნივერსიტეტში.**

ლენინგრადში კაპიცი მონაწილეობას მიიღებს ფიზიკო-ტეხნიკურ ინსტიტუტთან საინჟინერო-მუშაობის განყოფილების მოწყობაში. აღნიშნული განყოფილება მისი ხელმძღვანელობით იმუშავებს.

ბრინჯაოს ფული

ლენინგრადი, 3 აპრილი. ზარაფხანამ სახელმწიფო ბანკს გადასცა ბრინჯაოს ფულის პირველი პარტია. ამ დღეებში ბაზარზე გამოვა ბრინჯაოს ახალი ფული 1 და 3 კაპეიკიანი.

რადიო გადაცემა

მოსკოვი, 3 აპრილი. კომინტერნის სახელობის რადიო-სადგურმა მოსკოვში კალკუტასა (ინდოეთი), კოლორადოსა და მინესოციდან (ამერიკა), და აგრეთვე სხვა ადგილებიდან მიიღო ცნობა, რომ ჩვენი რადიო-სადგურის მიერ გადაცემული ცნობები გარკვევით ისმის.

უკრაინა

წყალდიდობა ხარკოვში

ხარკოვი, 3 აპრილი. 2 აპრილს ხარკოვში დაიწყო წყალდიდობა. წყალი სწრაფად მატულობს და უახლოვდება ელექტრონის სადგურს. სადგურის მუშებმა მოაწყვეს სპეციალური ჯგუფი სადგურის დასაცავათ წყალდიდობისაგან.

ქვა-ნახშირის ამოღება

ხარკოვი, 3 აპრილი. **დონის ნახშირის წარმოებებში მარტში ამოღებული ნახშირის რაოდენობა ყველა წინა თვეებისას აღემატება. ამოღებულია 82 მილ. ფუთი, რაც გეგმით გათვალისწინებულ რაოდენობას 10 მილ. ფუთით აღემატება.**

დახმარება ინვალიდებს

მოსკოვი, 3 აპრილი. სოციალურ დაზღვევის საკავშირო საბჭომ მოიწონა კომისიის პროექტი დახმარების რაოდენობის შესახებ დაჭრილ-დასახიჩრებულთა და შრომის ინვალიდთათვის, რომელთა შრომის უნარის უქონლობა დამტკიცებულ იქნა 1925 წლის 1 ოქტომბრამდე. საბჭომ დაადგინა, რომ დაზღვეულთა ამ ჯგუფის დახმარების რაოდენობის გადასინჯვა მოხდეს შრომის ინვალიდთა ძირითადი მასის დახმარების გადასინჯვასთან ერთად.

ამ პირთა კონტინგენტის დახმარების რაოდენობის გამოანგარიშებას საფუძვლად უნდა დაედოს იმავე პროფესიის მუშა-მოსამსახურეების საშუალო თვიური ჯამაგირი.

შემდეგ საბჭომ მიიღო დადგენილება იმ უმუშევართა დაზღვევის შესახებ, რომელნიც მიღებული არიან საზოგადოებრივ სამუშაოებზე, შრომის ბირჟის მიერ მოწყობილ წარმოებასა და კოლექტივებში.

ლენინგრადის საბჭოს მუშაობა

ლენინგრადი, 3 აპრილი. დაიწყო ლენინგრადის საბჭოს საანგარიშო კამპანია. საბჭოს პრეზიდიუმის წევრები გამოდიან მოხსენებებით საგუბერნიო აღმასკომის საბჭოს მუშაობის შესახებ უმსხვილეს სამრეწველო დაწესებულებებში.

ქარხანა „კრასნი პუტილოვეცში“ მოხსენება წაიკითხა ლენინგრადის საბჭოს თავმჯდომარემ **კამაროვმა, მოხსენებაში კამაროვმა აღნიშნა, რომ ლენინგრადის საბჭომ მიაღწია უდეფიციტო ბიუჯეტს, რის გამო საშუალო ხელფასის გაცემა დაუბრკოლებლივ სწარმოებს.**

ლენინგრადის მრეწველობას მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს. აქ ამჟამად მუშაობს 212.000 კაცი, 1924 წელში კი 139.000 მუშა ირიცხებოდა.

საერთო ეკონომიური დაბრკოლებები ვერ მოახდენს გავლენას ლენინგრადის მრეწველობაზე. ლენინგრადის საბჭო სცდილობს შეინარჩუნოს მუშების არსებული რაოდენობა ახალ საბიუჯეტო წლამდე, როდესაც დაიწყება მუშა-ძალის ახალი მოზღვავება.

კოოპერაცია შესამჩნევად განმტკიცდა, ქალაქის მეურნეობა დღითი-დღე უმჯობესდება.

მუშების შეკითხვებზე — იქნება თუ არა შეჩერებული მუშაობა „პუტილოვეც“-ში, კამაროვმა განაცხადა, რომ ლითონის მრეწველობას არავითარი საფრთხე არ მოელის და არც ერთი ლითონის ქარხანა, მათ რიცხვში „პუტილოვეცი“, ერთი დღითაც არ იქნება შეჩერებული.

ჯალათ ფუნტიკოვის საქმე

ბაქო, 3 აპრილი. 1925 წ. 11 იანვარს სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მიერ სტალინგრადის გუბერნიაში სოფელ ლიაპიჩევოში შეპყრობილ იქნა **თედორე ანდრიას ძე ფუნტიკოვი, სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიის წევრი 1905 წლიდან, რომელიც 1918 წლის განმავლობაში ინგლისელ მპერიალისტების, მენშევიკების და ყველა ბნელი ძალების შემწეობით ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას კასპიის იქითა მხარეში და ამიერ-კავკასიაში და რომელმაც ინგლისის ჯარების სარდლობის დახმარებით მხეცურად დახვრიტა ბაქოს 26 კომისარი და 9 ასხაბადელი კომისარი.**

სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ უკვე დაამთავრა ფუნტიკოვის საქმის გამოძიება. საბრალმდებლო დასკვნა უკვე გადაეცა ფუნტიკოვს, რომელიც ახლო მომავალში წარსდგება საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს წინაშე.

საბრალმდებლო დასკვნის მიხედვით ფუნტიკოვს ბრალი ედება შემდეგში:

1) როგორც სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიის აქტიურმა წევრმა 1905 წლიდან, ფუნტიკომა პარტიის კონტრ-რევოლიუციონური ტაქტიკის განხორციელების მიზნით კასპიის იქითა მხარეში მოაწყო აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და მისი დამხობის შემდეგ ხელმძღვანელობდა გალაშქრებას ტაშკენტისაკენ.

2) ზემოდ აღნიშნულ აჯანყების მოსაწყობად მან კავშირი დაიკავა ინგლისის ჯარების სარდლობასთან სპარსეთში და რომ ყოველმხრივი დახმარება მიიღო ესერების ავანტიურის და მთელი თავისი მუშაობის განსავითარებლად, ის, როგორც ესერების პარტიის აქტიური წევრი, ხელს უწყობდა ინგლისელების შეიარაღებულ ჩარევას საბჭოთა ფედერაციის საქმეში, ე. ი. აქტიურად ხელს უწყობდა უცხოეთის ბურჟუაზიას საბჭოთა ხელისუფლების და არსებულ მუშურ-გლეხური მთავრობის დამხობის ცდაში.

3) მან მონაწილეობა მიიღო სოციალისტ-რევოლიუციონერების კასპიის იქითა მხარის ორგანიზაციის თათბირში, რომელმაც დაადგინა ასხაბადის 9 სახალხო კომისარის დახვრეტა, რაც ფუნტიკოვის უშუალო მონაწილეობით მოყვანილ იქნა სისრულეში 1918 წელს 24 ივლისს სადგ. ანაუს და გიაურს შორის, აგრეთვე ინგლისის სარდლობის და ესერების ორგანიზაციის შეთანხმებული დადგენილების თანახმად, მან უშუალო მონაწილეობა მიიღო ბაქოს 26 კომისარის დახვრეტაში იმავე წლის 20 სექტემბერს.

ფუნტიკოვი ყველა ბრალდებაში თავს დამნაშავედ სცნობს, უარყოფს მხოლოდ ბრალდების იმ ნაწილს, სადაც ნათქვამია, რომ ის უშუალო მონაწილეობას იღებდა ბაქოს 26 კომისარის დახვრეტაში.

საქმე გაირჩევა ბაქოში; ბრალს სდებს ამხ. ქავთარაძე.

სამიწათმოქმედო მუშაკთა ყრილობისათვის

მიწათმოწყობა

მიწათმოწყობა არის მიწის სოციალურ-ტეხნიკური ორგანიზაცია, რომელსაც აწარმოებს სახელმწიფო ან მიწის მოსარგებლეთა კავშირი საამისოთ გამოცემულ კანონების საფუძველზე.

მიწათმოწყობა სასოფლო-მეურნეობის ერთი მთავარი ელემენტია, რომელსაც ორი მეტათ მნიშვნელოვანი როლი აქვს შესასრულებელი: მიწის მოსარგებლეთა უფლების განმტკიცება მიწაზე და მიწების მიზანშეწონილად და [illegible] მძრომელ მეურნეთა შორის სასოფლო-მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიხედვით და მათ საჭიროებასთან შეფარდებით.

მიწათმოწყობა საბჭოთა საქართველოში ორ ხანათ იყოფა. პირველი იყო სოფელთაშორისო მიწათმოწყობის ხანა. მცირე მიწის მქონე სოფლებს, რომელთა რაოდენობა 60 % აღწევს, ასეთი მიწათმოწყობა თითქმის არ სჭირდებოდათ, რადგან ისინი კმაყოფილდებოდენ ძველი რეჟიმის დროს მომხდარ გამიჯვნით, ხოლო მრავალმიწიან სოფლებს ჰქონდათ მოსდიოდათ ურთიერთ შორის უთანხმოება, რაც მოითხოვდა სოფელთა შორის გარკვეული მიჯნის დადებას. ამისათვის შემუშავებული და დამტკიცებული იყო ცაკის მიერ 1921 წელს მიწის ნორმები.

პირველი ხანა გაგრძელდა 1922-დან 1925 წლამდე, რის განმავლობაშიაც შესრულებულიყო იყო მუშაობა რესპუბლიკის ყველა სოფლებში 28,2 პროცენტით.

სოფელთაშორისო მიწათმოწყობა გულისხმობს კომლეურ მიწათმოწყობას; ეს უკანასკნელი კი მოითხოვს დიდ დროსა და სახსარს, რადგან ეს მუშაობა შეუძლებელია ან სრულიად უნაყოფოა ინსტრუმენტალურათ მიწების აზომვისა და აგეგმვის გარეშე.

კომლეური მიწათმოწყობა არის მიწათმოწყობის მეორე ხანა ჩვენში, რომელიც დაიწყო 1925 წლის აპრილიდან. ამ წესით 1926 წლის 1-ლ მარტამდე შესრულებულია მუშაობა აღმოსავლეთ-საქართველოში — 8,5 პროც. და დასავლეთ-საქართველოში —26 პროცენტით, საშუალოთ კი მთელ რესპუბლიკაში—5,55 პროც.

უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, რომ რუსეთში, სადაც გეგმაშეწონილი მიწათმოწყობა დაიწყო 1921 წელს, დღემდი შესრულებულია 30 პროც. სოფელთაშორისო და 10 % კომლეური მიწათმოწყობა. რუსეთში თითო მილიონ მოსაწყობ მიწებზე მოდის 52 მიწის მზომელი, საქართველოში კი—44.

სატყეო მეურნეობა

საქართველოს ტყეებს დიდი მნიშვნელობა აქვთ რესპუბლიკის მეურნეობისათვის და თვით სატყეო მეურნეობა ერთ თვალსაჩინო დარგს წარმოადგენს რესპუბლიკის მეურნეობაში.

რესპუბლიკის ტყეების საერთო სივრცე ამჟამად უდრის 1.646.760 დესეტინას; მათ რიცხვში წმინდა სახაზინო ტყეები 1.415.215 დეს., საკურორტო 78.568 დეს., სახალხო მამულების—9.577, სამოსწავლო—230 დეს., საქალაქო—400 დეს. და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები—142.199 დეს., საერთო ტყიანი არე უდრის 1.388.329 დეს., რაც დაფარულია ფოთლიანი და წიწვიანი ჯიშებით შემდეგი პროპორციით: ფოთლიანი 867.872 დესეტინა, ე. ი. შერეული 100.819 დესეტინა და წიწვიანი კი 419.482 დეს., ფოთლიანებში უმთავრესი ადგილი უკავია წიფელას, რაც ჩვენი პირობებისათვის სახალხო ხეთ უნდა ჩაითვალოს.

წიწვიანებში კი უმთავრესია ხოჭი 168.093 დესეტინა, ნაძვი 146.646 დეს. და ფიჭვი 100.093 დესეტინა.

სატყეო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში დღევანდლამდე შესრულებულია შემდეგი მუშაობა:

გასაბჭოებიდან დღემდე მოწყობილი და გამოკვლეულია ტყეების მთელი სივრცის 30 პროც., ამას გარდა აღდგენილია ტყის სალდელი საკულტურო მუშაობა თბილისის სამთო საკულტურო სატყეოში, დაარსებულია სანერგეები ზოგიერთ მაზრებში სულ 285 დესეტინა, დაგროვილია თესლი 300 ფუთი და დამზადებულია ხის ნერგები 20.000 ცალამდე.

1924—25 წელში ამ მუშაობის წარმატებით და სათანადო ტემპით საწარმოებლად შემოღებული იყო საკულტურო დანარიცხები 10—25 პროც. ხე-ტყის საჯირკო ღირებულებაზე და დღემდე უკვე შეგროვილია 60.000 მანეთი. შემუშავებულია გეგმა ამ მუშაობის საწარმოებლად რესპუბლიკის მასშტაბით.

ტყის გაცემა სავარაუდო ხარჯთაღრიცხვით ყოველ წლიურად შეიძლება 218.000 კუბ. საჟ. მერქნამდე. 1923—24 წ. გაცემულია 125.000 კ. საჟ. მერქანი, 24—25 წ. 140.000 კ. საჟ. მერქანი. აქედან 60 პროც. საშეშე და 40 პროც. საშენებელი მერქანია.

პირველ წელში გლეხობას მიეცა შეღავათიან ფასით და უფასოდ მერქანის 34 პროც. და მეორეში კი 44 პროც. დანარჩენი კი გაცემულია მტკიცე ფასებში ქალაქებისა და მრეწველობის საჭიროებისათვის.

რაც შეეხება ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებს, დღემდე უკვე გამოიყო და გადაეცა გლეხობას 142.199 დესეტინა ტყე. ამ რიცხვიდან ყოფილი საგლეხო ტყეები—53.798 დეს., ყოფ. მემამულეების—51.668 დეს., ყოფილი საბანკო—60 დეს., სამონასტრო—3.306 დეს. და სახაზინო—33.367 დეს.

საშუალოდ თვითეულ მაზრაში გადაცემულია 9.500 დესეტინამდე; ყველაზე მეტი გადაცემულია (29.280 დეს.) შორაპნის მაზრაში და ყველაზე ნაკლები კი ოზურგეთის მაზრაში—1.750 დესეტინა.

ვეტერინარ-სანიტარული ზედამხედველობა

ვეტერინარ-სანიტარული ზედამხედველობის ობიექტი—შინაურ პირუტყვთა რაოდენობა საქართველოში უდრის 3 მილიონამდე სულს, რომელსაც მეთვალყურეობს 66 ექიმი-ვეტერინარი. თითო ექიმზე მოდის საშუალოდ 50.000 სული საქონელი და 1.050 ოთხკუთხ ვერსტის სივრცის რაიონი, ნორმით კი უნდა იყოს ერთ ექიმზე 5—10 ათასი სული საქონელი და სავეტერინარო რაიონი არა უდიდეს 10 ვერსიან რადიუსისა. ამიტომ ვეტსანიტარულ ზედამხედველობას, არ შეუძლია მთლიანათ განახორციელოს ყველა ვეტ.-სანიტარული ღონისძიებანი, რასაც აუცილებლად მოსდევს მესაქონლეობის განვითარების საქმის შეფერხება.

რესპუბლიკაში მხოლოდ 3 სასაკლაოს ჰყავს საკუთარი ვეტ.-პერსონალი, დანარჩენ სასაკლაოებს განაგებენ მაზრის ვეტერინარები შეთავსებით, ამასთანავე მხოლოდ თბილისის სასაკლაო არის ჯეროვანად მოწყობილი, დანარჩენი სასაკლაოების მოწყობილება პრიმიტიულია.

სიმცირე სავეტერინარო ტრანსპორტო პუნქტებისა, რომლებსაც განაგებენ 8 ექიმ-ვეტერინარი, ასუსტებს და ამცირებს ვეტ.-სანიტარულ ზედამხედველობას საქონელზე და საქონლის ნედლ მასალაზე, რაც ხელს უწყობს პირუტყვთა გადამდებ სენების გავრცელებას.

სავეტერინარო დარგის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაფართოვებული იქნება სავეტერინარო უბნების ქსელი, მოეწყობა უბნებში სავეტერინარო ამბულატორიები და სავადმყოფოები, დაკმაყოფილებული იქნება საუბნო ვეტ.-პერსონალი მიმოსვლის საშუალებებით და სავეტერინარო უბნის მუშაობა შეუთანხმდება საა[illegible]რონომო უბნის მუშაობას.

რემედასს-ის სრ. საქართველოს კონფერენცია

გუშინ, 3 აპრილს საღამოს, სანიტარულ განათლების სახლში გაიხსნა რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების რემედასს-ის) სრ. საქართველოს კონფერენცია.

სხდომა გახსნა ამხ. **მიხა ჩოდრიშვილმა**, რომელმაც კონფერენციას ნაყოფიერი მუშაობა უსურვა.

ამიერ-კავკასიის და საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით კონფერენციას მიესალმა ამხ. **მიხა ცხაკაია**, რომელმაც აღნიშნა რა რემედასს-ის უდიდესი [illegible] საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერებაზე, აღიარა იგი კომინტერნის და პროფინტერნის დამხმარე მარჯვენა ხელად. დასასრულ მცხოვანმა ბელადმა უსურვა წარმატება რემედასს-ის ძირითად ორგანიზაციებს საქართველოში. კონფერენცია ამხ. მიხას სიტყვას მქუხარე ტაშით შეხვდა.

კონფერენცის საპატიო პრეზიდიუმში წევრაბად არჩეულ იქნენ ამხანაგები: **სტალინი, ვოროშილოვი, მ. ცხაკაია, კლარა ცეტკინი, ლეშჩინსკი, ფ. მახარაძე, ს. ორჯონიკიძე, მამია ორახელაშვილი და შ. ელიავა.**

საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნა 13 ამხანაგი.

დღის წესრიგის და რეგლამენტის მიღების შემდეგ კონფერენია შეუდგა მუშაობას

საქართველოს რემედასს-ის ცეკას მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ჯიჯაძე)

მომხსენებელი მიმოხილვას უკეთებს რემედასს-ის ცეკას ერთი წლის მუშაობას საორგანიზაციო, სააგიტაციო-საპროპაგანდო და საფინანსო დარგებში. მომხსენებლის გადმოცემით ცეკამ საანგარიშო პერიოდში შესძლო პირველი კონფერენციის მიერ მოცემული დირექტივების ცხოვრებაში გატარება: არ დარჩენილა, არც ერთი მაზრა, სადაც მოწყობილი არ იყოს რემედასს-ის უჯრედები და, სადაც ჩაბმული არ იყოს გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამჟამად საქ რემედასს აქვს 3 საოლქო, 17 სამაზრო და 7 სარაიონო კომიტეტი. ამ ორგანიზაციების უჯრედთა რიცხვი უდრის—1.049-ს, აქედან გლეხური უჯრედი—253 წევრთა რიცხვი, 1924 წლის, 15 ოქტომბრიდან გაიზარდა 80 ათასამდე. წევრთა დიდი უმრავლესობა მუშებსა და გლეხობას წარმოადგენენ.

აქტიურ მუშაკთა გაწრთვნილი კადრი, რომელიც 650 მომუშავეს შეიცავს. სამაზრო და ადგილობრივი ორგანიზაციების მოქმედების სუსტი მხარე ის არის, რომ არ აქვთ შემუშავებული ხარჯთაღრიცხვა, თავის დროზე ვერ აგზავნიან შემოსულ თანხებს, ვერა აქვთ დაყენებული ლიტერატურის გავრცელების საქმე. საერთოდ, სუსტი კავშირი აქვთ ცეკასთან.

ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობამ ნაყოფიერი შედეგი გამოიღო: „რემედას“-სი გახდა მეტად პოპულიარული ორგანიზაცია მუშურ-გლეხურ წრეებში.

ამჟამად საქართველოში მოწყობილია „რემედას“-ის 40 კუთხე, გამოშვებულია ჟურნ. „რემედას-“ის 14 ნომერი და 8 სახელწოდების ბროშურა 93 ათას ეგზემპლიარად.

ფინანსიური მდგომარეობა ასეთია: ერთი წლის განმავლობაში შემოვიდა სულ 46.498 მანეთი; აქედან საწევრო გადასახადებისაგან—8558 მანეთი, სხვა შემოსავალი და შემოწირულებით—12.772 მანეთი, სხვადასხვა გამოურკვეველ წყაროებიდან—16.049 მანეთი. საბჭოთა კავშირის ცენტრ. კომიტეტს გადაუგზავნა—24.043 მანეთი, პოლიტემიგრანტებს დახმარებათ მიეცათ—437 მანეთი, აპარატის შესანახად დაიხარჯა—5.605 მანეთი, საორგანიზაციო მუშაობას მოხმარდა—3 ათასი მანეთი.

დასასრულ მომხსენებელი მოკლედ შეეხო მომავალ მუშაობის გეგმას.

ამავე სხდომაზე მოხსენებები გააკეთეს „რემედასი“-ს: აჭარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტების წარმომადგენლებმა.

ეკონომიური ცხოვრება

სამთო-ქიმიური მრეწველობა

გეოლოგიური კვლევა - ძიებანი

მიმდინარე წლისათვის ს. მ. უ. ს. გეოლოგიურ კომიტეტს გამომუშავებული აქვს გეოლოგიურ კვლევა-ძიებათა გეგმა და კვლევა-ძიებისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა.

საერთო გეოლოგიური ხასიათის გამოკვლევებს გარდა, რომელიც დაკისრებული აქვთ ცნობილ გეოლოგ სპეციალისტებს რეინგანტენს, მეფერტს და რიაბინინს, იწარმოებს გეოლოგიურ კვლევა-ძიებითი ხასიათის მუშაობაც.

გამომუშავებული გეგმით, მიმდინარე წელს განზრახულია: ტყვარჩელის ქვანახშირის მადნების მდებარეობის კვლევა-ძიება, რისთვისაც შედგენილია ხარჯთაღრიცხვა 45 ათასი მანეთის რაოდენობით; ოზურგეთის ნავთის რაიონის გეოლოგიური გადაღება და კვლევა-ძიება მცირე მასშტაბით—9.755 მანეთის ხარჯთაღრიცხვით; სპილენძის და ცინკის მადნების წინასწარი გამოკვლევა აჭარისტანში. ამ საქმისათვის გადადებულია გეოლოგიურ კომიტეტის მიერ 1.650 მანეთი. გარდა ამისა, ამავე საქმისათვის მთავარი ლითონის ტრესტი დაპირებულია კიდევ 25 ათას მანეთს.

გეოლოგიური კომიტეტის უახლოესი წლების სამუშაო პროგრამაში შედის: ჩათახის რაიონის გამოკვლევა 1927 წელში; ხარჯთაღრიცხვა უდრის—15 ათას მანეთს; დევდარაკლის სპილენძის მადნების გამოკვლევა უფრო ფართე მასშტაბით 1928 წელში. ხარჯთაღრიცხვა უდრის 50 ათას მანეთს.

აჭარისტანის გეოლოგიური გამოკვლევისათვის მთავარ ლითონის ტრესტისაგან 1926—27 წლისათვის გადადებულია 25 ათასი მანეთი. ამავე ორგანიზაციას განზრახული აქვს ჯავახეთის ტყვიისა და ცინკის მადნების გამოსაკვლევად გადასდოს 330 ათასი მანეთი, ხოლო გეოლოგიურ კომიტეტს 170 ათასი მანეთი 4 წლის განმავლობაში.

სასოფლო მეურნეობა

ქიმიური მრეწველობა

საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს ეკონომიურ განყოფილებაში მოსმენილი იქნა მოხსენება ჩვენი ქიმიური მრეწველობის საკითხების დამუშავების შესახებ; მოხსენება ეხება მინერალური ნედლეულის დამზადების საკითხებს.

განზრახულია დაწყებული იქნეს ოხრას და სურიკის დამუშავება, რომლებიც საჭიროა მინერალური საღებავების დასამზადებლად.

საქართველოში საკმაოდ მრავლად მოიპოვება ინფლუზორიტი და გლაუბერის მარილი, ამიტომ განზრახულია დაწყებული იქნეს ულტრამარინის დამზადება და დამუშავება.

გეგმაში გათვალისწინებულია აგრეთვე ნედლი მასალის მარაგის სასწრაფოდ გამოკვლევა, ყველა აუცილებელი ანალიზების და ტეხნიკური გამოცდების მოხდენა ცემენტის მისაღებად.

ამჟამად ეს საკითხი პრაქტიკული განხორციელების სტადიაშია. შედგენილია ცემენტის ქარხნის პროექტი, რომლის განხორციელება დაიწყება ახლო მომავალში. ცემენტის ქარხნის ასაგებად გადადებულია 10 ათასი მანეთი.

პროექტში დიდი ყურადღება აქვს აგრეთვე მიქცეული ჩვენს კერამიკულ მრეწველობას; განზრახულია გამოკვლეული იქნეს შროშის ცეცხლგამძლე თიხის თვისებები და აგრეთვე გაფართოვებული იქნეს ქარხანა „შროშა“ ბაზრის მოთხოვნილებასთან შეფარდებით; ამასთანავე განზრახულია გამოკვლეული იქნეს თიხის მარაგი და მისი თვისებები იმ მხრივ, თუ რამდენად გამოსადეგი იქნება იგი ქაღალდისა და ფაიფურის ჭურჭლეულობის წარმოებისათვის.

აღნიშნული სამუშაოების გარდა, განზრახულია გამოკვლეული და შესწავლილი იქნეს ნახშირის ქიმიური თვისებები, კერძოდ კი ტყიბულის ქვა-ნახშირის შემადგენელი ნაწილი.

ყველა ამ წინასწარი სამუშაოების შესრულების შემდეგ შესაძლებელი იქნება ჩვენი ქიმიური მრეწველობის განვითარების სწორი გეგმის შედგენა.

საბჭოთა საქართველო

ფოთი, 3 აპრ. ჰამბურგისკენ გავიდა გერმანული გემი „მარმარა“, რომელმაც წაიღო 1.000 ტონა მარგანეცი.

ფოთი, 3 აპრ. სოფ. ყულევში, ფოთიდან 12 ვერსის მანძილზე პოლიტგანათლებამ გახსნა 8 ახალი სკოლა, რომელიც ნავარაუდევია 70 მსმენელისთვის.

ოზურგეთი, 3 აპრ. შტატების შემოკლების და ზოგიერთი ხარჯების შემცირების გამო რაიონულმა კოოპ. მომხ. საზოგადოებამ შესამჩნევად დაუკლო ფასები პირველ საჭიროების საგნებზე.

აქან დიდი გავლენა იქონია კერძო ვაჭრებზე, რომელთაც ბოლო კვირაში სულ დააკლდათ მუშტარი.

ქუთაისი, 3 აპრ. საზ. „უდინიმ“, საჯევახოს რაიონში დაამზადა 16 ვაგონი კაკლის ხე და გადაგზავნა ბათომში საზღვარ-გარეთ საექსპორტოთ. კიდევ განზრახულია 30 ვაგონის დამზადება.

სასოფ. სამეურ. ამხ. „წინსვლამ“ სამტრედიაში დაამზადა ა.-კ. ვაჭრობისათვის 3 ვაგ. საექსპორტო კვერცხი.

ქუთაისი, 3 აპრ. ქუთაისში და მაზრაში კარგი ამინდი დაიჭირა, რაც ხელს უწყობს მეურნეობას.

ინფლუენცა

ქუთაისი, 3 აპრ. 30 მარტს გაიხსნა ქუთაისის მაზრის საბჭოთა ყრილობა. ყრილობა გახსნა სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ლორთქიფანიძემ**. პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: **ნ. ოკუჯავა, დ. ლორთქიფანიძე ტრაპაიძე, კომახიძე, ქუთათელაძე, უგულავა, კიკაჩეიშვილი, ნადარეიშვილი, ბოჭორიშვილი, კვირიკაშვილი, ახალაძე, ბერძელია, მაჭავარიანი, გიგაური, გოგოლაშვილი, კენჭერაძე; სტურუა, ხასიბაძე**. საპატიო თავმჯდომარეებათ—**სტალინი, კალინინი, რიკოვი, ტროცკი, ცხაკაია, მახარაძე, ორჯონიკიძე, შ. ელიავა**. ყრილობას დაესწრო 367 დელეგატი—აქედან მაზრის—251, ქალაქის—100, წითელი არმიიდან—16, დელეგატების სოციალური მდგომარეობა: მუშა—19, გლეხი—159, მოსამსახურე—173, წითელარმიელი—16; მიმართულებით—კომუნისტი — 158, კომკავშირელი—11, უპარტიო—198; მამაკაცი — 334, დედაკაცი—33.

ქუთაისი, 3 აპრ. ბოლო დროს ქუთაისში ხშირდა ინფლუენციით ავადმყოფობა.

ქუთაისი, 3 აპრ. საჯევახოს ერთ. მომხ. საზოგადოებამ შეამცირა თავისი შტატი 20-დან 5 კაცამდე, ამის გამო თვიური ხარჯები შემცირდა 1.500 მანეთიდან 500 მანეთამდე.

სავაჭროსაც ფასები დააკლდა 10—15 პროცენტამდე.

საბჭოთა სამაზრო ყრილობაზე

(დუშეთი)

28 მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე, სამხედრო თეატრში გაიხსნა დუშეთის მაზრის მე-6-ე საბჭოთა ყრილობა, ყრილობას დაესწრო მთავრობის წარმომადგენელი ამხ. დ. აფციაური.

ყრილობამ საქმიან პრეზიდიუმში აირჩია 7 კაცი, აგრეთვე არჩეული იქმნა სამდივნო და სამანდატო კომისია. საპატიო თავმჯდომარეებათ აირჩიეს ამხ. **სტალინი, კალინინი, რიკოვი, მახარაძე, ორჯონიკიძე, ქართველიშვილი, ელიავა, მათიკაშვილი** და მარიამ ორახელაშვილი.

საქართველოს მთავრობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. აფციაურმა, რომელიც შეეხო საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მუშაობას და მისი მიღწევებს ამ ხუთი წლის განმავლობაში. ყრილობა კმაყოფილი დარჩა საქართველოს საბჭოთა მთავრობის მუშაობით.

სამაზრო აღმასკომის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კარანაძემ, რომელმაც დეტალურად აღნიშნა სამაზრო აღმასკომის მიღწევები და აგრეთვე ნაკლიც, რაც უშლიდა ხელს სამაზრო აღმასკომს საანგარიშო პერიოდში. მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს თითქმის ყველა თემის დელეგატებმა, რომლებიც მიუთითებდენ მაზრაღმასკომის მუშაობის ნაკლზე.

მაზრაღმასკომის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად. ყველა საკითხების ამოწურვის შემდეგ არჩეული იქმნა სამაზრო აღმასკომი 27 წევრით და 11 კანდიდატისაგან.

მეორე დღეს შესდგა სამ-აღმასკომის პლენუმი, რომელმაც გამოყო სამაღმასკომის პრეზიდიუმი 7 წევრი და 3 კანდიდატი.

სამაღმასკომის თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ამხ. მიშა სუჯაშვილი, მის მოადგილეთ ამხ. ჯარიაშვილი.

კოზირია.

მორუსული კვანტალიანი

(ახ.-აბაშა, სენ. მ.)

სევერიან კვანტალიანის ქართულ ენის ცოდნაში, ახალ-აბაშის პირობაზე ვერავინ დაემდურება, ხოლო რაც შეეხება რუსულს, აქ საკითხი ჯერ-ჯერობით გაურკვევლობის ბურუსშია გახვეული.

რუსული სიტყვების მთელი ლექსიკონი, რომლითაც სარგებლობს მასწავლებელი კვანტალიანი მოწაფეთა დახასიათებულათ, სულ რამდენიმე სიტყვაში მდგომარეობს: „დუპლეტი“, „იდიოტ“, „დურაკ ნაბიტი“ და „ჩუჩელო გოროხოვოე“.

სხვა სიტყვები ჯერ-ჯერობით კვანტალიანის ბაგეებიდან არავის გაუგონია.

მოწაფეები [illegible] დახასიათებით უმასპინძლდებიან მორუსულ მასწავლებელს. განსაკუთრებულ ერთგულებას იჩენენ აქ მოზრდილი მოწაფეები: „ტი სამ დუპლეტ“, „ტი სამ იდიოტ“, „სი რეჭ ჩუჩელო გოროხოვოე“ გაისმის მოწაფეთა სკამებიდან.

ამის გაგონებაზე სევერიანე ახტება-დახტება, როგორც შირის ბურთი: „ვის უბედავთ სიტყვის შებრუნებასო“,—გაიძახის ის ცოფ-მორეული.

რა უნდა შეიძინოს ასეთ მასწავლებლის ხელში ახალ-აბაშის სკოლის მოწაფეებმა? კვანტალიანს უნდა ასწავლოს ჭკუა პედაგოგიურ საბჭომ, ან მაზრის განათლების განყოფილებამ.

რუსული აბაშის სკოლის მოწაფეებისათვის ფრიად საჭირო საგანია, მაგრამ ნუ თუ გინებიდან უნდა დავაწყებინოთ ბავშვებს ამ ენის შესწავლა? — ეს მეთოდი მხოლოდ სევერიანეს პედაგოგიურ ნიჭის აღმოჩენათ უნდა ჩაითვალოს. დაილოცა სევერიანეს ნიჭი.

ბზიკი.

სოფლის ახალგაზრდობის სკოლა სვანეთში

ღ. ბეჩოში წელს სახგანკომის მიერ გახსნილია ახალგაზრდობის სკოლა.

სკოლაში ირიცხება 22 მოწაფე. რომლებიც სხვადასხვა თემებიდან არიან. მოწაფეები მოზრდილებია, 13წ.—20 წლამდე. შორეული თემის მოწაფეთათვის მოწყობილია საერთო საცხოვრებელი ბინა, სადაც ცხოვრობს 13 მოწაფე. არსებობს ახალ. ლ. კომ. კავშირის უჯრედი, რომელშიაც ირიცხება 18 წევრი.

სასწავლებელს აქვს სახელოსნოები: სადურგლო, საზეინკლო და კერამიკული ქარხანაც. როგორც საერთოდ, ასეთი სკოლის პრინციპები შეხამებულია ადგილობრივ პირობებთან. ჩვენი სკოლის წარმოებითი მუშაობაც გადახრილია მესაქონლეობისკენ. მაგრამ, სამწუხაროთ, ეკონომიური უძლურობის გამო პრაქტიკულ შედეგს ვერ ვაღწევთ. მემინდვრეობაც გავრცელებულია სვანეთში. საქართველოს არც ერთ კუთხეში არ აქვს მიწას ისეთი მოვლა როგორც სვანეთში. ნაკელი ძვირად ღირს, რადგან ყველა მით გლეხი ასუქებს ნიადაგს. მაგრამ მიწის დასამუშავებლად უძველესი იარაღი—კავი აქვთ, რომელიც ნახევრად გადაუმუშავებელ, მოუხნელ ნიადაგს სტოვებს. სვანეთში მიწის სივიწროვეა და მოსავალი სანახევროდ არ ჰყოფნის მოსახლეობას. ამიტომ საჭიროა მესაქონლეობას მიექცეს მთავარი ყურადღება, რადგან ამას უფრო უწყობს ხელს ბუნებრივი პირობები.

სასწავლებლის გამოკვლევით, თითეულ გლეხზე საშუალოდ ბეჩოს თემში 4 ძროხა მოდის. გლეხობამ ჯერ არ იცის რძის ნაწარმოების დამუშავების წესები. სასწავლებელი სცდილობს შეიტანოს ხალხში ამ მხრივ ცოდნა და განვითარება. ვფიქრობთ, რომ ამ საქმეში აღმასკომიც დაგვეხმარება.

კ. ჭ.

წერილებიდან

ბოროტმოქმედების კვალ და კვალ

„კომუნისტი“-ს № 55/1510-ში მოთავსებული წერილის შესახებ სათაურით: „რუხაძის თავხედობას ბოლო მოეღოს“ გაცნობებთ რომ აღნიშნული წერილი გადაეცა სენაკის სამაზრო აღმასკომს სათანადო საგამომძიებლო კომისიის შესადგენათ და სინამდვილის საბოლოოთ გამოსარკვევათ.

დას. საქ. პროკურორის მოადგილე ებრალიძე.

შევებრძოლოთ მალარიას

(სენაკის მაზრა)

ზემო-ჭალადიდის თემი ცნობილია როგორც მალარიანი ადგილი.

თემი 3 სოფლიდან შესდგება 1. მუხური, 2. საგვიჩიო და 3. სირიაჩქონი. სამივე სოფელი სავსეა ჭაობებით.

მდ. რიონი, სარგებლობასთან ერთად, ზარალსაც აყენებს მოსახლეობას ადიდების დროს. ამიტომ მთავრობის ინიციატივით თეკლათიდან მოყოლებული სოფ. მუხურის გაყოლებით გაკეთებულია ჯებირი, რომლის გაყვანა განზრახულია ქ. ფოთამდი. ამ მუშაობის დროს განათხარებიდან ჭაობები გაჩნდა.. ჭაობები კი როგორც ცნობილია კოღოების ბუდეა. ამ რიგად, თუ ეხლავე არ იქნა ზომები მიღებული, კოღო უფრო გავრცელდება. ამ საშიშროების თავიდან აცილება კი ადვილად შეიძლება. მანძილი ჭაობებიდან მდ. რიონამდე არ აღემატება 10 საჟენს, შეიძლება თხრილების ადვილად გაყვანა, რომლის საშუალებით დაგუბებული წყალი გადავა რიონში და წვიმის დროს წყალი არ დაგუბდება. ამ რიგად თავიდან აშორებული იქნება ახალი საშიშროება მალარიის გავრცელებისა.

ამ საკითხის მოგვარება ევალება ადგილობრივ აღმასკომს. გარდა ამისა, საჭიროა სათანადო ორგანოებმა გამოგზავნონ ქინაქინა, რომ დაურიგდეს მოსახლეობას, მალარიისაგან თავის დასაცავათ.

პ. გვაზავა.

მართალი არ გამოდგა

„კომუნისტი“-ს 50 ნომერში მოთავსებული იყო წერილი პატრიკეთის თემის კოოპერატივზე და მისი გამგე ადამაძის შესახებ. ქუთაისის მუშათა კოპერატივის გამგეობამ გვაცნობა, რომ კვლევა-ძიების შემდეგ წერილში აღნიშნული ბრალდებები არ დადასტურდა.

გორი

— **„ხელოსანი“ ზაზიევი.** გორში არის ვინმე ზაზიევი ვანკა. ის წყალსადენის მილების ხელოსანია. ეს „ხელოსანი“ სჩაგრავს მუშებს. მისი სიტყვა-პასუხი მოღერილი მუშტია. ფეხზელს ხომ ვერასოდეს ვერ ნახავ მას, ხოლო არლანზე ზაზიევზე უკეთ აბა ვინ იქეიფებს?!.

კ. მ.

დიცის თემი (გორის მაზრა)

— **დაგვიბრუნეთ წყალი.** ამ ექვსი თვის წინ, ტირიფონის არხის გაყვანის გამო, წყალი შეწყვიტეს და დაჰპირდენ გლეხებს, რომ ორკვირაში ისევ გამოუშვებენ მას. მაგრამ დაპირება დარჩა, ხოლო წყალი კი დღემდის არ სჩანს. სოფელს სასმელი წყალიც აღარ გააჩნია. გაზაფხული მოდის, თუ წყალი არ გამოუშვეს, ბაღები აონრდება და ხეხილი გახმება.

ბ. დედანაშვილი.

ახალ-აბაშა

— **სანაგვე ვედროში სასმელი წყალი..** ახალ აბაშის ცხრაწლედში მოწაფეებისათვის სასმელი წყალი სანაგვე ვედროებშია ჩასხმული. სასწავლებელს ჰყავს ჰიგიენის მასწავლებელი ექიმი, რომელიც ძალიან ბევრს ლაპარაკობს ამ საგანზე, მაგრამ ყურადღებას კი არ აქცევს მის ცხოვრებაში გატარ-

სკოლის ბზიკი.

გალი

— **სასწავლებელი უწყლოდ.** გალის ცხრაწლედში არ არის წყალი. ხშირად მოწაფეებს გაკვეთილების დამთავრებამდე მწყურვალათ დარჩენა უხდებათ.

სასწავლებელში არც სისუფთავეა დაცული, რადგან დარაჯი მოხუცია და ვერ ერევა საქმეს.

ყირა.

საჯანოს თემი (შორაპნის მაზრა)

— **გაგვიხსენით ფოსტა.** ეს თემი ყოველმხრივ დაწინაურებული თემია, მხოლოდ ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულება აკლია. ხალხი ძალიან მონდომებულია და საჭირო შრომას გაიღებს, შენობასაც აგებს ოღონდ კი სათანადო ორგანოებმა იკისრონ ამ საქმის თაოსნობა.

დ. საჯანელი.

სოფლის ქრონიკა

— **აბანო სოფლად.** ლეჩხუმის აღმასკომმა დაადგინა აგოს ცაგერში აბანო.

— **რაჭის აღმასკომმა** გადასცა სოფ. პატარა-ონის აღმასკომს ხე-ტყის მასალა კლუბის ასაგებათ.

— **ტელეფონი.** თელავის აღმასკომმა გადასწყვიტა გაიყვანოს ტელეფონის ხაზი სოფ. ზემო-ალვანში.

— **თელავის აღმასკომმა** დაადგინა მიწის საკითხზე ატეხილ დავათა მოსაწესრიგებლად მოაწყოს სოფლებში სასამართლოს სესიები.

— **კინო.** ლეჩხუმის აღმასკომმა დაადგინა მოაწყოს ცაგერში კინო-თეატრი.

— **ცხენის წყალის ნაპირების გასამაგრებლად** ლეჩხუმის აღმასკომის დადგენილებით ხის დამბების მაგიერ უნდა აგებულ იქნას ტინობის (ბეტონის) დამბები.

კოოპერაცია

სამომხმარებლო კოოპერაცია 1925-26 წლის პირველ მეოთხედში

სამომხმარებლო კოოპერაციის ძირითად ქსელში მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში, კოოპერატივების რაოდენობის და მათი სავაჭრო-საწარმოო წერტილების მხრივ მნიშვნელოვან ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. მართალია, იყო შემთხვევა ზოგიერთ ფინანსიურად სუსტ კოოპერატივების დაკეტვისა, მაგრამ სამაგიეროთ ადგილი ჰქონდა ახალი კოოპერატივების მოწყობასაც, როგ. მაგ.: თბილისის, თელავის და სენაკის მაზრებში. ამასთანავე ცეკავშირის სისტემაში შემოვიდენ კოოპერატივები ახალქალაქის მაზრიდან.

კოოპერატიული ქსელის განხილვა გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ პერიოდში კოოპერატივთა რიცხვი უდრიდა 148-ს, რომლებიც შესდგებოდენ 883 დუქნისაგან და იქ გაერთიანებული იყო 158.458 წევრი, რაც წინა პერიოდთან შედარებით თვალსაჩინო ზრდას იძლევა. კერძოთ წევრთა რიცხვი გაზრდილია 29,2 პროცენტით.

რაც შეეხება ამ ძირითად სამომხმარებლო კოოპერაციის თანხებს, უნდა ითქვას, რომ აქაც ზრდას ვხედავთ. თუ 1925 წ. 1 ოქტომბრისათვის საპაიო თანხა უდრიდა 329.315 მან., 1926 წ. 1 იანვრისათვის იგი გამოიხატა 371.210 მანეთში, ე. ი. გაიზარდა 41.895 მანეთით ანუ 13 პროც.

ეხლა რაც შეეხება საქონლის მომარაგება-შეძენის საქმეს,—უნდა ვსთქვათ, რომ მიმდინარე წლის 1 მეოთხედში ცეკავშირმა საგრძნობლად გააძლიერა მოკავშირე კოოპერატივების საქონლით მომარაგება, რამაც განსაკუთრებული როლი შეასრულა სახელმწიფო ორგანოებთან დადებულმა გენერალურმა ხელშეკრულებებმა.

საანგარიშო პერიოდში ცხრილში შესულ ქალაქის და სოფლის 64 კოოპერატივს, შეუძენიათ სულ 2.062.357 მანეთის საქონელი. საქონლის შესყიდვის ვითარება კი ასეთია: ქალაქის და მუშათა კოოპერატივებს ცეკავშირისაგან ამ რაოდენობიდან შეუძენიათ 25,3 პროც., სხვადასხვა კოოპ. ორგანიზაციებიდან 2,9 პროც., სახელმწიფო ორგანოებიდან 61,7 პროც., კერძო პირებისა და ფირმებისაგან 7,7 პროც. და საკუთარი წარმოებიდან 2,4 პროცენტი. რაც შეეხება სოფლის კოოპერატივებს,მათ: ცეკავშირისაგან შეუძენიათ საქონლის 44,1 პროც., დანარჩენ კოოპერ. ორგანიზაციებიდან 6,2 პროც., სახელმწიფო ორგანიზაციებიდან 39,8 პროც., კერძო პირებისა და ფირმებისაგან 9,1 პროც. და საკუთარი წარმოებიდან 0,8 პროცენტი. ამ გვარად სჩანს, რომ ქალაქის და მუშათა კოოპერატივებთან შედარებით, სოფლის კოოპერატივებს უფრო მჭიდრო კავშირი აქვთ საკუთარ კოოპერატიულ ცენტრებთან და შედარებით ნაკლები სახელმწიფო ორგანოებთან.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ცეკავშირის მიერ კოოპერატივების მომარაგება 1924-26 წ. მეოთხედთან შედარებით გაიზარდა 12 პროცენტით. ამასთანავე თვით საქონლის შეძენაც გასული წლის უკანასკნელ მეოთხედთან შედარებით გაზრდილია 13,1 პროც.

რაც შეეხება მთელ პერიფერიულ კოოპერატივებს, მათ საანგარიშო პერიოდში შეუძენიათ სულ 4.208.105 მან. საქონელი; აქედან ქალაქისა და მუშათა კოოპერატივებს—1.533.189 მანეთის და სოფლისას—2.674.916 მანეთის და მათ გაუნაწილებიათ (გარდა ქ. თბილისისა) აღნიშნულ პერიოდში 4.896.032 მანეთის საქონელი.

შევეხებით რა ცხრილში შესულ 64 კოოპერატივის მიერ სასოფ.-სამეურნეო ნაწარმოებთა დამზადებას და რეალიზაციას, დავინახავთ, რომ დამზადება უწარმოებია 35 კოოპერატივს და დაუმზადებია სულ 181.118 მანეთის სოფლის ნაწარმოები, როგ. მაგ.: სიმინდი, ხორბალი, თხილი, კაკალი, ღვინო და სხვა.

ამავე პერიოდში ყველა აღნიშნულ კოოპერატივებს გაუსაღებია 135.479 მანეთის პროდუქცია.

გაყიდულ საქონლის თვითღირებულების ხარჯები ქალაქის ქსელში უდრის 15 პროცენტს და საქონლის თვითღირებულებაზე დადებული საერთო მოგება 16,2 პროც., ე. ი. ქალაქის კოოპერატივებს საქონლის ოპერაციები უტოვებენ მოგებას 1,2 პროც. საანგარიშო პერიოდში; სოფლად კი მდგომარეობა უკეთესია, იქ საქონელზე დადებული მოგება შეადგენს 18,5 პროც., ხოლო ხარჯები 14 პროც., ე. ი. მათ სავაჭრო ოპერაციები უტოვებენ ნორმალურ მოგებას 4,5 პროც.

გაუმჯობესება ეტყობა აგრეთვე ძირითად კოოპერატივებს საბრუნავ თანხების გამოყენების მხრივ. სახელდობრ ქალაქის თანხები სავაჭრო ბრუნვაში გაზრდილია 1,2 პროც. და სოფლის კოოპერატივებში—2,8 პროცენტით.

აღსანიშნავია გაუმჯობესება საქონლის ბრუნვებში დროის მიხედვით. აქ ხაზგასასმელია, რომ სოფლად უფრო სწრაფად ტრიალებს საქონელი, ვინემ ქალაქში.

სასოფლო-სამეურ. კოოპერაციის ცენტრის განტვირთვა

სათანადო ორგანოებში აღძრულია საკითხი, რათა ცალკე რესპუბლიკანურ სასოფ.-სამ. კოოპ. ცენტრებს ჩამოერთვას მთელი რიგი სასოფ.-სამ. დარგებისა, როგ. მაგ. მებამბეობა, მეაბრეშუმეობა, მეღვინეობა და სხვა და ისინი გაერთიანებულ იქნენ საოლქო კოოპერატიულ ცენტრებში.

ა.-კ. მეაბრეშუმეთა ყრილობა

პირველი სხდომა

გუშინ, საღამოს 7 საათზე, საქართველოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნა ამიერ-კავკასიის და შუა აზიის რესპუბლიკების მეაბრეშუმეობის დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობა.

ყრილობა გახსნა საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. **გეგეჭკორმა**, რომელმაც თავის მოკლე შესავალ სიტყვაში უსურვა ყრილობას ნაყოფიერი მუშაობა.

პრეზიდიუმისა და საპატიო თავმჯდომარეების არჩევის შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა დღის წესრიგი და რეგლამენტი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე წაკითხული იქნა ამხ. **ქუთათელაძის** მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოხსენება.

მეაბრეშუმეობა საქართველოში

მეაბრეშუმეობის მთავარ რაიონად საქართველოში ითვლება დასავლეთ საქართველო, სადაც აბრეშუმის მოყვანას მისდევენ იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, რაჭაში და სხვაგან; მეაბრეშუმეობა განვითარებულია აღმოსავლეთ საქართველოშიც, მაგრამ არა ისეთი მასშტაბით, როგორც დასავლეთ საქართველოში.

გამორკვეულია, რომ დასავლეთ საქართველოში მეაბრეშუმეობა შეიძლება განვითარდეს სამჯერ, აღმოსავლეთ საქართველოში კი 25-ჯერ.

საქართველოში ომამდე იყო 800 საბრეშუმო პუნქტი; იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების განმავლობაში მეაბრეშუმეობის პუნქტების რიცხვი შემცირდა; მეაბრეშუმეობის აღდგენა დაიწყო რამდენიმე წლის წინად და ამ ჟამად საქართველოში არის მეაბრეშუმეობის 1050 პუნქტი.

უკანასკნელ დრომდე ჩვენში მწვავეთ იდგა აბრეშუმის თესლის საკითხი, მაგრამ ამ ჟამად საქართველოში უკვე მზადდება საჭირო თესლის მთელი რაოდენობის 80 პროც.; ამასთანავე მიღებულია ზომები, რომ ჩვენი მეაბრეშუმეობა სავსებით დაკმაყოფილებული იქნეს ადგილობრივი თესლით.

საშუალოდ ომამდე აბრეშუმის პარკის ყოველწლიური მოსავალი საქართველოში უდრიდა 129.000 ფუთ ნედლ პარკს, გასული წლის განმავლობაში კი შეგროვილი იქნა 140.000 ფუთი ნედლი პარკი.

მომავალში განზრახულია მეაბრეშუმეობის და აბრეშუმის სახვევ მრეწველობის კიდევ უფრო გაფართოება. ასე, მაგალითად მეაბრეშუმეობის ხუთწლიან პერსპექტიულ გეგმაში გათვალისწინებულია აბრეშუმის პარკის მოსავლის გადიდება 1930 წლისათვის 270.000 ფუთამდე. ამავე დროს მიღებული იქნება ზომები აბრეშუმის პარკის და თესლის ღირსების გასაუმჯობესებლად.

სასოფლო მეურნეობა

ა.-კ. სასოფლო-სა მეურნეო ბანკში

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა შეიმუშავა გეგმა 785.700 მანეთის განაწილებისა რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკებს შორის.

საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკს მიეცემა 416.000 მანეთი, აზერბეიჯანისას—179.700 მან., სომხეთისას—110.500 მან. აფხაზეთისას—53.600 მან. და ნახიჩავანისას—25.900 მანეთი.

ბანკები თანხებს გაუნაწილებენ სასოფ.-სამეურნეო კოლექტივებს, კომუნებს და გლეხებს საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით.

ახალი ტიპის სამეურნეო სკოლები

სახალხო განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულმა სამეცნიერო-ტექნიკურმა კომიტეტმა შეიმუშავა მომავალ სამოსწავლო წლისათვის სასოფლო-სამეურნეო სკოლების ორგანიზაციის გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით განზრახულია მოწყობილ იქნეს დაბალი საფეხურის 5 მასიური სასოფლო-სამეურნეო სკოლა, რომელსაც დავაკისრებთ აგრონომიული ცოდნის გავრცელებას გლეხებს შორის.

ასეთი ტიპის სკოლები ჩვენში სრულიად ახალ საქმეს წარმოადგენს. ამ ჟამად საქართველოში არსებობს 10 სპეციალური სასოფლო-სამეურნეო სკოლა. ახლი ტიპის მასიური სკოლების მოწყობის შემდეგ სპეციალურ სამეურნეო სკოლებს მიეცემა სამრეწველო ხასიათი.

მასიურ სასოფლო-სამეურნეო სკოლების კურსი იქნება ორწლიანი. და გაიხსნება მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისში.

ახალი ტიპის სკოლებში მიიღებიან ახალგაზრდა გლეხები 17 წლიდან 20 წლამდე. 5 სკოლიდან 2 განზრახულია გაიხსნას აღმოსავლეთ საქართველოში და 3 დასავლეთ საქართველოში. მასიურ სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მეურნეობის იმ დარგის შესწავლას, რომელიც უფრო მეტად არის გავრცელებული იმ რაიონში, სადაც სკოლა იქნება გახსნილი. ამჟამად არსებული სპეციალური სასოფლო-სამეურნეო სკოლების მიზანია მოამზადონ სპეციალისტები მევენახეობისა, მებაღეობისა და მეველეობისათვის. ამ სკოლებს არა აქვთ მასიური ხასიათი და ამზადებენ მხოლოდ ვიწრო სპეციალისტებს.

მოსალოდნელია სპეც. სამეურნეო სკოლების რიცხვის შემცირება.

ბრძოლა საქონლის ჭირის წინააღმდეგ

ტაბახმელის საშრატე სადგური ამიერ-კავკასიაში ყველაზე უფრო უდიდესი სადგურია. ამ სადგურს 5-6 თვის წინად ყავდა 200 სული ხარი და თვიურად ამზადებდა 600-700 ლიტრა შრატს.

ამ დროისათვის საქართველოში საქონლის ჭირი იმდენად გავრცელებული იყო, რომ მთავრობამ გადასწყვიტა გადამწყვეტი ზომები მიეღო ჭირის წინააღმდეგ. მიწათმოქ. კომისარიატთან დაარსდა საქონლის ჭირის წინააღმდეგ მებრძოლი ცენტრალური კომისია, რომელმაც მაზრებში მოაწყო თავის ქვეგანყოფილებები.

ამავე დროს საჭირო შეიქნა საშრატე სადგურის გაფართოება, რადგან დამზადებულ შრატის რაოდენობა სრულებით არ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. ამის გამო მთავრობამ გადასდო შესაფერი თანხა, რითაც შეძენილი იქნა დამატებით 70 სული ხარი. ამან ხელი შეუწყო შრატის დამზადების საქმის გაფართოებას და მარტში უკვე სადგურმა დაამზადა 1300-ზე მეტი ლიტრა ჭირის საწინააღმდეგო შრატი.

ეს რაოდენობა ამჟამად სავსებით აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს, მით უმეტეს, რომ საქონლის ჭირი 7 უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად შემცირდა.

ა.-კ. წყალთა მეურნეობა

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ განიხილა და დაამტკიცა ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის ბიუჯეტი.

წყალთა სამმართველოს გეგმაში გათვალისწინებულ სამუშაოებიდან დამტკიცებულია მუშაობა ალაზნის ველის და ეჩმიაძინის მაზრის მიწების მოსარწყავად. დამტკიცებული არ იქნა მუშაობა ყარასახკალის ველის მოსარწყავად, რადგან, საგეგმო კომისიის აზრით, ეს საკითხი ჯერ კიდევ დეტალურ დამუშავებას მოითხოვს.

ალაზნის ველის მოსარწყავად სამუშაოების შესასრულებლად გადადებულია 495.000 მანეთი, ეჩმიაძინის მაზრის მიწების მოსარწყავად კი 179.500 მანეთი.

აღნიშნული თანხების გარდა ამიერ-კავკასიის წყალთა სამმართველო კრედიტებს მიიღებს სრულიად საკავშირო კოოპერატიული ბანკიდან; აქედან მიღებული თანხები უნდა მოხმარდეს სამელიორაციო მუშაობის შესრულებას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში.

ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის ბიუჯეტის მიხედვით მიმდინარე წელში სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად მიიღებს შვიდი მილიონის მანეთის კრედიტებს; ამაში არ შედის ის თანხები, რომელსაც მიიღებს წყალთა სამმართველო სრულიად საკავშირო კოოპერატიული ბანკიდან ბიუჯეტის გარეშე საბანკო სამელიორაციო კრედიტის სახით.

სახალხო ჯანმრთელობა

ფიზიკო-თერაპევტიული ინსტიტუტი

რესპუბლიკის და ქალაქის ჯანმრთელობის ორგანოებმა თითქმის დაასრულეს თბილისში ფიზიკო-თერაპევტიული ინსტიტუტის მოწყობა, რომელიც მინდობილი ჰქონდა ექ. ზანდუკელს. ინსტიტუტში შემოღებული იქნება ფართო მკურნალობა კვარცის ლამპებით, ფილზონის და რადიუმის საშუალებით. ფიზიკო-თერაპევტიულ ინსტიტუტს აქვს შემდეგი სამკურნალო განყოფილებები: წყალ-ელექტრო და სინათლის სამკურნალოები, სარენტგენო-დიაგნოსტიური და სარენტგენო-თერაპევტიული კაბინეტები და მზის ვანების განყოფილება. ინსტიტუტისათვის უცხოეთიდგან გამოწერილია რადიუმი, რომელიც მიღებული იქნება მოკლე ხანში თბილისის ინსტიტუტისათვის გამოწერილი რადიუმი თავის მაღალი კონცენტრაციის და თავისი რაოდენობის მიხედვით იქნება ერთად-ერთი დიდი ტერაპევტიული დოზა საქართველოში და საერთოდ მთელს ამიერ-კავკასიაში. აპარატების უმრავლესობა, ისე როგორც რადიუმი, გამოწერილია საზღვარგარეთიდგან, აპარატების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე მიღებულია. ინსტიტუტის მედიკური პერსონალი შევსებულია მაღალი კვალიფიკაციის მედ-მუშაკებისაგან. ინსტიტუტის აპარატების მოწყობა და სათანადო ინსტრუმენტებით აღჭურვა ჯდება 200.000 მანეთი.

ფიზიკური მეთოდების საშუალებით მკურნალობას საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ამ ორი წლის წინად. როცა 1924 წელში მოეწყო ტალახის სამკურნალო ირაკლის აბანოსთან—გასულ წელს გაიხსნა აგრეთვე მე-7 ამბულატორიასთან ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. ამ ორივე დაწესებულების მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღეს და აუცილებელი გახადეს ფიზიო-თერაპევტიული ინსტიტუტის მოწყობა.

სამკურნალო ნედლეულობის დამზადება

სამკურნალო ნედლეულის დამზადებას აწარმოებს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო. დამზადება სწარმოებს სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების და არტელების საშუალებით.

ერთი ასეთი არტელი დაარსდა ოთხი წლის წინად ჩაქვის ახლოს. ამ არტელში შედიან როგორც მიწის-მუშა გლეხები, ისე კვალიფიციური მუშაკები — ფარმაკოლოგები (გერმანელები).

ეს არტელი ამზადებს სამკურნალო ნედლეულს, იკვლევს სხვადასხვა კუთხეების სამკურნალო მცენარეებს და შინამრეწველობის წესით ამზადებს ნახევარ-ფაბრიკატებს. ადგილობრივი ნედლი მასალიდან მზადდება ქაფური, დაფნა-ალუბლის წვეთები, ევკალიპტის და ეთერის ზეთი და სხვა.

გასული წლის განმავლობაში აღნიშნული არტელი მუშაობდა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს, მედიკამენტების ვაჭრობის სამმართველოს და სხვა ორგანიზაციების დავალებების თანახმად, არტელი ამზადებდა ვალერიანის ძირებს, ბელადონას, ლანდიშს და სხვა სამკურნალო მცენარეებს, რომლებიც საღდებოდა შინაურ ბაზარზე; საექსპორტო მცენარეებიდან არტელი ამზადებდა ფიტოლიაკის ძირებს და სპარსულ გვირილას, რომლებიც ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მიერ იგზავნებოდა ამერიკაში და ლონდონში.

არტელის მუშაობამ დიდი ინტერესი გამოიწვია ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობაში, განსაკუთრებით ბერძენ მიწის-მუშებში, რომლებმაც უკვე დაიწყეს ტრადიციული სიმინდის შეცვლა სამკურნალო მცენარეებით.

საფოსტო კავშირი

ახალი საფოსტო განყოფილებები თბილისში

ამ დღეებში მუშათა სასახლეში გაიხსნება ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. რომლის გახსნის შემდეგ თბილისში იქნება სულ ფოსტა-ტელეგრაფის რვა განყოფილება.

გარდა ამისა საოლქო კავშირის სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს გახსნას ფოსტა-ტელეგრაფის ორი ახალი განყოფილება—ერთი ვაკეში და მეორე საბურთალოზე—ვერის ბაღების ახლობლად.

ფოსტის მოძრავი კიოსკები

აპრილის შუა რიცხვებში თბილისში მუშაობას დაიწყებს მოძრავი საფოსტო კიოსკები. პირველ ხანებში ქალაქში მოეწყობა სულ 10 ასეთი მოძ. კიოსკი. კიოსკების ტარებია დავალებული აქვთ ფოსტალიონებს,რომელნიც აღჭურვილნი იქნებიან განსაკუთრებული საფოსტო ყუთებით. ფოსტალიონების ჩვეულებრივი შესაჩერებელი ადგილი იქნება მოედნები, თეატრების, კინოების და ცირკის წინა დარბაზები,მუშათა კლუბებში და სხვა. ფოსტალიონები ჩაიბარებენ უბრალო კორესპონდენციებს, მოიტანენ მთავარ ფოსტაში. ფოსტალიონები ივლიან აგრეთვე კინო-თეატრებში, მუშათა კლუბებში და გაჰყიდიან იქ საფოსტო მარკებს. კიოსკის დამტარებელ ფოსტალიონების მუშაობა დაიწყება დილის 8 საათზე და გაგრძელდება საღამოს 10 საათამდი—მორიგეობით.

არსენა ოძელაშვილის იარაღი

საქართველოს „რევოლიუციის მუზეუმმა“ შეიძინა ხალხური გმირის არსენა ოძელაშვილის ნაქონი დამბაჩა და ხმალი.

„რევოლიუციის მუზეუმის“ მიერ შეგროვებულ მასალების მიხედვით, ამ იარაღების ისტორია ასეთია:

არსენა მოჰკლა მუხის გორასთან, მცხეთის პირდაპირ, გიორგი კუჭატნელმა. ეს კუჭატნელი უნდა ყოფილიყო კახელი, სოფ. კუპატნიდან, რომელიც მდებარეობს ალაზნის გაღმა, ყვარელის სამხრეთით. გადმოცემით მისი ნამდვილი გვარი უნდა იყვეს სეფისკვერაძე, რასაც მისი დედის ძმის ნათესავები ამოწმებენ.

კუჭატნელის დედა ყოფილა ხარაგოულელი ბუაჩიძის ქალი—სოფელ ფარცხნალიდან.

ეს იარაღი არსენასათვის აურთმევია კუჭატნელს მისი მოკვლის შემდეგ და მიუტანია თავის ბიძასთან ხარაგოულში.

ამ იარაღის განსაკუთრებულ ძვირფას სამკაულად სთვლიდენ, უფრთხილდებოდენ, მემკვიდრეობით გადასცემდენ ერთმანეთს და ამრიგად ჩვენამდეც მოაღწია.

რევოლიუციის მუზეუმმა ეს იარაღი შეიძინა კუჭატნელის ბიძის ჩამომავალ სევერიან ანტონისძე ბუაჩიძისაგან.

ამ დღეებში ეს იარაღი გამოფენილი იქნება ხალხის სანახავად.

ავტო-ცისტერნები

გერმანიიდან ბათომში, თბილისის ცეცხლის მქრობელ რაზმის სახელზე [illegible] ავტო-ცისტერნა მექანიკური ავტო-საქაჩავებით. ავტო-ცისტერნას ამ დღეებში მიიღებენ თბილისში.

მუშათა ცხოვრება

ძრავი

ძრავი ხმაურობს ამაყად,
მეტყველი ცეცხლის ენითა,
თან ამეტყველებს ქარხანას
აურ-ზაურით, ლხენითა.
ქშინავს, ცეცხლს აფრქვევს, ნათელს მფენს,
და იყრის გულის ბუხარსა,
გულსა იგრილებს ცივი წყლით,
სიცხისგან შენაწუხარსა.

თითონ გმირია ლითონის,
მისი ასხია აბჯარი,
იმისვე აქვს ძარღვები,
კუნთები, მკვრივი, მაგარი.
ცხიმს აცხუნებენ; სახსრები
გალიპული აქვს ძალზედა
ბზინავს და გააქვს ლაპლაპი,
მიმზიდველია ძალზედა.

შრომისა შვილი გვერდს უდგას
მისებრივ გაპოხილია
ცოცხალი, მკვდარი საგანი,
ურთ-ერთში ჩაქსოვილია.
შეთვისებიან ერთმანეთს
ერთი ხორცით და გრძნობითა
ჰქმნიან და ჰქმნიან, მხნეობენ
მტკიცედ და სიხარულითა.
შორს, შორს გაისმის მათი ხმა,
მძლავრი და ომაზიანი,
სიბნელეს ჰფენენ სინათლეს,
ხალხს ჰმოსენ, ძლება მშიერი.

მუშა შაქრო ნავთლუღელი.

„ზაჭეს“-ში

მეორე საალმშენებლო უბანზე 1925 წლ. მარტის ბოლო რიცხვებში ზაჭესკომმა გახსნა სასადილო მუშა-მოსამსახურეების დასაკმაყოფილებლად. ამისთვის იყო განსაზღვრული თანხა გაცემული, რომლითაც უნდა ეარსებნა სასადილოს. სასადილოს შტატი შესდგებოდა ხუთი კაცისაგან: ორი მზარეული, ერთი ჭურჭლის მრეცხავი, ერთი დარაჯი და ერთიც გამგე. თვითეულ მათგანს ჰქონდა შესაფერისი თანრიგით დანიშნული ჯამაგირი ზეჭესკომიდან, ხოლო იმ თანხას, რომელიც იყო გადადებული სასადილოსათვის, არაფერი არ უნდა მოკლებოდა, რადგანაც ყოველივე ხარჯებს იხდიდა კომზაჭესი, ამიტომ სადილი უნდა გაყიდულიყო ორი თავი 25 კაპ. ამ ფასად მუშა-მოსამსახურეებს უნდა მისცემოდათ საშუალება მიეღოთ დამაკმაყოფილებელი სადილი (რითაც დღემდე ვსარგებლობდით, თუმცა მას ჰქონდა ცოტა ნაკლიც, რაც უნდა მიეწეროს ყოფილ გამგის გამოუცდელობას). მაგრამ როცა მოხსნეს ძველი გამგე და დანიშნეს ახალი, ვფიქრობდით, რომ ყოველივე გამოსწორდებოდა და გვიხაროდა, რომ ზაჭესის მუშებმა ვიხსენით თავი ჩარჩ-მიკიტნებისაგან (რასაც ჰქონდა ხშირად ადგილი სასადილოს დაარსებამდე).

მაგრამ ჩვენს სიხარულს მოეღო ბოლო—მოგვევლინა ვიღაც „გულშემატკივარი“, რომელმაც შექმნა არტელი და ჩვენი მუშების „სასარგებლოდ“ აიღო სასადილო იმ პირობით, რომ ნება ჰქონოდა ღვინითაც ევაჭრა. ეს იმ დროს, როდესაც ხელისუფლება ყოველ ღონისძიებას ხმარობს მოსპოს სამიკიტნოები ქალაქებში და დაბებში. ეს მუშების „გულშემატკივარი არტელი“ სცდილობს, რომ მუშების საცხოვრებელი ბინები სამიკიტნოთ გადააქციოს და მატერიალურად მათი გაყვლეფის გარდა, ლოთობასთან ერთად ყოველნაირ გარყვნილებას ჰქონდეს ადგილი.

ჩვენ, ყველა მუშები, სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ ხელისუფლება არ მისცემს ამ ვაჭბატონებს საშუალებას, რომ მიაღწიონ თავის მიზანს და მიუჩენს მათ თავის ადგილს.

ეს ვაჭბატონები ამბობენ, რომ სადილს მუშებს იმავე ფასებში მისცემენ, მაგრამ ეს ორი დღეა, რაც მოგვევლინენ და უკვე მოიპოვეს შესაფერისი „თანაგრძნობა“. ჯერ ერთი, რომ სადილი ისე [illegible], რომ არა თუ ფიზიკურად მომუშავეს, არამედ პატარა ბავშვსაც არ დააკმაყოფილებს, და მუშა მეორედ მიდის სადილზე. მას კი ეუბნებიან: „მეორე აღარ არის, [illegible], პირველი უხორცოთაა, წვენი წაიღე დღეს, და ხორცს ხვალ მოგცემთ“-ო.

იმედია, ზემორე ნათქვამს მიექცევა ყურადღება, რომ თავის დროზე იქნეს მიღებული ზომები, რათა ვიქნეთ მუშები განთავისუფლებულნი [illegible] და სადილი მოგვეცეს იმავე პირობებში, როგორც დღემდე იყო.

ხელს აწერს 52 მუშა.

ვაკე-საბურთალოს მომავალი

მზიანმა და თბილ დღემ გამწია ქალაქის განაპირისაკენ, ვაკესკენ.

აი წყნეთის ქუჩა, სადაც ერთი ლიანდაგის მაგიერ ახლა ორია და ტრამვაის რონოდებიც დაუბრკოლებლივ დარბიან.

აი წყნეთის ქუჩიდან ვაკეში გადასასვლელი ხიდიც. მარჯვნივ უზარმაზარი ლამაზი შენობა უნივერსიტეტისა.

აქედან იწყება დაუსრულებელი უნივერსიტეტის ქუჩა, რომელიც მიიმართება სოფელ ბაგებისაკენ.

ვაკე საკმაოდ გაშლილი ადგილია. ცალ მხარეს ჩამოუდის მდინარე ვერა, მეორე მხარეს შეფარებული აქვს გორაკი, რომლის იქითაც იმყოფება „კუს ტბა“.

ჯერ-ჯერობით იგი თხლად არის დასახლებული, მაგრამ როდესაც აქ ივლის კოჯორში მიმავალი ტრამვაი და აგრეთვე საბურთალოზე გარსშემოვლით, ეჭვი არ არის მისი საქმე წინ წავა და უფრო მჭიდროთ დასახლდება იგი.

ქალაქის კეთილმომწყობ კომისიას აქვს თუ არა გათვალისწინებული ვაკეს მომავალი და თუ აქვს, რა ზომებს იღებს მისთვის, რომ აქ არ იყოს ის სიმჭიდროვე,რომელიც ისე საგრძნობელია დღეს ქალაქის სხვა ნაწილებში?

ადვილი შესაძლებელია აქ ოდესმე ისეთი ცენტრი გაკეთდეს, როგორიც არის დღეს რუსთაველის გამზირი, ხოლო ბაგები და წყნეთი ქალაქის განაპირად დარჩნენ.

საჭიროა უნივერსიტეტის ქუჩა დარჩეს იმ სიფართოვე, როგორიც არის რუსთაველის გამზირი. მას უნდა მისდევდეს აგრეთვე ფართე პარალელური ქუჩა თავიდან ბოლომდე და აგრეთვე ფართე შესახვევი ქუჩები.

ასევე უნდა დაიგეგმოს მდინარე ვერის გაღმა მდებარე საბურთალო, რომელიც მომავალში ხიდების შემწეობით გაერთიანდება ვაკესთან.

საქართველოს სამხედრო გზიდან დაწყებული მდინარე ვერის მიმართულებით უნდა იყოს ფართე ქუჩა, სადაც ივლის ტრამვაი და ფართე შესახვევებით იმ ადგილებში, სადაც მომავალში მოსალოდნელი იქნება ხიდების აგება.

თუ ეს გეგმა დაცულ იქნა ახლავე, მომავალში ქალაქს აღარ დასჭირდება ზრუნვა ვაკე-საბურთალოს ქუჩების გაფართოებასა და გამშვენიერებისათვის.

მუშა ნ. ასლი.

მუშკორები შეკავშირდით

(სენაკელი მუშკორებისაგან)

აქამდის დაფანტულნი ვიყავით სენაკელი მუშკორები და გლეხკორები. ერთმანეთის ცნობის მეტი ჩვენ არაფერი გვაკავშირებდა.

მართალი უნდა ვსთქვათ, არც პროფ. და არც პარტორგანიზაციები არავითარ ყურადღებას არ გვაქცევდენ.

თვით ჩვენ ვიკისრეთ მუშკორ-გლეხკორთა შეკავშირება. 29 მარტს შესდგა პირველი საზოგადო კრება, სადაც ამხ. უჩანეიშვილმა გააკეთა მოხსენება მუშკორ-გლეხკორთა წრის დაარსების აუცილებლობის და მათი მუშაობის გაცხოველების შესახებ.

კრებამ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინა: დაარსდეს მუშკორ-გლეხკორთა წრე; მეცადინეობა ხდებოდეს კვირაში ერთხელ საღამოს ექვს საათიდან.

დამყარდეს მჭიდრო კავშირი აგიტპროპი და პროკურატურასთან.

ამის შემდეგ არჩეულ იქნა საქალაქო ბიურო. ბიუროში არჩეულ იქნა 3 ამხანაგი; **ბ. უჩანეიშვილი, ირ. გრიგოლია, მ. ბარამია.**

მუშკორი ურო.

საზაფხულო კლუბს ვაკეთებთ ხელი შეგვიწყვეთ

(სენაკელ მუშკორისაგან)

სენაკის პროფკავშირებს აქვთ თავიანთი სახლი—მუშათა კლუბი, მაგრამ ეს კლუბი უფრო საზამთროა, ხოლო ზაფხულად ჩვენს მუშა-მოსამსახურე უნდა გავიდეს ლაღ ბუნებაში და არა კედლებში, დახუთულ ჰაერში, იგი უნდა გავიდეს სუფთა ჰაერზე, იქ დაისვენოს და გაერთოს.

ამისთვის სენაკის პროფბიურო აწყობს საზაფხულო კლუბს აფთიაქის ბაღში.

ეს გადაწყვეტილება მეტად კარგი და მიზანშეწონილია.

[illegible] აღმასკომი და სხვა ორგანიზაციები ამ საქმის კეთილად დაგვირგვინებაში.

ბ. უჩანეიშვილი.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **გახადეთ კავშირის წევრად.** ქალ. ქუთაისში თბილისის ქუჩ. № 18-ში გახსნილ აქვს ქალთა ტანსაცმელების სამკერვალ ვინმე ანიჩკა ზოსიმეს ასულ ბერძისის. მა ჰყავს შეგირდათ აყვანილი 4 ქალი, რომლებიც არ არიან კავშირის წევრები. შეგირდებს სურთ გახდენ კავშირის წევრებათ, მაგრამ „ხაზიაიკა“ ანიჩკა არ ხდის მათ კავშირის წევრებათ.

ქუთათური.

— **ობერს თავისი მოვალეობა უნდა ესმოდეს.** 20 მარტს ბორჯომში მიმავალ მატარებელს № 20-ს შეცდომით გაყვა მგზავრი მოქ. ჯაფარ ნაზაროვი ალსტაფის ბილეთით. ამ მატარებლის ობერმა, მოქ. მაჭავარიანმა გააკეთა რევიზია ვაგონ № 2039-ში. მგზავრს გაუჭრა ალსტაფის ბილეთი და შემდეგ წარადგინა სადგ. მცხეთაში, როგორც უბილეთო.

კონდუქტორის მოვალეობა კი იყო ვაგონში შესვლის დროს გაესინჯა ბილეთები, და თუ კონდუქტორმა ეს შეცდომა დაუშვა, მაშინ ობერს არ უნდა გაეჭრა ალსტაფის ბილეთი. ეს ასე არ მოხდა. ასეთი მოპყრობა კი მგზავრებზე ყოვლად დაუშვებელია.

კ. მესხიძე.

— **დროზე უნდა მიექცეს ყურადღება.** წითელ თეატრში ხშირად წარმოდგენაზე დამსწრენი დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამენ. ამას გამო, რომ იქ დასაჯდომი სკამები არ არის დანომრილი; ზოგს (ათასში ერთს) აქვს ნომერი და ზოგი კი ისე არის მიტოვებული. ეს დამსწრეებში უკმაყოფილებას, ჩხუბს და აურ-ზაურს იწვევს. ვერაფერმა ვერ უშველა დარბაზში წესრიგის დამყარებას, ფარდის ახდისას ბავშვები ძველებურად განაგრძობენ წესრიგის დარღვევას და დარბაზში სირბილს. ეს კი პიესის მწყობრათ ჩატარებას ხელს უშლის. კლუბის ადმინისტრაციამ ეს ნაკლი სამუდამოთ უნდა აღმოფხვრას და ბავშვები არ უნდა შეუშვან თეატრში.

გ. გოჩიაშვილი.

— **მუშებს ააშორეთ ეს ხიფათი.** ჭიათურაში, ლენინის ქუჩაზე არის უძველესი შენობა (სახლი № 2) ეს შენობა ოთხსართულიანია და ძალიან დაზიანებული. ბინებში მუშები ცხოვრობენ.

საჭიროა მათი გამოსახლება ამ დაზიანებულ სახლიდან, ვინაიდან შესაძლოა ის დაინგრეს და მცხოვრებლები იმსხვერპლოს.

ჭ.

მუშათა ქრონიკა

საარტ-სამექანიკო ქარხანაში

—**სცემენ კედლის გაზეთს.**—საარტ.-სამექანიკო ქარხნის რედ. კოლეგიამ დაადგინა გამოსცეს ყოველ კვირეული კედლის გაზეთი.

შეკვეთების შეფასება. საარტ.-სამექანიკო ქარხნის საკონფლიქტო-შემფასებელმა კომისიამ გაარჩია 25-თი შეკვეთილების საკონფლიქტო საქმეები, რომელიც გადაგზავნა შრომის კომისარიატში.

— **საწ.-თათბ. სხდომების მოწვევა.** საარტ-სამექანიკო ქარხკომმა წინადადება მისცა ყველა საწარმოო კომისიებს რეგულიარულად მოიწვიონ საწარმოო თათბირები.

— **დადებული იქნება ახალი კოლხელშეკრულება.** ახალი ხელშეკრულების გადასინჯვას შეუდგა ტრამვაის ქარხკომი და პირველი აპრილიდან დადებული იქნება ახალი ხელშეკრულება.

— **ცეცხლის მქრობელი რაზმი.** ტრამვაის სახელოსნოში ხანძრის წინააღმდეგ დაარსდა ცეცხლის მქრობელი რაზმი.

— **მუშათა კლუბის შესაკეთებლად.** ტრამვაის კლუბის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ქარხკომის წინაშე შეტანილი იქნეს ახალ ხელშეკრულებაში მუხლი ადმინისტრაციის მიერ კლუბის შეკეთების შესახებ.

— **სამქროს გაფართოება.** ტრამვაის სახელოსნოს შრომის დაცვის კომისიამ დაადგინა ახლად გახსნილ საამქროში მუშებისათვის მოეწყოს ხელსაბანებელი თბილი წყლით.

—**ტაბელ-კალენდარის გავრცელება.** ტრამვაის მუშებში კულტკომისიამ თებერვალში გაავრცელა 500 ეგზემპლიარი ტაბელ-კალენდარი.

— **დრამწრე.** [illegible] არსებობს დრამ-წრე გამოდის ცოცხალი გაზეთი.

ქრონიკა

მთავრობის ცნობა

ჩემი მოსკოვში გამგზავრების გამო ცაკის თავმჯდომარის მოვალეობის აღსრულება დაევალოს ცაკის პრეზიდიუმის წევრს ამხ. ი. ხარაბაძეს.

საქ. ცაკის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

ჩემი მოსკოვში გამგზავრების გამო—ცაკის მდივნის მოვალეობის აღსრულება დაევალოს ცაკის პრეზიდიუმის წევრს ამხ. შ. მათიკაშვილს.

ცაკის მდივანი ს. თოდრია.

3 აპრილი 1926 წ.

თბ. აღმასკომში

— **მუშტაიდის შესახვევის გასაფართოებლად** და სათანადო მოსაწყობათ თბ. აღმასკომმა გადასდო 7.000 მანეთი.

— **საბინაო გადასახადი.** 1 აპრილისათვის თბილისში აკრეფილი იქნა საბინაო გადასახადის 70 პროცენტი.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

— **სასოფლო-სამეურნეო გამოფენა 1-ლ მაისის ნაცვლად გაიხსნება 15 მაისს.**

— **მონაწილეთა რიცხვი.** გამოფენის მომწყობ კომიტეტის ცნობით, გამოფენაში მონაწილეობას მიიღებს საზღვარგარეთელი 100 ფირმა. მათ შორის 40 ფირმა გერმანულია.

მიწადმოქ. სახ. კომისარიატში

— **მიწის მუშაკთა ყრილობა.** 5 აპრილს დილის 11 საათზე, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნება სრ. საქ. მიწის მუშაკთა პირველი ყრილობა, რომელიც მოწვეულია მიწადმოქმ. სახ. კომისარიატის მიერ.

— **საქონლის ჭირი** სავსებით მოისპო აჭარისტანში და ახალციხის მაზრებში.

სხვადასხვა

— **ზომა-წონის სამმართველომ** სომხის ბაზარზე გახსნა თავის მაღაზია № 2.

— **განათლების მუშაკთა სახლთან** არსებული საექსკურსიო ბიურო აწყობს საზაფხულოთ განათლების მუშაკთათვის მოსკოვში გასამგზავრებლად ექსკურსიას. მსურველთა ჩაწერა მიიღება განათლების მუშაკთა სახლში მხოლოდ 10 აპრილამდე.

— **სესხი გლეხობას.** აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკის ქედის განყოფილებამ გლეხობას დაურიგა სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენად 3.500 მან. სესხათ.

ჩაუბარებელი დეპეშები 1—4—26 წ.

ჭიათურიდან—ჩხაიძეს, ოდესიდან—ტატულოვს, ტაშკენტიდან—კანანიანს, ნოვოროსიისკიდან—ზრეგაძეს, შამხორიდან—პირალოვს, ზუგდიდიდან—ბაბაგუას, სოხუმიდან—კუდრიავცევს, რასშევატიდან — სკოპიანცს, ჰრებალოდან — გელოვანს, ზაქათალიდან — სულეიმანოვს, ბაქოდან—შემეს, გუდაუთიდან—არჩვაძეს, ბათომიდან — ჩეგელს, სემალინგარდიდან — მურავიოვს.

— **მოხსენება.** ორშაბათს, 5 აპრილს, საღამოს 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში დოცენტი ლ. მელიქსედბეგი გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: **„საკითხები თბილისის დაარსების და გადასავალთათვის“.**

შემთხვევები

— **ცეცხლი.** 2 აპრილს დღით, ვლადიმიროვის ქ. № 5, მოქ. იოსებ ფოჩხიძის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლის მქრობელ რაზმის მიერ.

— **ამავე დღეს** სასახლის ქ. № 6, მიასნიკოვის სავაჭროს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა.

— **ამავე დღეს** მაზუთის ქვაბის გახეთქის გამო, კომუნალურ ქუჩაზე მდებარე 1 ლ ტყავ-საპონ-ზეთის ტრესტის ქარხანას გაუჩნდა ცეცხლი. ზარალი გამოურკვეველია.

— **დესიმონოვის ქ. № 5** ამავე დღეს ივანე მენთეშაშვილის თივის სავაჭროს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო იმავე ცეცხლის მქრობელ რაზმმა.

— **შეპყრობა.** 2 აპრ. პროფკავშირთა საბჭოს შენობის ოთახში (№ 75) ქურდობის განზრახვისათვის შეიპყრეს გიორგი გერასიმეს ძე სულავა.

— **ქურდობა.** 2ა პრილს, ტერგუკასოვის ქ. № 15, გაქურდეს ვანდა მარტინოვსკის ბინა. წაიღეს 150 მან. ნივთები.

ამავე დღეს პლეხ. პრ. № 130, გაქურდეს გარეგინ გეურქოვის საკანდიტრო.

სხვადასხვა ამბები

— **საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის** უმაღლეს საბჭოს რწმუნებულის ცნობით, შრომისა და თავდაცვის საბჭომ საბოლოოდ დაამტკიცა ამიერ-კავკასიის მრეწველობისათვის საჭირო ხარჯები 4.055.000 მანეთის რაოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან და 2.540.000 მან. სამეურნეო აღორძინების სესხიდან, სულ 6.595.000 მანეთის რაოდენობით.

ამ თანხიდან საქართველოზე მოდის 2.215.000 მანეთი, აქედან ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობისათვის 85. 000 მანეთი, ბარიტის წისქვილის ასაგებათ 130.000 მან., აფხაზეთის სატყეო მრეწველობისათვის 850.000 მან., საქართველოს სატყეო მრეწველობისაცის 850.000 და ტყავის ტრესტისათვის 200.000 მანეთი, თბილისში მაუდის ქარხნის ასაგებათ 600.000 მანეთი, სოხუმში თამბაქოს ფაბრიკის ასაგებათ 100.000 მანეთი.

— **ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს** პრეზიდიუმმა დაადგინა 1926 წ. 1 აპრილიდან შრომის უნარდაკარგულთა დახმარება განსაზღვრული იქნას 7 მ. 50 კაპ. ფარგლებში დღიურათ.

— **საქართველოს სამივე ბამბის გამწმენდ** ქარხანამ დაასრულეს ბამბის გაწმენდა.

ამ თვეში ამუშავებული იქნება სოფ. **ილმაზლოში** წყალის საქაჩავი მანქანა, რომელიც მორწყავს 6.000 დესეტინა ბამბით დათესილ მიწას.

— **მაისის პირველ** რიცხვებში გაიმართება თბილისის მუშა-მოსამსახურეთა მასიური ექსკურსიები ბაქოსა და ბათომში.

სასამართლო

წყალსადენის სამმართველოს თანამშრომელთა საქმე

მეოთხე სხდომაზე გრძელდებოდა მოწმეების დაკითხვა. მოწმე **დიასამიძე** აცხადებს, რომ ბრალდებულმა **ჭანტურიამ** როსტოვში გამგზავრების წინ უთხრა მას, რომ 3.000 მან. ბონებით აღმასკომისათვის გადასაცემათ არ მიუღიათ. საქმის გამოძიების დროს წამოჭრილ საკითხების გამოსარკვევად სასამართლომ გამოიწვია დამატებითი მოწმეები.

საღამოს სხდომაზე დასრულდა მოწმეების დაკითხვა და მოსმენილ იქნა ექსპერტების დასკვნა.

ორშაბათს, დილით გაიმართება მხარეთა კამათი.

ვლადიმერ ჩხაიძის საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. **გლადკოვის** თავმჯდომარეობით დაიწყო ვლადიმერ ჩხაიძის საქმის გარჩევა.

ჩხაიძეს ბრალათ ედება საკავშირო თანხების მითვისება და გაფლანგვა.

ბრალს სდებს პროკურორი გრიგოლია, იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: ქ. ნინიძე და ს. ყანჩელი.

გამოწვეულია 15 მოწმე და ექსპერტები.

რკინის გზეზე

პავილიონები სადგ. ბორჯომში და წაღვერში

ა.-კ. რკ. გზების სამმართველომ გადასწყვიტა მოაწყოს ს დგ. ბორჯომში და წაღვერში საზაფხულო პავილიონები. პავილიონების ასაშენებლად საჭიროა 2.386 მანეთი, რომელიც შეტანილია ბორჯომის კვანძის გადაკეთების ხარჯთ-აღრიცხვაში.

ხე-ტყის მასალების შეძენა

ა.-კ. რკ. გზების სამმართველომ შეიძინა 20.000 ცალი შპალი ფართო ლიანდაგისათვის და 30.000 კუბიური ფუტი მორები.

ხელშეკრულების დამტკიცება

ა.-კ. რკ. გზების სამმართველომ დაამტკიცა რიაზან-ურალის რკ. გზებთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც შეეხება დიდძალი რაოდენობით ხე-ტყის მასალის მიწოდებას.

ორთქლმავლის აცდენა ლიანდაგიდან

გუშინ საყუდიდან ბაქოს მატარებელ № 8-ის ორთქლმავლის გამოყვანის დროს ლიანდაგის გაფართოების გამო ორი გოგრით ჩავარდა ორთქმავალი. ამის გამო მატ. № 8-მ დაიგვიანა ერთი საათით.

ხელოვნება

„სევილიელი დალაქი“

ფიგაროს (დალაქის) პარტიის შესრულებით **ინაშვილმა** დაგვანახვა თავისი არტისტული ნიჭის მრავალფეროვნება. საუცხოვოდ შეასრულა მსახიობმა პირველი აქტის მონოლოგი, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ ხმის ტეხნიკას. როგორც ამ მონოლოგის, ისე გრაფ ალმავივასთან დუეტის დროს მსახიობის შესრულება იყო უნაკლო. მის სიმღერაში ბევრია ნიუანსები და სილამაზე.

როზინას პარტია შეასრულა პოპოვამ. ეს პარტია წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო პარტიას მსახიობი ქალის რეპერტუარში.

გრაფ ალმავივას პარტიას ასრულებდა კავსაძე, დონ-ბაზილიოს — სუხოდოლსკი, ბარტოლას—დემიანენკო.

პ. გ.

ხელოვნების ქრონიკა

ელისაბედ ჩერქეზიშვილის იუბილესათვის

— ელისაბედ ჩერქეზიშვილის საიუბილეო კომიტეტის კრება დანიშნულია ორშაბათს, 5 აპრილს, საღამოს 6 საათზე ოპერის თეატრის კანტორაში.

— დამსახურებულ მსახიობის ელ. ჩერქეზიშვილის იუბილე გაიმართება ოპერის თეატრში ოთხშაბათს, 7 აპრილს. დაკვეთილი ბილეთები შეინახება მხოლოდ სამშაბათამდე (6 აპრილამდე).

◆ **გრ. პიროგოვის გამოსათხოვარი** გასტროლი გაიმართება დღეს ოპერის თეატრში. მიდის „ლაკმე“ და ადგილები „ალიდან“.

◆ **გლაზუნოვის სახელობის კვარტეტის** პირველი კონცერტი გაიმართება ხვალ რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში.

◆ **„თამარ ცბიერი“.** ზეგ, 6 აპრილს, ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება პირველად მელიტონ ბალანჩივაძის ახალი ორიგინალური ოპერა: „თამარ ცბიერი“.

◆ **„ჯამბაზები“.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება საოპერო სტუდიის მიერ მეორეთ ქართულ ენაზე „ჯამბაზები“.

◆ **ცირკის სეზონის დახურვა.** მიმდინარე წლის ცირკის სეზონი დაიხურა 30 მარტს.

◆ **საბავშო სეანსები** გაიმართება დღეს კინო „მინიონში“. დასაწყისი დილის 12 საათზე.

დღეს კინოებში

◆ აპოლო, სოლეი, არფასტო—„ნათელა“.

◆ მინიონ—„უბილეთო მგზავრი“.

◆ პალას—„სიკვდილ - სიცოცხლის თამაში“.

მოძრავი კინო სოფლად

(ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევის თანახმად, მოძრავი კინოების მუშაობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სოფლებში ვერ არის სათანადო ნიადაგზე დაყენებული.

ამჟამად პოლიტიკური განათლების მთავარ მმართველობას თავის განკარგულებაში აქვს ორი მოძრავი კინო; ორი მოძრავი კინო აქვს აგრეთვე ჭიათურის სამთო-მადნო მუშების კავშირს და ერთი მოძრავი კინოავტომობილი პროლეტკულტს.

აზერბეიჯანში მოძრავი კინოების დაგზავნა სოფლად დაიწყო გასული წლის ზაფხულზე და ამ მხრივ ჯერ-ჯერობით განსაკუთრებით საგრძნობი შედეგები არ არის.

სომხეთში მუშაობს 7 მოძრავი კინო, აჭარისტანში ორი მოძრავი კინო, რომელთაგან ერთი ავტომობილზეა მოწყობილი და აფხაზეთში—4 მოძრავი კინო.

ეს რაოდენობა ძალიან ცოტაა; მოძრავი კინოები ვერ არის სათანადოთ მოწყობილი, ამას გარდა სრულებით მოგვარებული არ არის სურათების შერჩევა სოფლებისათვის.

ხშირად სოფლად უჩვენებენ ისეთ სურათებს, რომლებიც არა თუ შეაყვარებს გლეხებს კინოს, არამედ სამუდამოდ პირს აბრუნებინებენ მისგან.

კინო-აპარატებიც გაუმჯობესებას მოითხოვს; მათი კონსტრუქცია მოძველებულია, რის გამო სურათები ნათლად არ სჩანს ეკრანზე.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს შენიშნული დეფექტების გასწორებას და სოფლად კინო-სა[illegible] ნიადაგზე დაყენებას.

ფიზკულტურა

ა.-კ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოში

ფიზკულტურის ინსტრუქტორების შემოწმება

ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს სამეცნიერო - ტეხნიკური კომიტეტი მიმდინარე წლის მაისიდან შეუდგება საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ფიზკულტურის ინსტრუქტორების ექსპერტიზას, რომლის მიზანია მათი კვალიფიკაციის გარკვევა.

ცილობა ძალოსნობაში

ამიერ - კავკასიის ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო აპრილის შუა რიცხვებში თბილისში აწყობს ცილობას ძალოსნობაში ამიერ-კავკასიის პირველობაზე.

ამ ცილობაში მონაწილეობას მიიღებენ კონკურს გარეშე საბჭოთა კავშირის საუკეთესო ძალოსნები, რომლებმაც მსოფლიო პირველობა მიიღეს: ბუხაროვი და სპარე (მოსკოვი), მოჭიდავე—ულენინი (ლენინგრადი) და ივანოვი (მოსკოვი) და მოსკოველი ბოკსერი გრადონოლოვი.

ამიერ-კავკასიის თვითეული რესპუბლიკა ცილობაზე გზავნის 20 კაცს. პირველობა მინიჭებული იქნება ერთეულების მიხედვით, ამასთანავე პირველი ადგილისათვის საჭიროა 3 ერთეული, მეორესათვის—2 და სხვა.

თვითეულმა რესპუბლიკამ ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოში უნდა გაგზავნოს ცილობაში მონაწილეობის მიღების მსურველთა სიები და მათი ფოტოგრაფიული სურათები.

ფეხბურთი

„კომუნისტი“ — „მიწადმოქმედების კომისარიატი“

პარასკევს, 2 აპრილს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა მეორე კატეგორიის გუნდების — „კომუნისტი“-ს და „მიწადმოქმედების კომისარიატის“ შეჯიბრება.

მატჩი გათავდა 4:1 „კომუნისტი“-ს სასარგებლოდ.

„ფიზიკური კულტურა“

გამოვიდა და იყიდება საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს ორგანო „ფიზიკური კულტურა“-ს მარტის ნომერი. ჟურნალი ღირს 25 კაპ.

ბიბლიოგრაფია

„მნათობი“,
ყოველთვიური სამხატვრო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.
№ 1 (21) და № 2 (22). წელიწადი მესამე.

ჟურნალი „მნათობი“ მიმდინარე წელშიაც სისტემატიურად გამოდის. პირველ ნომრის გამოსვლიდან ის უკვე მესამე წელიწადში გადადგა. გადამეტებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ ხნის განმავლობაში ის გადაიქცა ქართულ ლიტერატურის ერთად-ერთ სერიოზულ ორგანოდ.

„მნათობი“ № 1 (21) იხსნება ლექსების განყოფილებით. წარმოდგენილია ლექსები ა. მაშაშვილის, გალ. ტაბიძის, კ. ლორთქიფანიძის, ჟურულის, ალ. ქუთათელის, ვ. გაბესკირიას და სხ. მათ შორის გალ. ტაბიძე ქართული ლექსის ძველი შემოქმედი, რაც შეეხება ახალგაზრდა მწერლებს,—რომელთა ნაწერებს „მნათობი“ სიამოვნებით უთმობს თავის ფურცლებს, აღსანიშნავია ა. მაშაშვილი. მან თავის ლექსით „დარიალი“ უკვე მომწიფებული პოეტის სახელწოდება დაიმსახურა. უსათუოთ მიღწევები აქვთ აგრეთვე ლორთქიფანიძეს და ჟურულს. კარგი და მსუბუქია ქუთათელის ლექსი. პროზის განყოფილებაში მოდის გრ. რობაქიძე: „გველის პერანგი“ (გაგრძელება). ამას მოჰყვება ვ. მალაქიაშვილის რომანი: “სამნი”. ავტორს უსათუოდ წინსვლა ეტყობა, ენა უკეთესია ვიდრე მისი ძველი ნაწერებისა, სტილიც დახვეწილია. ალაგ ალაგ ეტყობა ახალი ქართული პროზის დადებითი გავლენა. რომანის შინაარსი შეეხება 1917 წლის რევოლიუციას. შემდეგ მიხეილ ჯავახიშვილის დიდი მოთხრობა: „თეთრი საყელო“. „თეთრი საყელო“ ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია ამ ნიჭიერ ბელეტრისტისა. ჯავახიშვილი ახალი ქართული პროზის არამც თუ ერთ-ერთი წარმომადგენელია, არამედ მისი მასწავლებელი . ჩვენი ახალგაზრდა პროზაიკები უსათუოთ ბევრს ისწავლიან ამ მოთხრობაში ნახმარი მხატვრული ხერხებიდან.

თარგმანებიდან წარმოდგენილია ი. ბაბელი: „ცხენარმია“ დ. შენგელაიას მიერ შესრულებული თარგმანი უსათუოთ უნაკლოა.

ამავე ნომერში დამთავრდა ე. ყაზბეგის დიდად საინტერესო მონოგრაფია „ორივე ყაზბეგის“ შესახებ. აქვე დაამთავრა დ. კლდიაშვილმა თავისი მოგონებანი. ვ. ხუროძის წერილს: „შიო არაგვისპირელი“ მოჰყვება ა. ჭელიძის თეპერონიდან მოწერილი წერილები.-

„მნათობი“-ს № 2 (22) იხსნება კარლო კალაძის ლექსით. მას მოჰყვება გვეტაძის ლექსი და მაშაშვილის მშვენიერი „მტკვარისტანი“. მოთავსებულია აგრეთვე კ. ლორთქიფანიძის და ალ. ქუთათელის ლექსები. შემდეგ ნიკოლოზ მიწიშვილის: „გარდაცვალება“ ავტორს ამ ნაწარმოებისათვის პოემა დაურქმევია, სინამდვილეში ის ავტორის საკუთარი განცდების ფილოსოფია არის. ნიჭიერად დაწერილი სურათები და მშვენიერი სტილი—აი რა ახასიათებს ამ „პოემას“.

გრძელდება გრ. რობაქიძის „გველის პერანგი“ და აგრეთვე მალაქიაშვილის რომანი: „სამნი“. უცხოეთის ლიტერატურიდან წარმოდგენილია უპტონ სინკლერი: „მეფენახშირი“.

ამავე ნომერში დაბეჭდილია ამხ. ფილ. მახარაძის დიდად საინტერესო წერილი: „საქართველო მეცხრამეტე საუკუნეში“. ამხ. ფ. მახარაძე ერთი თვალის გადავლებით იძლევა იმ უმწეო სურათს, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო მე-18 საუკუნის ბოლო ხანებში წარმოადგენდა და აჩვენებს თუ როგორ მეცხრამეტე საუკუნეში დანგრეული ქვეყანა ფეხზე დგება და ეკონომიური გაერთიანების ზე-გავლენით ერთიანდება პოლიტიკურადაც. „საქართველო ახლა ამბობს ამხ. ფილიპე—ერთიანდება ეკონომიურ ნიადაგზე და მზადდება პირობები მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის, ეს ხდება მიუხედავად იმ მძაფრი გამრუსებელი პოლიტიკისა, რომელსაც რუსეთის მთავრობა აწარმოებდა აქ მთელი საუკუნის განმავლობაში— საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ყველა დარგში. დიალექტიკა სწორედ აქ იჩენს თავს მთელი თავისი ძლიერებით“.

ამავე ნომერში მოთავსებულია: ა. ჭელიძის „წერილები სპარსეთიდან“. აკ. ჭყონიას: „კრიტიკული შენიშვნები ნ. ბარათაშვილის პოეზიაზე“ და ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა, რომელიც მან მიმდინარე მომენტისა და ჩვენი მწერლობის ამოცანების შესახებ წარმოსთქვა ქართველ მწერალთა კავშირის ყრილობაზე.

ს.

ჟურნალი „საქ. განათლების მუშაკი“

თუ მასწავლებელთა აქტიური ელემენტები არ გამოსთქვამენ თავიანთ აზრს ამა თუ იმ მიღწევების მეთოდის შესახებ, ჩვენს ნორჩ სკოლას გაუძნელდება მრავალ შეცდომათა თავიდან აცილება. აქ „საქართველოს განათლების მუშაკს“ ენიჭება უპირველესი როლი: მას შეუძლია გარს შემოიკრიბოს პედაგოგთა საუკეთესო ძალები, რომელთა მეოხებით გამომზეურებული იქნება ყველა რთული და სადაო პედაგოგიური საკითხი.

სდგას თუ არა ჟურნალი თავის სიმაღლეზე ამ მხრივ და შეუძლია თუ არა მას დააკმაყოფილოს განათლების მუშაკთა, უმთავრესად მასწავლებელთა, ცნობისმოყვარეობა? სრულებით გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ ჟურნალმა მიაღწია მიზანს. მასში უმთავრესად ირკვევა ისეთი საკითხები, რომლებიც განათლების მუშაკს, განსაკუთრებით მასწავლებელთ, სჭირიათ ყოველდღიური მუშაობის დროს. ჟურნალმა გარს შემოიკრიბა განათლების დარგში აქტიურად მომუშავეთა ნაწილი.

ჟურნალის უკანასკნელი სამი ნომერი (11, 12 და 13) საუკეთესო გამოცემაა, როგორც შინაარსით, ისე გარეგნობითაც.

შინაარსის მხრით, როგორც ითქვა, შუქდება ისეთი პრინციპიალური და პრაქტიკული საკითხები, რომლებიც უეჭველად საჭიროა თანამედროვე განათლების მუშაკთათვის.

„განათლების მუშაკში“ რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პროფესიონალურ და პოლიტიკურ საკითხებსაც.

გარეგნულად ჟურნალი უეჭველად გაუმჯობესდა: ქაღალდი და შრიფტი კარგია: სისქესაც მოემატა: 24 გვერდიდან ავიდა 40-მდე.

პლ. ნადარაია.

იურიდიული დახმარება

კანონიერია თუ არა დამზღვევ სალაროს მოქმედება

კითხვა

გთხოვთ განმიმარტოთ, თუ რამდენათ კანონიერია ბათომის დამზღვევი სალაროს მოქმედება, რომელმაც ამომიშალა დასაზღვევ წიგნაკიდან ჩემი სარჩენი სიდედრი.

მე ვმსახურობ ერთ-ერთ ხე-ტყის სავაჭრო დაწესებულებაში, სხვათა შორისაც მყავს სარჩენათ სიდედრიც, მოხუცებული 60 წლისა, რომელსაც ერთი შვილის მეტი არა გააჩნია რა წყარო თავის რჩენისათვის და ის ერთი შვილიც ჩემი ცოლია, რომელმაც როგორც დედა უნდა არჩინოს, მაგრამ ორივე კი ჩემი სარჩენია, დამზღვევ სალარომ კი ეს გარემოება არ მიიღო.

გთხოვთ დაგვარიგოთ, როგორ მოვიქცე?

ხეზე მომუშავეთა კავშირის წევრი №2134 დ. კ.

პასუხი

თანახმად სოც. დაზღვევის წესებისა ბათომის დამზღვევ სალაროს მოქმედება უნდა ჩაითვალოს კანონიერად, ვინაიდან დაზღვეულის კმაყოფაზე ითვლებიან მხოლოდ ცოლი, მცირეწლოვანი შვილები, ობოლი მცირე-წლოვანი და-ძმა და შრომის უნარის მოკლებული მშობლები და არა სიდედრი და სიმამრი.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

ვცხოვრობ 1-ლ უბანში კობის ქ. სახ. № 27-ში. მიჭირავს ორი პარატა ოთახი 35 კვ. არშ. ვცხოვრობთ მე და მოხუცი დედაჩემი (ორი სული) ვარ კავშირის წევრი, უმუშევარი და დაზღვეული

გთხოვთ მიპასუხოთ, რამდენი უნდა ვიხადო თვეში ქირა და აგრეთვე ვალდებული ვარ თუ არა ვიხადო გადასახადი ქუჩის ფარნის განათებაში და მეეზოვის.

მუშკორი გოგებაშვილი.

პასუხი

როგორც უმუშევარი, კავშირის წევრი და დაზღვეული ქირად თითოეულ კვადრატიულ არშინზე იხდით ერთ კაპეიკს. ქუჩის ფარნის ხარჯები და მეეზოვის ხელფასი უნდა გაიღოს მხოლოდ სახლის პატრონმა.

პასუხი ჯიხაიშის „ეპოს“

გაზეთ „კომუნისტი“-ს № 70 (1525), მოთავსებულია დიდი-ჯიხაიშის „ეპო“-ს და სამეურნეო ამხანაგობის გამგეობის ღია წერილი წარმოკავშირისა და ცეკავშირის საყურადღებოთ, სადაც აღნიშნულია, თითქოს საზ-ბა „აბრეშუმი“ თესლის განაწილებას მეაბრეშუმეებზე ახდენდეს კერძო პირების საშუალებით, რაც სიმართლეს მოკლებულია. საზ-ბა „აბრეშუმმა“ უკვე დაამთავრა თესლის დარიგების ორგანიზაცია ხელშეკრულებების დადებით. 95 პროც. ასეთებისა დადებულია „ეპოებთან“ და სამეურნეო საზოგადოებებთან. თესლის ერთი ნაწილის განაწილება საზ-ბას განზრახული აქვს თავის აპარატის საშუალებით. როგორც ხელმძღვანელნი, ისე საკანტროლო ორგანოები ცეკავშირისა და წარმოკავშირის აპეკუნობას არ საჭიროებენ.

საზ-ბა აბრეშუმის გამგეობის თავმჯდომარე: ე. ჩხეიძე.

პარტ. საბჭ. კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აგიტპროპკოლეგიის მორიგი სხდომა შესდგება ოთხშაბათს, 7 აპრილს, დილის 9 საათზე ამხ. ახრიბეკოვის კაბინეთში.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ ორი დღის განმავლობაში თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ახრიბეკოვთან.

1) ი. ი. შმკოვი, 2) მ. აკოპოვი, 3) არევაზ აგაჯანოვი, 4) ხაჩატურ მურადიანი, 5) ვაგარშაკ მხიტარიანი, 6) თავზარიძე, 7) სერგო არაქელისძე სარქისოვი.

— ს. კ. პ. ლენრაიკომი იტყობინება, რომ 6 აპრილს, საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულ სამკითხველოში მოწვეულია უჯრედების ბიუროს კონფერენცია პარტორგების თანდასწრებით.

დღის წესრიგი: 1. ცნობა კომუჯრედების ბიუროების მომავალ გადარჩევის შესახებ.—2. უჯრედებში გეგმიან მუშაობის შესახებ.—3. მიმდინარე საკითხები.

ქ. ქუთაისში, 1926 წელს, 2 აპრილს, საღამოს 10 საათზე ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ბესარიონ (ბეკო) მიზ[illegible] მდივანი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მეუღლე მისი დესპინე ნიკოლოზის ასული, შვილები: დავითი, ალექსანდრე, ელენე, ნინო, ვლადიმერი, სიმონი; რძლები: ნადეჟდა, შარლოტა, მამიკა, ეკატერინე: შვილისშვილები. ქეთევანი, თამარი, ბესარიონი, გიორგი, ივანე, რობერტი, ირაკლი, ვახტანგი, ავთანდილი და ნოდარი. გამოსვენება სამშაბათს, 6 აპრილს, საკუთარ სახლიდან ნინოშვილის ქუჩა—ნაშუადღევის ოთხის ნახევარ საათზე და დაკრძალვა სოფ. ვაკისუბანში.

2064 2—1

ლიზა ბოლქვაძე, სიმონ ცხომელიძე, თედორე ქარცივაძე, ევგენი ურუშაძე, აფთონ ცინცაძე მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ-მეგობართ ძვირფასი ადამიანის

ბაბილინე ქარცივაძის ასულის აბაშიძის

გარდაცვალებას.

2056 1—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე სოფიო ივანეს ასული შვილებით ვანო და დიმიტრით, დედა სოფიო სიმონის ასული, ძმები იასონი და სიმონი, დები მარიამ და ელენე, სიდედრი ხორეშან მალხაზის ასული მახვილაძისა და სიძე ნესტორ ლომიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 4 აპრილს, 1 საათზე, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე დანიშნულია პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი

ზაქარია (საშა) დიმიტრის-ძე კობახიძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე.

2056 1—1

ორშაბათიდან 5 აპრილიდან

გრძელდება ჩვენება მეორე კვირაში

კინო-თეატრებში

აპოლო, არფასტო და სოლეი

ნათელა

რეჟის. —ა. ი. ბეკ-ნაზაროვი.
ოპერატორი—ს. ზ. ზაბოზლაევი.
მთავარ როლებში: ნატა ვაჩნაძე, ალისა ქიქოძე ა. ხორავა, მ. ჭიაურელი, ა. ჟორჟოლიანი, კ. ანდრონიკაშვილი, დ. ყიფიანი.

საქართველოს კინო-მრეწველობის სააქც. საზ-ის. გამოცემა
გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი.

კასა ღიაა საღამოს 5 საათიდან. 1-ლი სეანსის დასაწყისი საღ. 6 საათზე.

ნ. 1006 1—1

აპოლო
არფასტო
სოლეი

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქ. სახელმწ. კინო-მრეწველობის სააქც. საზ-ის

სურათი

„ნათელა“

ორშაბათიდან
სურათის ჩვენება
გრძელდება მეორე კვირაში

ანონსი: ამ დღეებში არფასტო-სოლეი „დათვური ქორწილი“
აპოლო-პალასი: საბჭ. კინემატოგრაფიის სიამაყე — „ჯავშნიანი გემი პოტიომკინი“

ნ. 972 0—4

ბათომის რაიონული საბაჟო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 10 აპრილს იმ[illegible] ნიშნავს

ქ. ფოთში საჯარო ვაჭრობას

დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების გასაცემად ფოთის საბაჟოსთან

1. საჯარო ვაჭრობა დახურულია და პირობების წარდგენა შეიძლება მხოლოდ დახურულ კონვერტებში.
2. შეჯიბრება უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ ნიხრზე და მხოლოდ პროცენტული ანარიცხის საშუალებით მთელ ნიხრზე და არა მის ცალკე ნაწილებზე.
3. ხელშეკრულების ტექსტი არ არის შეჯიბრების საგანი და სავალდებულოა მთლიანად საჯარო ვაჭრობის ყველა მონაწილეთათვის.
4. იმ სახელმწიფო დაწესებულებებმა, რომლებიც აღნიშნულ სამუშაოებს აიღებენ, უნდა შეიტანონ საწინდარი — 300 სამასი) მანეთი და ყოველთვიურად მთელი შემოსავლიდან 10 პროც. გადარიცხვით აიყვანონ იგი 2.000 მანეთამდე, კერძო დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა კი 1.000 მანეთი—და უნდა აიყვანონ იგი 7.000 მანეთამდე.
5. საწინდარის შეტანა სავალდებულოა არა მარტო კერძო და კოოპერატიულ წარმოებათათვის, არამედ სახელმწიფო ორგანოებისათვისაც.
6. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, როგორც სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, ისე შრომის სახ. კომისარიატის განსაკუთრებულ დადგენილებათა თანახმად შედგენილ კოლექტივებს და არტელებს და აგრეთვე კერძო ორგანიზაციებს
7. იმ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომლებმაც აიღეს იჯარით საარტელო სამუშაოები, არ აქვთ უფლება შეასრულონ საექსპედიტორო ვალდებულებანი საბაჟოსთან.
8. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა აღნიშნულ საბაჟოს დეპოზიტში უნდა შეიტანონ მე-4 მუხლში აღნიშნულ პირვანდელ საწინდრის 10 პროც.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საარტელო სამუშაოების აღების შემდეგ საწინდარი გადაირიცხება მე-4 მუხლში აღნიშნულ საერთო საწინდარში, ხოლო იმათ, ვინც სამუშაოებს არ აიღებს, საწინდარი დაუყოვნებლივ უბრუნდებათ უკან

9. ხელშეკრულების, ნიხრის, ვაჭრობის პირობების გაცნობა შეიძლება ფოთის საბაჟოში საბაჟოს მმართველთან.
10. ვაჭრობის შედეგებს ამტკიცებს საბჭოთა კავშირის მთავარ საბაჟო სამმართველოს საბაჟო-სატარიფო კომიტეტი, რის შემდეგაც კონტრაგენტი იწყებს მუშაობის შესრულებას.
11. დახურულ კონვერტების შეტანა ფოთის საბაჟოში შეიძლება ამ განცხადების გამოქვეყნებ ს დღიდან ა. წ. 10 აპრილის დღის 12 საათამდე.

3—1 ნ. 1002

ბათომის რაიონული საბაჟო

---

25 აპრილს 1926 წელს შესდგება

იმერეთის მევენახეთა კოოპერატიული საზ-ბა

„იმერეთი“-ს წევრთა წლიური ყრილობა

ქალ. ზესტაფონში

დღის წესრიგში დასმული:

1. გამგეობის მოხსენება 1924 25 საოპერაციო წლის მუშაობის შესახებ. განხილვა და დამტკიცება ამავე წლის საფინანსო ანგარიშებისა.
2. გამგეობის მოხსენება 1925 | 26 წ. პირველ ნახევარ წელში (ე. ი. ა | წ. 1 აპრილამდე) თავის მუშაობის შესახებ და საფინანსო ანგარიშების დამტკიცება, 1 აპრილამდე.
3. მოხსენება სარევიზიო კომისიისა.
4. მოხსენება საბჭოსი.
5. წესდების რამოდენიმე მუხლის შეცვლის შესახებ.
6. 1925 | 26 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება
7. გამგეობის მორიგი წევრის არჩევა.
8. საბჭოს მ რიგი წევრების არჩევა.
9. სარევიზიო კომისიის არჩევა.
10. რწმუნებულების არჩევანი „იმერეთისა“.
11. რწმუნებულების არჩევა „საქ. ღვინის“ ყრილობისათვის
12. მიმდინარე კითხვები.

„იმერეთის“ გამგეობა

1—1 ქ. 2050

გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს როგორც ადგილობრივ, ისე პროვინციის ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, გამოუგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ან შეგვატყობინონ ქვითარის №, რომლითაც გამოწერილი აქვთ. მისამართების გამოცვლა იწვევს კანტორის მხრივ ზედმეტ ხარჯებს (მისამართების ხელმეორედ დაბეჭდვა, დაჭრა, ქაღალდი და ამიტომ მათი (ხარჯების) დასაფარავათ მისამართების შეცვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ კანტორაში 25 კ. (შეიძლება საფოსტო მარკებით), წინააღმდეგ შემთხვევაში ამ გვარი წერილები უყურადღებოდ იქნება დატოვებული.

მთავარი კანტორა

ქ. თბილისის პირველი რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ბ. ი. ბარუტჩევ

აცხადებს, რომ 1926 წლ. 8 აპრილს, ნაშუადღევის 1 საათზე დუშეთის ჩიხში სახლში № 4, საჯარო ვაჭრობით გაიყიდება ნახევარი წილის უფლება 2 სართულიან ქვის სახლზე. სახლი მდებარეობს დუშეთის ჩიხში № 4 და ეკუთვნოდა გარდაცვლილ სერაფიონ ფანცხავას შესდგება 7 ოთახისაგან, ორი სამზარეულოსგან და 1 ვანისგან. სახლის ნახევარი წილი შეფასებულია 800 მანეთად და ამ თანხიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ყველამ, ვისაც სურს მონაწილეობის მიღება ვაჭრობაში, უნდა შემოიტანონ 80 მანეთის რაოდენობით და წარუდგინონ სასამართლოს აღმასრულებელს კომუნალური განყოფილების ცნობა იმის შესახებ, რომ არც მას და არც მის ოჯახის წევრებს არ აქვთ არავითარი უძრავი ქონება და უნდა წარმოადგინონ ხელწერილი, რომ მათ საერთოთ არა აქვთ საკუთარი სახლი.

59 1

ქ. თ[illegible] სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი

აცხადებს, რომ ა. წ. აპრილის 6 დღეს, 3 საათზე, გაიყიდება საჯარო ვაჭრობით მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის ალფეს ფარჯანაძეს და იმყოფება მე-4 მილიციის უბ. ერმიანსკი ბაზარი № 1 და შესდგება პიანინოსაგან, სამზარეულოს ჭურჭლეულობიდან, მაგიდებიდან, სკამებიდან და სხვ. სასადილოს მოწყობილობიდან შეფასებულია [illegible]0 მან. 50 კაპ., რა შეფასებიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა.

ქონება აწერილია სახ. კვების კავშირის და სხვ. პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს მიერ 20 იანვრის 1926 წ. თარიღით № 132 გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა.

საჯარო ვაჭრობა მოხდება ადგილობრივ ზემო-ხსენებულ მისამართზე, სადაც შეუძლიათ მყიდველებს ქონების დათვალიერება ვაჭრობის დღეს.

2063 1

რუსთაველის თეატრი

დღეს, 4 აპრილს,

I. ჯამბაზები

მონაწილეობს ახალი შემადგენლობა

სამშაბათს, 6 აპრილს,
უკანასკნელად ამ სეზონში

დეზერტირკა

1—1 ნ. 1005

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 4 აპრილს,
პიროგოვის გასტროლი

ლაკმე

დამსახურებული მსახიობის პოპოვას მონაწ.

სამშაბათს, 6 აპრილს

თამარ ცბიერი

წითელი თეატრი

წითელი თეატრი დღეს, აპრილის 4-ს
მეოთხედ ნ. ნაკაშიძის

ვინ არის დამნაშავე

დადგმა ალ. წუწუნავასი.
ახალი დეკორაციები მხატ. შავიშვილისა.
ადგილების ფასი სახალხოა
დასაწყისი საღ. 8 საათზე.
დასის ადმინისტრატორი ნ. შან ვაჭაძე.

ნ 1000 1—1

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ ბედევანიშვილის
სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

50—30

ბანქოს სახელმწიფო მონოპოლია

თბილისის განყოფილება

სათამაშო ბანქოს ყიდვა-გაყიდვა სწარმოებს თანახმად ბანქოს სახელმწიფო მონოპოლიის დებულებისა სრულიად თავისუფლად და ქ. მოსკოვის პრეისკურანტის მიხედვით

ნებადართულია აგრეთვე ბანქოს საზღვარ გარეთ გატანა.

ბანქოს ფასები:

რუსული 1 ხარისხის თორმეტეული (52 ფურ.) 9 მან. კალოდა 75 კაპ.

რუსული 2 ხარისხის თორმეტეული (36 ფურ.) 6. მან. 60 კ. კალოდა 55 კაპ.

ატლასის და პასიანსის მაღალი ხარისხის ბანქო ღირს ზედმეტი.

ბითუმად ბანქოს შეძენის დროს მყიდველს ეძლევა 20 პროც. შეღავათი.

ბანქო იყიდება ქ. თბილისის განყოფილების მაღაზიაში (თავისუფლების მოედანი), თბილისის შემოსავალ გასავლის სალაროში (ყ. ხაზინა), კოოპერატივებში და სხვა მაღაზიებში.

პროვინციებში იყიდება ყველა სამფინგანებში და კოოპერატივებში.

2—2 ნ. 986

[illegible] 5 აპრილს. [illegible] 6 სა[illegible] [illegible]სის აღმასკომის დარბაზში

მოწვეულია

თბილისის აღმასკომის პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1. ელსადენის გაყ ანილობათა ნორმები.
2. „ზაჰეს“-ის ტარიფი.
3. პროექტის და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება ტრამვაელების კომ. მუშათა სახლის ასაგებად.
4. მოხსენება ბიუჯეტის შესახებ.
5. მიმდინარე საკითხები.

აღმასკომის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა

1—1 ნ. 1007

პრეზიდიუმი.

თბ. აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილება

ამით აცხადებს, რომ კვირას, 4 აპრილს: დილის 11 ს., მ გ. მილიციის საწყობში, მდებარე მე-4-ხე სამილიციო რაიონში, ორბელიანის ქ. № 22, დაზღვევ სალაროს ვალის დასაფარავად შესდგება

საჯარო ვაჭრობა

რომელზედაც გაიყიდება აწერილი საოჯახო და სახელოსნო ნივთები ქვემოდასახელებულ პირების:

ოქმები: 1. მირზაბეკიანცის № 1019,1365 და 1883, 2. ტუმასოვის № 1432, 3. გევორქოვის № 1449, 4. ლალიანცის № 1816, 5. პაპიანცის № 462, 6. აბასოვის № 1056 და 1462, 7. საგამომცემლო კომისიის „ახალი სოფელი“ № 1781, 8. კუცენკოსი № 1589, 8. გავთიანცის № 1528 და 10. კუპრაშვილის № 68.

აწერილია ტანისამოსის შკაფები, ტყავის საკერავი მანქანები, წიგნები, სარკეები, ნოხები, მაგიდები და სხ.

ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი ხმალაძე.

2—2 ნ. 998

თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ

გამოსცა ცალკე წიგნათ ქართულ-რუსულ ენებზე

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის

სავალდებულო დადგენილებანი,

რომლებიც გამოქვეყნებულ იყო აღმასკომის მიერ 1925 წლის სავალდებულო დადგენილებათა კრებულის გამოცემის შემდეგ.

აღნიშნული წიგნის და აგრეთვე 1925 წლის სავალდებულო დადგენილებათა კრებულის შეძენა შეიძლება თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებაში, ლ. დუმბაძის ქ. № 7, განყოფილების მნესთან და თბილისის მ. გ. მილიციის ყველა სამილიციო რაიონებში.

ნ. 1001 1—1.

ადმინგანი.

თბილისის საბირჟო კომიტეტის პრეზიდიუმი

აცხადებს ბირჟის წევრთა და ბირჟაში მოსიარულეთა საყურადღებოდ

რომ ა-წ. 1 აპრილიდან მაკლერები განთავისუფლებული არიან საბირჟო საღერბო და ადგილობრივ გადასახადების მიღებისგან საბირჟო გარიგებების დადების დროს.

ამ გადასახადების მიღებას აწარმოებს ბირჟის კასა უშუალოთ კლიენტებისაგან გარიგების დადების დღეს.

ნ. 1003 1—1

სამშაბათს, ა-წ. 20 აპრილს დღის 12 საათზე ქ. თბილისში, კურორტთა მთავარ სამმართ. შენობაში, ძნელაძის (ყოფ. ისანგრეთა) ქ. № 30.

დანიშნულია

შერეული საჯარო შეჯიბრება

შენობათა და მოწყობილობათა იჯარით გასაცემად:

ბორჯომში

1. რესტორანი „მინერალური წყლები“ სასტუმროსთან.
2. კურზალის ბუფეტი (რძის და ტკბილეულობის ნაწარმოების ვაჭრობის უფლებით)
3. საბილიარდო კურზალში
4. ზის აბაზანებთან ბუფეტი (ლუდის, რძის და ტკბილეულობის ნაწარმოების ვაჭრობის უფლებით)
5. კიოსკი პარკში
6. სასწორი ექიმის პარკში
7. ლოტოს სათამაშო ფარდული პარკში

წაღვერში

1. რესტორანი „სინათლე“
2. იოსკი მინერალურ წყლებთან
3. კიოსკი პარკში
4. ოტოგრ ფის სას რაფო სურათების გადაღების მონოპოლიური უფლება რესტორანის ეზოში
5. სასწორი საექიმო არკში

აბასთუმანში

1. პირველ ტევრში ბუფეტი
2. მეორე ტევრში ბუფეტი
3. სასწრაფო ფოტოგრაფის უფლება ტევრში და სხვა ადგილებში გარდა არაზინდოსი
4. სასწორი საექიმო
5. სასტუმროსთან როტონდის ბუფეტი სამზარეულოთი

წყალტუბო

1. რესტორანი
2. ბუფეტი პარკში ტკბილეულობის და რძის ნაწარმოების ვაჭრობის უფლებით
3. ფურნე
4. ფოტოგრაფიის უფლება პარკში (მონოპოლია)
5. საპარიკმახერო

ახტალა

1. საპარიკმახერო
2. ფოტოგრაფიის უფლება

ბახმარო

1. რესტორანი დიდი
2. ქექელბან
3. ფურნე
4. საწვრიმალო დუქნები დიდი და პატარა
5. საყასბო

შეჯიბრება მოხდება 30 აპრილს, ქ. ოზურგეთში ჯანმრთელობის განყოფილების ბინაზე.

ზემოთ ჩამოთვლილი იჯარით გაიცემა, როგორც მთლიანად, ისე ცალკე. შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველნი ვალდებულნი არიან შემოტანილ განცხადებაში თითოეულ ზემოთ ჩამოთვლილი შენობის ან მოწყობილობისათვის შემოძლეული თანხა ცალ-ცალკე აღნიშნონ. განცხადებას თა დართული უნდა ჰქონდეს სათანადო სალერბო მარკები და ქვითარი ხაზინისა ან კურორტთა მთავარ სამმართველოს სალაროში შემოძლეულ თანხის 10 პროც. გირაოს შეტანისა. თუ ვინიცობაა დანიშნულ დროზე საჯარო შეჯიბრება არ შესდგა, იმ შემთხვევაში 23 აპრილს მოხდება განმეორებითი სიტყვიერი შეჯიბრება (პერეტორჟკა), რომელშიაც მონაწილეობის მიღების უფლება აქვს როგორც წერილობითი განცხადების წარმომდგენელს, ისე სხვა პირებსაც, რომელთათვისაც სავალდებულოა 10 პროც. გირაოს წარდგენა.

დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება კურორტთა მთავარ სამმართველოში: ქ. თბილისი, ძნელაძის (ყოფ. საპიორის) ქ. № 30, სამეურნეოსაექსპლოატაციო ნაწილში, ოთახი № 22 ყოველ დღე, გარდა უქმეებისა დღის, 10 -2 საათამდე.

ნ. 993 2—1

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება **მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში.** იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. ძამის ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად)

5—19

ექ. ი. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 საათ დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალებისა და ბავშვების 5—6 ს. მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 (შესავალი [illegible] ქუჩიდან)

25—13

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდეა ყოველდღე. სომხის ბაზარი, № 3. ერევანის მოედნიდან მეორე სახლი.

25—25

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა № 5 ყოფილი კადეტ. კორპ. [illegible]

25—18

ექიმი ზ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა. მიღება საღამოს 5—7 საათამდე. [illegible] ქ. № 38.

25—8

ექიმი ი. ი. ზერიშვილი

ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა,

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

25—17

ავადმყოფების მიღებას
პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი

აწარმოებს დილის 9 საათიდან [illegible] 10 ს—მდე და საღამოს 6—8 ს—მდე. გარდა კვირისა. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56

25—1

ახალი თევზის ზ[illegible]

ა. შტრომბერგის

მაღაზია

პუშკინის ქუჩა № 19 სასახლის სასტუმროს პირდაპირ.

2061 1 1

დავკარგე აღმ სრულებელი ფურცელი მოცემული ქუთაისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოს მიერ 3 იანვარს 1924 წელს № 94 ანასტასია ხუნდაძის სახელზე, ჩ. გ.

053 1—1

თანახმად საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის 1921 წ. 28 აპრილის № 28 დეკრეტის 62 მუხლისა ქ. თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების მ. მ. აქტის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. მარია თედორეს ასული შირინბეკოვმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის „შირინბეკოვი“ს „კონსტანტინოვი“თ შეცვლის შესახებ.

საერთო საადმინ. ქ-ბ ნუ. [illegible] ფილიპ კილურაძე.
მ. მ. აქტის ბიუროს გამგე შარაძენიძე.

2062 1-1

დავკარგე სამხედრო აღრ. ბარათი შალვა ვლად. ქ[illegible]ჯაიას სახელზე, ჩ. გ.

2060 1—1

დავკარგე საადრიცხვო ბარათი № 2141 თედორე ნიკოლოზის-ძე გოგინეიშვილის სახელზე, ჩ. გ.

2058 1—1

დავკარგე პარტბილეთი № 493129, მოწმობა, რომ მე ვარ დიდი ლიახვის წყლის უბნის მერაბი ზ. ხვედელიძის სახელზე, ჩ. გ.

2065 1 1

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის პირადი წიგნაკი გიორგი ივანესძე კაკაშვილის სახელზე, ჩ. გ.

2065 1—1

დავკარგე მთლიანი პარტბილეთი № 491658, პირადი საქმეები, სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 1372 და პირადობის მოწმობა № 179 ვასილ ბესისძე ჩხიკვაძის სახელზე, ჩ. გ.

206[illegible] 1—1

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კალოს ქუჩა, 62
ტირაჟი—25.543